გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION & BUSINESS

№8

www.eugb.ge



2019 თბილისი TBILISI

გლობალიზაცია და ბიზნესი

GLOBALIZATION AND BUSINESS

სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალური პრობლემები
გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში
თეორია და პრაქტიკა

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL

Actual Problems of Economy and
Business in Modern Globalization
Theory and Practice

თბილისი
TBILISI
2019

ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. ამასთან, მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL OF THE FACULTY OF BUSINESS AND TECHNOLOGY AND THE INSTITUTE OF RESEARCH OF ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF GLOBALIZATION OF THE EUROPEAN UNIVERSITY

Each author is responsible for the accuracy of the article in this journal. His/her position may not coincide with the opinions of the editorial board.

ISSN 2449-2396

სარედაქციო საბჭო

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო:

სარედაქციო კოლეგია:

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები:

EDITORIAL BOARD

სარჩევი　　CONTENT

ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, ᲛᲐᲙᲠᲝᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ, ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ

GLOBALIZATION, DEMOGRAPHY, MACROECONOMICS, FINANCES, REGIONAL ECONOMICS AND INNOVATIONS



ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

ზუსტად 101 წლის წინ, 1918 წლის 13 სექტემბერს (თვის მეორე პარასკევს), გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" პირველი ნომერი.

უკვე ოცი წელია (1999 წლიდან), რაც საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ინიციატივით პრაქტიკულად ყოველი სექტემბრის მეორე პარასკევს ქართველი ეკონომისტები აღნიშნავენ პროფესიულ დღესასწაულს – ეკონომისტის დღეს.

2018 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის ინიციატივით თბილისში, ევროპის უნივერსიტეტის მხარდაჭერითა და მის ბაზაზე, ჩატარდა I ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება". კონფერენციის ორგანიზატორები ასევე იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ–ს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი და ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი". სწორედ ამ ჟურნალში გამოქვეყნდა კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები.

ამავე კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ეკონომისტის დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად ჩატარდეს ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია.

2019 წელს II ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება უკვე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა ითავა. ამ კონფერენციის ორგანიზატორია ასევე ყველა ზემოხსენებული ორგანიზაცია.

II ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის თემაა: „ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების თანამედროვე გამოწვევები", რომელიც ძალზე აქტუალურია თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელებმა ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ პროფესიონალი ეკონომისტების მოსმენა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მოსაზრებების კონკრეტულ ღონისძიებებში გათვალისწინება.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქართველი ეკონომისტების იმედია ეკონომიკური პროფილის სტუდენტობა. ისინი გვიქმნიან რეალურ განცდას, რომ პროფესიონალ ეკონომისტთა შესანიშნავი თაობა გვეზრდება.

ქართველ ეკონომისტთა სადღესასწაულო განწყობას ამძიმებს უდიდესი დანაკარგი – რამდენიმე დღის წინ ჩვენი რიგებიდან მოულოდნელად წავიდა შესანიშნავი ქართველი მეცნიერი, წარმატებული პოლიტიკოსი, ბრწყინვალე პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ხადური. პირადად ჩემთვის მისი გარდაცვალება განსაკუთრებით მძიმეა, რადგანაც ის იყო ჩემი ყველაზე გამორჩეული, წარმატებული, საყვარელი მოწაფე, საიმედო მეგობარი. ვუსამძიმრებ მის შესანიშნავ ოჯახს, კოლეგებს, სტუდენტებს.

ჩვენი, მისი კოლეგების და სტუდენტების, ვალია გავაგრძელოთ ჩვენგან უდროოდ წასული დიდებული ქართველის მიერ წამოწყებული ქვეყნისთვის არაერთი საჭირო საქმე და ქართველ ეკონომისტთა მომავალ თაობებს შემოვუნახოთ პროფესორ ნოდარ ხადურის სახელი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს ძვირფასო ნოდარ!..

შექმნილი მძიმე განწყობის მიუხედავად, ჩემს კოლეგებს, მეცნიერ–ეკონომისტებს და სახელისუფლებო სტრუქტურებში მომუშავე საჯარო მოსამსახურე ეკონომისტებს, ეკონომიკის ფაკულტეტების სტუდენტებს გილოცავთ ეკონომისტთა პროფესიულ დღესასწაულს და გისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

პატივისცემით,

აკადემიკოსი ***ვლადიმერ (ლადო) პაპავა***

13 სექტემბერი, 2019 წელი

თეორია, მეთოდოლოგია და სისტემური პრობლემები

THEORY, METHODOLOGY AND SYSTEMIC PROBLEMS

JEL Classification: A11, A19, E60, O20, P21, P30 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება)

ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველო
vladimer.papava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური მეცნიერება, ეკონომიკის პოლიტიზაცია, ეკონომიკური რეფორმები, მაღალპროფესიონალი ეკონომისტები, საერთაშორისო საფინასო ინსტიტუტები.

ციტირებისთვის: პაპავა, ვ. (2019). ეკონომიკის პოლიტიზაცია და არაეკონომიკური პოლიტიკა (პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება), *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 13-21. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

შესავალი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პერიოდულად ისმის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმთავრესი ხელშემშლელი ფაქტორი მისი ზედმეტი პოლიტიზაციაა.

თუ კი გავიხსენებთ იმ ანბანურ ჭეშმაროტებას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, მაშინ სულაც არ არის გასაკვირი ეკონომიკის, როგორც ასეთის, პოლიტიზაცია.

პრობლემა არა იმდენად ეკონომიკის პოლიტიზაციაში, რამდენადაც იმაში მდგომარეობს, თუ რა მიმართებაშია ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკური მეცნიერების არა მარტო უახლეს მიღწევებთან, არამედ, სულ ცოტა, თუნდაც მის მიერ კარგა ხნის წინ დადგენილ და პრაქტიკაში აპრობირებულ „ანბანურ ჭეშმარიტებებთან“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას უკვე ტრადიციად დამკვიდრებული შეცდომების ბუნება და გაანალიზებულ იქნეს პოსტკომუნისტური საქართველოს გამოცდილება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში (Papava, 2012), რათა გამოიკვეთოს ის უმთავრესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტული ხასიათის მატარებელია.

არაეკონომიკური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ტიპები

ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა, თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული სფეროა (მაგალითად, Bénassy-Quéré, Coeuré, and etc., 2016).

როგორც ცნობილია, ტერმინი „ეკონომიკური პოლიტიკა“ ქვეყნის ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ქცევას ნიშნავს (Pearce, ed., 1997, c. 145). მისგან განსხვავებით, ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში (მაგალითად, Brown, 1995) ჩამოყალიბდა როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის პრაქტიკული ასპექტებისა და წმინდა ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი (Pearce, ed., 1997, c. 388).

საყურადღებოა, რომ ტერმინი „პლიტიკური ეკონომია“ თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოიყენება, როგორც სახელმწიფო მოწყობის ეკონომიური საფუძვლების შემსწავლელი მეცნიერება და, ამდენად, შედის არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა შემსწავლელ დისციპლინათა ჯგუფში.

საუკეთესო შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებული უნდა იყოს ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სინამდვილეში ასეთი რამ საკმაოდ იშვიათია. როგორც

წესი, სამწუხაროდ, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკა აშკარად დაშორებულია ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს. სხვა სიტყვებით, ეკონომიკური პოლიტიკის უკან ეკონომიკური მეცნიერება, როგორც ასეთი, ყოველთვის როდის დგას.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ასეთი, ვერ დაერქმევა, რამეთუ იგი არა მარტო ეკონომიკურ თეორიასთან, არამედ უბრალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის; მას უფრო კორექტული იქნება თუ **„არაეკონომიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას"**, ანუ შემოკლებით **„არაეკონომიკურ პოლიტიკას"** ვუწოდებთ (Papava, 2002, გვ. 451–459).

ჩემი აზრით, არსებობს სამი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, ***პირველი ტიპის*** არაეკონომიკურ პოლიტიკას მაშინ აქვს ადგილი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები არ ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას.

მეორე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ის შემთხვევა, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები კი ითვალისწინებენ ეკონომიკური მეცნიერების მიერ შექმნილ ცოდნას, მაგრამ თავად ეს ცოდნა არის მცდარი.

მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას კი მივაკუთვნებთ იმ შემთხვევას, როცა რომელიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ აქვს ეკონომიკურ მეცნიერებას, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს ძალიანაც რომ უნდოდეთ მაინც ვერ გამოიყენებენ ჯერ არ არსებულ ცოდნას.

პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა შესაძლოა გამოწვეულ იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები არ არიან პროფესიონალი ეკონომისტები, ან არიან ძალზედ დაბალკვალიფიციური ეკონომისტები და, შესაბამისად, ჯეროვნად არ იცნობენ ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლებს, რომ არაფერი ვთქვათ მის მიღწევებზე;
2. ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები შეიძლება იყვნენ საკმაოდ კვალიფიციური ეკონომისტები, მაგრამ არანაირად არ აწყობდეთ ეკონომიკურ პოლიტიკაში ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების ასახვა.

საყურადღებოა, რომ არც თუ იშვიათად, პოლიტიკოსები ქვეყნას როგორც კომპანიას უყურებენ, რის გამოც ითვლება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობებზე უნდა დაინიშნონ მენეჯერები და არა პროფესიონალი ეკონომისტები (Papava, 2018b). ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქვეყანასა და კომპანიას შორის პრინციპული ხასიათის განსხვავებაა (Krugman, 1996), სამწუხაროდ, პოლიტიკოსების დიდ ნაწილს გაცნობიერებული არ აქვს. სინამდვილეში მენეჯერების ადგილი არა პოლიტიკაში, არამედ ბიზნესშია.

როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს არ აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, მათი ეს მდგომარეობა, როგორც წესი, კომპენსირდება იმ პირების პროფესიონალიზმით, რომლებიც ამ მმართველი პირებისათვის ამზადებენ გადაწყვეტილებების პროექტებს. თუმცა ამ შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია ისეთი სიტუაცია შეიქმნას, როცა მმართველი პირები მათთვის მომზადებული ხსენებული პროექტების მიუხედავად გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებენ მისი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

მაშინაც კი, როცა ეკონომიკაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე მმართველ პირებს აქვთ სპეციალური ეკონომიკური განათლება, ხშირია შემთხვევები, როცა ისინიც გადაწყვეტილების მიიღებისას ხელმძღვანელობენ არა იმდენად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ეს ფენომენი, როცა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ეკონომიკურ მეცნიერებასთან შედარებით პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ენიჭება უპირატესობა ახსნილია საყოველთაოდ ცნობილი „საზოგადოებრივი არჩევანის" თეორიის მიერ (Buchanan, Tullock, 1962).

მეორე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის გამომწვევი მიზეზი თავად ეკონომიკური მეცნიერების მიერ დაშვებული შეცდომებია. ამის კლასიკური მაგალითია, 2007–2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, რადგანაც ეკონომიკური მეცნიერების მიერ ეკონომიკის რეგულირებისადმი შემუშავებული მიდგომები, სამწუხაროდ, მცდარი აღმოჩნდა (Cliffe, 2019; Stiglitz, 2010b; Stiglitz, 2010a).

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკური პოლიტიკას (უფრო ზუსტად კი საჯარო პოლიტიკას) შორის მიმართება შეიძლება შევადაროთ ბიოლოგიასა და მედიცინას, ან ფიზიკასა და ინჟინერიას შორის არსებულ კავშირს, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა, რომ, თუ რაიმე შეცდომა იქნა დაშვებული მედიცინაში ეს ბიოლოგიის ბრალი არ არის, ისევე როგორც ინჟინერიაში დაშვებული შეცდომის გამო ფიზიკის დადანაშაულება გაუმართლებელია (Hausmann, 2019). ამგვარი ინტერპრეტაცია აშკარად არ არის მართლებული, რადგანაც თუ შეცდომის სათავე, მაგალითად, ბიოლოგიაში აღმოჩნდა, ის შესაბამისად აისახება მედიცინაშიც.

მსგავსი შემთხვევები კი ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის, სამწუხაროდ, სულაც არ არის იშვიათი. ასე მაგალითად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ე.წ. „ფულის თანამედროვე თეორია" ("Modern Monetary Theory"), რომლის საფუძველზე უკვე სახელმძღვანელოც კი არის გამოცემული (Mitchell, Wray, Watts, 2019). ეს ე.წ. რევოლუციური თეორია თვლის,

რომ საბიუჯეტო დეფიციტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ფულის ემისიით შეიძლება ისე დაიფაროს გარღვევა სახელმწიფო ხარჯებსა და სვადასახადო შემოსავლებს შორის, რომ ამან არ გამოიწვიოს ინფლაცია. ამ თეორიის აშკარად გამოკვეთილი სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოცემული თეორიული კონსტრუქცია ემყარება დახურულ ეკონომიკას, რომელშიც საგარეო ვაჭრობას ადგილი არ აქვს, რომ გამორიცხულია კაპიტალის ქვეყნიდან გადინება და ქვეყანაში შემოდინება, და არ არსებობს გაცვლითი კურსის მერყეობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები ღიად აკრიტიკებენ ხსენებულ „ფულის თანამედროვე თეორიის" აშკარად მცდარ კონსტრუქციას (Krugman, 2019a, 2019b; Rogoff, 2019), სულ უფრო იზრდება იმის მოლოდინი, რომ არც თუ შორეულ მომავალში აშშ-ში, ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, კანადაში, ევრაკავშირის ზოგიერთ ქვეყანასა და იაპონიაშიც კი მემარცხენე პოლიტიკოსების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას სწორედ ამ თეორიით იხელმძღვანელებენ (Moiseev, 2019).

მესამე ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა შესაბამისი ეკონომიკური თეორიის არ არსებობის პირობებში (მაგალითად, Papava, 2005).

არანაკლებ საყურადღებოა, კრიპტოვალუტის მსოფლიოში გავრცელების ფენომენი, ისე, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მის შესახებ მეტ-ნაკლებად დასაბუთებული თეორია ჯერ-ჯერობით არ შეუქმნია (Papava, 2018a, pp. 95-97). მიუხედავად იმისა, კრიპტოვალუტა, კერძოდ, ბიტკოინი, უკვე ათი წლისაა, და მოცემულ თემაზე დიდი რაოდენობის პუბლიკაციები დაგროვდა (მაგალითად, Столбов, 2019), ჯერ-ჯერობით კრიპტოვალუტის ეკონომიკური შინაარსი დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული (Simanovskiy, 2018).

საყურადღებოა, რომ ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას, ხოლო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, წინა პლანზე გამოდის პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი იცვლება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში აბსოლუტური ჩაურევლობიდან (Laissez-Faire), ეკონომიკის სახელმწიფოს მიერ მართვის მრძანებლურ ფორმებამდე, რომელიც დამახასიათებელია კომუნისტური ორიენტაციის მქონე ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკაზე პოსტკომუნისტური გადასვლის პროცესის არსი სწორედ მეორე უკიდურესი მდგომარეობიდან პირველისაკენ მოძრაობაში გამოიხატება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ისეთ ქცევას გულისხმობს, როცა მისი ეკონომიკის მართვაში ჩარევის მასშტაბები არა მარტო თანდათან მცირდება, არამედ შინაარსობრივადაც იცვლება, როცა სახელმწიფო ცდილობს ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნას, როცა შესაბამისი მარეგულირებლები ფირმებს აძლევს მოქმედების შესაბამის მეტ-ნაკლებად ფორმალიზებულ ჩარჩოს.

პოსტკომუნისტური საქართველოს საწყისი პერიოდის არაეკონომიკური პოლიტიკა

1990-91 წლებში საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მართვის კომუნისტური ფორმების ლიბერალიზაციის მოკრძალებული მცდელობით გამოირჩეოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ იმდროინდელი მთავრობის განცხადებით საქართველოში სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელი უნდა დამკვიდრებულიყო. საყურადღებოა, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა სახელმწიფო კაპიტალიზმის მოდელის საფუძველზე პრაქტიკულად ნიშნავდა ეკონომიკის არასაბაზრო მოწყობის საფუძვლების შენარჩუნებას, ანუ საბაზრო ეკონომიკაზე ე.წ. „ფასადურ" გადასვლას.

ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევის პრაქტიკაში რევოლუციური ხასიათის გარდატეხა 1992 წელს იწყება, რაც უმთავრესად ფასების თითქმის საყოველთაო ლიბერალიზაციასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების უსასყიდლო დარიგებაში გამოიხატა (Papava, Beridze, 1998). ამავე ეტაპზე პრაქტიკულად სრულ ლიბერალიზაციას დაექვემდებარა ფულად-საკრედიტო სექტორი, რითაც საკრედიტო ემისიამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, კომერციული ბანკების შექმნა მაქსიმალურად გაადვილებული იყო, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მათ შემდგომ საქმიანობაზე ზედამხედველობა, როგორც წესი, არ არსებობდა. არანაკლებ „შთამბეჭდავი" იყო ბარტერით თურქმენეთიდან გაზის შეძენის საკლირინგო მექანიზმის შემოღება, რამაც კორუმპირებულ მოხელეთა გამდიდრების ხარჯზე საქართველოს თურქმენეთის მიმართ 400 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ვალი შეუქმნა. საყურადღებოა, რომ 2001 წლიდან თურქმენეთის ვალის გასტუმრების მიზნით საკლირინგო მექანიზმი კვლავ იქნა ამოქმედებული.

ეკონომიკის მიმართ სახელმწიფოს ამგვარ ქცევას ეკონომიკური პოლიტიკა ვერანაირად ვერ დაერქმევა, რამეთუ იგი არა მარტო ეკონომიკურ მეცნიერებასთან, არამედ უბრალოდ ჯანსაღ აზრთანაც კი წინააღმდეგობაში მოდის.

საქართველოში 1992-93 წლებში გატარებული არაეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ჰიპერინფლაციას ნოყიერი ნიადაგი შეექმნა, რაც სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა (Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994).

საყურადღებოა, რომ მმართველობის კომუნისტური რეჟიმის რღვევის და საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის თეორია, როგორც, ზემოთ ითქვა, არ არსებობდა (Papava, 2005). მართალია, დღეისათვის დაგროვდა მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება, მოხდა ამ გამოცდილების განზოგადებაც კი, თუმცა, სამწუხაროდ, მეტ–ნაკლებად მწყობრი შესაბამისი ეკონომიკური თეორია ჯერაც არ შექმნილა. ამ ვითარების გათვალისწინებით შეუძლებელია იმდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელთა დადანაშაულება იმაში, თუ რატომ არ გამოიყენეს ეკონომიკური თეორია, რომლის ჩანასახოვანი კონტურებიც კი იმ დროისათვის უბრალოდ არ არსებობდა. ამიტომ, აშკარაა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდია საწყის ეტაპზე არაეკონომიკური პოლიტიკის მესამე ტიპს ჰქონდა ადგილი.

საქართველოში 1992 წლის დასაწყისში დაიწყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გატარება „შოკური თერაპიის“ ცნობილი მეთოდის პოლონური ვერსიით. კერძოდ, გამოყენებულ იქნა ე.წ. „ბალცეროვიჩის გეგმა“ (Aleksashenko, 1990, с. 21), რომელიც ატარებს მისი შემმუშავებლის, გასული საუკუნის 80–იანი წლების ბოლოსა და 90–იანი წლების დასაწყისში პოლონეთის ვიცე–პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის ლეშეკ ბალცეროვიჩის სახელს.

იმ პერიოდის საქართველოში ინგლისური, თუ სხვა რომელიმე დასავლეთევროპული ენა საზოგადოების ძალზედ შეზღუდულმა ნაწილმა იცოდა, და, პრაქტიკულად, ერთადერთი უცხო ენა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო უმრავლესობისთვის იყო რუსული ენა, რომელსაც არც თუ დიდი ხნის წინ, საბჭოთა კავშირის პირობებში სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. ხსენებული „ბალცეროვიჩის გეგმა“ რუსეთის მთავრობამ ჯერ გადაარუსულა რუსეთში 1992 წლის იანვრიდან გასატარებელი რეფორმებისათვის, ხოლო ერთი თვის დაგვიანებით ამ გეგმის რუსული ვერსია საქართველოს მთავრობამ გადმოაქართულა საქართველოში გასატარებელი ეკონომიკური რეფორმებისათვის.

საქართველოსთვის „ბალცეროვიჩის გეგმა“, სამწუხაროდ, თავიდანვე განწირული იყო წარუმატებლობისთვის, რადგანაც იმ დროისათვის საქართველოს პოლონეთისა და რუსეთისგან განსხვავებით „შოკური თერაპიის“ ერთ–ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი – საკუთარი ვალუტა, არ გააჩნდა. ამას დაემატა მთავრობის მიერ დაშვებული სხვა არაერთი შეცდომაც (Khaduri, 2005; Papava, 1996), რამაც „შოკურ თერაპიას“, როგორც ასეთს, საქართველოში სახელი გაუტეხა.

1994-1995 წლებში გატარებული ეკონომიკური რეფორმების მიზანი ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარება იყო, რაც არა მარტო მიღწეულ იქნა (Papava, 2011), არამედ სწორედ ამან შესაძლებელი გახადა ეროვნული ვალუტის – ლარის წარმატებით შემოღება (Kakulia, 2008).

ქართული ლიბერტარიანიზმის არაეკონომიკური პოლიტიკა

2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციიდან“ რამდენიმე თვეში საქართველოში მთავრობის მოწვევით მოსკოვიდან ჩამოვიდა ეთნიკურად ქართველი ბიზნესმენი, რუსი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ლიბერტარიანიზმის ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში. ის, როგორც სამრეწველო ჰოლდინგის „გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების“ («Объединенные машиностроительные заводы») გენერალური დირექტორი, საკმაოდ დაახლოებული იყო პუტინის რეჟიმთან, რაც ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰოლდინგში შემავალი ქარხნები აწარმოებენ საკმაოდ რთულ მანქანა–დანადგარებს, მათ შორის, დანადგარებს ატომური ენერგეტიკისათვის.

მთავრობის მიერ ლიბერტარიანიზმის შესახებ საჯაროდ გაკეთებულმა ოფიციალურმა განცხადებებმა და მათმა საზღვარგარეთ რეკლამირებამ შექმნა იმის განწყობა, რომ რევოლუციის შემდგომი რეფორმები საერთაშორისო დონეზეც შეფასებულიყო როგორც ლიბერტარიანული (მაგალითად, ESI, 2010; Gilauri, 2017; Udensiva-Brenner, 2010; Burakova, 2011).

ამ მოსაზრებას აძლიერებდა ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ლიცენზიებისა და ნებართვების დიდი რაოდენობის გაუქმება, ხოლო დარჩენილების აღების წესის გამარტივება, მთავრობისაგან სხვადასხვა სახეობის დოკუმენტების გაცემის სისტემის არსებითი გამარტივება, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, გადასახადების გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, და სხვ. სწორედ ამ ტიპის რეფორმებმა საქართველო მსოფლიო ბანკის ცნობილ რეიტინგის მიხედვით „Doing Business“ რეფორმების ერთ–ერთ ლიდერად აქცია.

ის, რომ ამ ტიპის ეკონომიკური რეფორმები წარმატებულად არ უნდა ჩაითვალოს, ყველაზე კარგად ჩანს განზოგადოებული მაჩვენებლის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (Papava, Silagadze, 2019) დინამიკით. კერძოდ, ეკონომიკური განვითარების ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩა მის უშუალო მეზობელ „არალიბერტარიანული“ მთავრობის მქონე პოსტსაბჭოთა სომხეთს (მეორე მეზობლის, ასევე პოსტსაბჭოთა აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა ამ პერიოდში გამოწვეული იყო ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და მათი ექსპორტის ზრდით, და ამდენად, არ გამოდგება შედარებისათვის). კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, თუ 2003 წელს საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აღმატებოდა სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს, 2010 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში სომხეთის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 95,5%–ს შეადგენდა (WB, 2019).

ლიბერტარიანიზმად შერაცხულ რეფორმების პარალელურად „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა სისტემატურად არღვევდა საკუთრების უფლებას და არც იმას ერიდებოდა, რომ მეწარმეებს იძულების წესით გადაერიცხათ თავისი მოგების ნაწილი არასაბიუჯეტო ფონდებში (რა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდებოდა მთავრობის წევრებთან დაახლოებული პირების ბიზნესზე), ხოლო სასამართლო სისტემა უშუალოდ იყო პროკურატურის კონტროლ ქვეშ (Papava, 2013). სამწუხაროა, მაგრამ ამ ანტილიბერტარიანულ (სინამდვილეში, ნეობოლშევიკურ) ფაქტებზე მთავრობაში მყოფ ე.წ. „ლიბერტარიანელებს“ რაიმე კომენტარიც კი არ გაუკეთებიათ. სწოედ ამიტომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გატარებული რეფორმების ფასადი ლიბერტარიანულ ხასიათს ატარებდა, თუმცა შინაარსით ისინი ნეობოლშევიკური იყო (De Waal, 2011, გვ. 13).

ცნობილია, რომ ნებისმიერი ადამიანი თავისთვის, როგორც წესი, ლიბერტარიანელია, რადგანაც არავის უნდა, რომ მის საქმეში სხვა ჩაერიოს, ან მისი უფლებები რაიმეთი შეიზღუდოს. ნამდვილი ლიბერტარიანელი კი ისაა, ვინც, უწინარეს ყოვლისა, ლიბერტარიანელია სხვისთვის და ამდენად ის ზოგადადაც ლიბერტარიანელია.

იმ სამთავრობო გუნდისათვის, რომელიც „ლიბერტარიანიზმის დროშის“ ქვეშ შეიკრიბა დამახასიათებელი იყო ის, რომ მათ უმრავლესობას, ისევე როგორც ამ გუნდის ლიდერს, კახა ბენდუქიძეს, არ გააჩნდა საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლება. ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების არცოდნის პირობებში კი მათთვის ყველაზე ადვილი იყო ლიბერტარიანული შეხედულებების გაზიარება: როცა არ იცი ბაზრის ჩავარდნების და მათი დაძლევის სირთულეების შესახებ, ძალზედ ადვილია ერთადერთ გამამართლებელ პრინციპად აღიარო სახელმწიფოს მაქსიმალური არ ჩარევა ეკონომიკაში.

მაშასადამე, ქართველ ე.წ. „ლიბერტარიანელებსა“ ნამდვილ ლიბერტარიანელებს შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერტარიანიზმი ქართველებისათვის არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძნებული შეგნებული არჩევანი. სინამდვილეში ლიბერტარიანიზმი მათთვის ეკონომიკის არცოდნის შენიღბვისთვის იყო გამოყენებული (Papava, Taphladze, 2015).

ყოველივე ეს გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ქართული ლიბერტარიანიზმი თავისი არსით არის პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

პრიმიტივიზმის არაეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკური პრიმიტივიზმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პრემიერ–მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ ინიცირებული „მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“, რომლის პუნქტებია: 1. ეკონომიკური რეფორმა; 2. განათლების რეფორმა; 3. სივრცითი მოწყობა; 4. მმართველობის რეფორმა.

პუნქტი 1 მისი ზოგადი დასახელების მიუხედავად დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესის გათავისუფლებაზე მოგების გადასახადისაგან, მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. პუნქტი 2–ს მიხედვით, პროფესიული განათლების სისტემამ ორიენტაცია უნდა აიღოს სწავლების დუალურ, ანუ სამუშაოზე დაფუძნებულ მიდგომაზე, რომლის თანახმადაც, სასწავლებელი და პოტენციური დამსაქმებელი ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს; საუნივერსიტეტო განათლება კი ორიენტირებული იქნება ეკონომიკის ფაქტობრივ საჭიროებებზე, რაც უნდა გამოვლინდეს შრომის ბაზრის ანალიზის გზით. პუნქტი 3–ს თანახმად, ქვეყნის სივრცითმა მოწყობამ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქებისა და სოფლების გააზრებულ განაშენიანებას, რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის განვითარებას, რომლის საბოლოო მიზანია საქართველო გახდეს ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა. პუნქტი 4 კი გულისხმობს მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას.

სამწუხაროდ, ეკონომიკის რეალური სექტორის განუვითარებლობის გამო ქვეყანა უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე თავად აწარმოებს, რის შედეგადაც წლების განმავლობაში იმპორტი ექსპორტს საშუალოდ 3–ჯერ აღემატება, ხოლო სამომხმარებლო კალათაში (ისევე, როგორც სასურსათო კალათაში) იმპორტული პროდუქცია საშუალოდ 80%–ის დონეზეა. შედეგად საქართველოში არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკის მოდელი ჩამოყალიბდა (Papava, 2015).

ამ ვითარებაში მოცემული გეგმის პირველი სამი პუნქტი უმთავრესად ხელს უწყობს არსებული ბიზნესის განვითარებას, სხვა სიტყვებით, სასტუმროების, რესტორნების და საკრედიტო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას. სამწუხაროდ, ეს პუნქტები არ არის ორიენტიტებული მომავლის ეკონომიკის, კერძოდ, ცოდნაზე დაფუძვნებული ეკონომიკის რეალური სექტორის შექმნასა და განვითარებაზე. მაშასადამე, „მთავრობის 4–პუნქტიანი გეგმა“ ხელს შეუწყობს საქართველოში ხსენებული არამწარმოებლური და იმავდროულად მომხმარებლური ეკონომიკის მოდელის შენარჩუნება–განმტკიცებას.

ამ გეგმის მეოთხე პუნქტის თანხმად, კი გარემოს დაცვის სამინისტრო შეუერთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რაც აშკარად გამოხატულ ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს. მოგვიანებით კი განათლების და მაცნიერების სამინისტროს შეუერთდა კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რამაც ახლადშექმნილი სამინისტრო რთული სამართავი გახადა. შედეგად, მიზანი „მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა“ პრაქტიკულად განუხორციელებელი დარჩა.

„მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა“ არის ეკონომიკაში პრიმიტივისტული მიდგომის თვალსაჩინო ნიმუში (Papava, 2017b) და ის ეკონომიკური მეცნიერების ელემენტარულ საფუძვლებსაც კი უგულებელყოფს. მაშასადამე, სახეზეა პირველი ტიპის არაეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური პრიმიტივიზმის კიდევ უფრო მკაფიო გა–

მოხატულებაა 2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის პრივატიზაცია. ამ სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული საკუთარი შენობის პრივატიზაციით მთავრობამ მიიღო 9,45 მილიონ აშშ დოლარი. შენობის ახალმა მესაკუთრემ, ჩინურმა კოპანიამ „ჰუალინგმა" გადაწყვიტა ამ შენობაში სასტუმროს გახსნა.

თავად სამინისტრო პრივატიზაციის შემდეგაც იმავე შენობაში დარჩა (მესაკუთრეს ამისათვის შესაბამის ქირას უხდიდა), სანამ შენობაში ხანძარი არ გაჩნდა. ხანძრის გამო შენობის გამქირავებელი ჩინური კომპანიისათვის ეკონომიკის სამინისტროს მოუწია ჯარიმის გადახდა, შენობის დაცლა და ახალი შენობის დაქირავება.

სამინისტროების შენობების გაყიდვა იმ მიზნით, რომ ამ შენობებში სასტუმროები გახსნილიყო, ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის" მთავრობამ წამოიწყო, თუმცა მაშინ ჯერ წყდებოდა თუ სად უნდა განთავსებულიყო სამინისტრო, და შემდეგ ხდებოდა შენობის დაცლა მისი პრივატიზაციის მიზნით. კერძოდ, 2007 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გადაიყვანეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სხვა შენობაში, ხოლო იუსტიციის სამინისტროსათვის ჯერ აშენდა ახალი შენობა და შემდეგ დაცალეს ძველი.

2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთარი შენობა არ გააჩნია და მას უხდება სხვადასხვა შენობების დაქირავება სამინისტროს აპარატის განსათავსებლად.

მთავრობის ამგვარი ქმედება ყოვლად უაზროა და „უკეთეს" შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, როგორც სამთავრობო ფსევდო–ბიზნესი (Papava, 2017a).

დასკვნა და რეკომენდაციები

არაეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი საფუძველი არის ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკური მეცნიერებიდან დაცილება. თუმცა, არც ის შემთხვევაა გამორიცხული, როცა ან ეკონომიკური მეცნიერების მიერ გაცემული რეკომენდაციები მცდარი, ან მას ჯერ კიდევ არ აქვს შესწავლილი ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა, ან პროცესი. შესაბამისად, ყალიბდება არაეკონომიკური პოლიტიკის სამი ტიპი.

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური რეფორმირების საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა მესამე ტიპის არაეკონომიკურ პოლიტიკას, რადგანაც მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის ეკონომიკური თეორია, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

ეკონომიკური განვითარების შემდგომ ეტაპებზე კი საქართველოში გატარებული არაეკონომიკური პოლიტიკა იყო პირველი ტიპის, როცა ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები უგულველყოფდნენ ეკონომიკური მეცნიერების ბაზურ დებულებებსაც კი. ამის მიზეზი არც თუ იშვიათად ამ პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების არაპროფესიონალიზმი იყო.

ლოგიკურად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ მომავალში რამდენად ვართ დაცულნი არაეკონომიკური პოლიტიკის ახალი რეციდივებისგან.

არაეკონომიკური პოლიტიკისაგან დაცვის გარანტია პირობითად ორ ნაწილად იყოფა, საიდანაც, პირველი სამთავრობო ეკონომიკური გუნდის პროფესიონალიზმია, ხოლო მეორე კი – ამ გუნდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობაა. რა თქმა უნდა, სამთავრობო გუნდის პროფესიონალიზმთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმიც, რომელიც ასევე უნდა იყოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით გამაგრებული.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ეკონომიკური მეცნიერების მიღწევების გარდა აუცილებლად გასათვალისწინებელია კულტურის ფაქტორი (Bedianashvili, 2018a, 2018b; Tambovtsev, 2015, 2018), რაც კვლევის ცალკე საგანს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aleksashenko C. (1990). Economic Reform: Polish Way [Ekonomicheskaja reforma: polskii put] " Mirovaja ekonomika i mezhdunarodnye otnoshenija [World Economy and International Relations] № 7, pp. 19-28. (In Russian).
2. Bedianashvili G. (2018a). "Knowledge Economy, Innovative Entrepreneurial Policy and Culture: Systemic View." In: Materials of the International Scientific-Practical Conference: "Modern tendencies of development of economy and economic science." Tbilisi: Paata Gugushvili Institute of Economics Publishing House, pp. 28-32.
3. Bedianashvili G. (2018b). Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context [kultura rogorts tsodnis ekonomikis phormirebis phaqtori paradigmuli tsvlilebebis sistemur-institutsiuri konteqstit] globalizatsia da biznesi [Globalization and Business] № 6, pp. 58-66. (In Georgian).
4. Bénassy-Quéré A., Coeuré B., Jacquet P., Pisani-Ferry J. (2016). Economic Policy: Theory and Practice [ekonomikuri politika: teoria da praqtika] Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House. (In Georgian).
5. Brown M. B. (1995). Models in Political Economy. A Guide to the Arguments. London: Penguin Books.

6. Buchanan J. M., Tullock G. (1962). The Calculus of Consent: Logical Foundations of Constitutional Democracy. Ann Arbor: University of Michigan Press, http://www.econlib.org/library/Buchanan/buchCv3.html.
7. Burakova L. (2011). Why at Georgia it Turned Out [Pochemu u Gruzii poluchilos]. Moscow: United Press. (In Russian).
8. Cliffe M. (2019). What Economists Still Need to Learn. Project Syndicate, September 9, https://www.project-syndicate.org/commentary/macroeconomic-models-three-lessons-2008-crisis-by-mark-cliffe-2019-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=aabf9c90ac-sunday_newsletter_15_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-aabf9c90ac-93567601&mc_cid=aabf9c90ac&mc_eid=e9fb6cbcc0.
9. De Waal T. (2011). Georgia's Choices: Charting a Future in Uncertain Times [sakartvelos archevani: momavlis dagegmva gaurkvevlobis periodshi]. Washington, D.C.: Carnegie Endowment, (In Georgian).
10. https://carnegieendowment.org/files/georgias_choices__georgian.pdf. ESI (2010). Reinventing Georgia: The Story of a Libertarian Revolution. Berlin–Brussels–Istanbul: European Stability Initiative, https://www.esiweb.org/index.php?lang=en&id=322&debate_ID=3.
11. Gilauri N. (2017). Practical Economics: Economic Transformation and Government Reform in Georgia 2004-2012. Cham: Palgrave Macmillan.
12. Gurgenidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D. (1994). "Georgia: From Planning to Hyperinflation." Communist Economies & Economic Transformation, Vol. 6, No. 2, pp. 259–289.
13. Hausmann R. (2019). "Don't Blame Economics, Blame Public Policy." Project Syndicate, September 1, https://www.project-syndicate.org/commentary/blame-public-policy-not-economics-by-ricardo-hausmann-2019-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=d58b1700af-sunday_newsletter_8_9_2019&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-d58b1700af-93567601&mc_cid=d58b1700af&mc_eid=e9fb6cbcc0.
14. Kakulia M. (2008). "Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect." In: Ismailov E. M., ed. Central Eurasia: National Currencies. Stockholm: CA&CC Press, pp. 188-200.
15. Khaduri N. (2005). "Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia." Problems of Economic Transition, Vol. 48, No. 4, pp. 18-29.
16. Krugman P. (1996). "A Country Is Not a Company." Harvard Business Review, January–February, https://hbr.org/1996/01/a-country-is-not-a-company.
17. Krugman P. (2019a). "Running on MMT (Wonkish)." The New York Times, 25 February, https://www.nytimes.com/2019/02/25/opinion/running-on-mmt-wonkish.html.
18. Krugman P. (2019b). "What's wrong with functional finance? (Wonkish)." The New York Times, 12 February, https://www.nytimes.com/2019/02/12/opinion/whats-wrong-with-functional-finance-wonkish.html.
19. Mitchell W., Wray R., Watts M. (2019). Macroeconomics. London: Macmillan Education.
20. Moiseev R. (2019). Hype Around (Non)Monetary (Non)Theory [Khaip vokrug (ne)denezhnoi (ne)teorii]. Voprosy ekonomiki [Economic Issues], No. 9, pp. 112-122. (In Russian)
21. Papava V. (1996). "The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'." Communist Economies & Economic Transformation, Vol. 8, No. 2, pp. 251-267.
22. Papava V. (2002). Political Economy of the Post-Communist Capitalism and its Application for Georgian Economy [poskomunisturi kapitalizmis politikuri ekonomia da sakartvelos ekonomika]. Tbilisi: "PDP." (In Georgian).
23. Papava V. (2005). "On the Theory of Post-Communist Economic Transition to Market." International Journal of Social Economics, Vol. 32, No. 1/2, pp. 77-97.
24. Papava V. (2011). "On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis)." The Caucasus & Globalization, Vol. 5, Issue 3-4, pp. 20-30.
25. Papava V. (2012). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers.
26. Papava V. (2013). "Economic Achievements of Postrevolutionary Georgia: Myths and Reality." Problems of Economic Transition, Vol. 56, No. 2, pp. 51-65.
27. Papava V. (2015). "Necroeconomics of Post-Soviet Post-Industrialism and the Model of Economic Development of Georgia and Russia." Journal of Business and Economics, Vol. 6, No. 5, pp. 978-979, www.academicstar.us/UploadFile/Picture/2015-7/20157313847837.pdf.
28. Papava V. (2017a). "Features of Governmental 'Business' in Post-Soviet Georgia." Eurasia Review. Journal of Analysis and News, June 27, https://www.eurasiareview.com/27062017-features-of-governmental-business-in-post-soviet-georgia-oped/.
29. Papava V. (2017b). "Primitivism as a Trait of Georgia's Modern Economic Policy." The Central Asia-Caucasus Analyst, May 4,http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13444-primitivism-as-a-trait-of-georgia%E2%80%99s-modern-economic-policy.html.
30. Papava V. (2018a). "The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science." Transformations, No. 3-4 (98-99), pp. 90-108, http://www.e-transformacje.com/archiwum/transformacje_3-4_2018.pdf#page=96.
31. Papava V. (2018b). "Why Georgia Needs Economists." Rondeli Blog, October 12, https://www.gfsis.org/blog/view/871.
32. Papava V., Beridze T. (1998). Economic Reforms in Georgia [Ekonomicheskie reformy v Gruzii] Rossiiskii ekonomicheskii zhurnal [Russian Economic Journal,] №1, pp.58–64. (In Russian).

33. Papava V., Silagadze A. (2019). On the Georgian Name of One Key Economic Term “Gross Domestic Product [erti sakvandzo ekonomikuri terminis – “Gross Domestic Product”-is kartuli sakheltsodebis shesaxeb] ekonomika da biznesi [Economics and Business,] No. 1, pp. 180-182. (In Georgian).
34. Papava V., Taphladze T. (2015). “Pseudo-Libertarianism in Post-Revolutionary Georgia.” Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 9, No. 2, pp. 150-153.
35. Pearce D. W., ed. (1997). Slovar’ sovremennoi ekonomicheskoi teorii Makmillana [Macmillan Dictionary of Modern Economics.] Moscow: INFRA-M. (In Russian).
36. Rogoff K. (2019). “Modern monetary nonsense.” Project Syndicate, March 4, https://www.project-syndicate.org/commentary/federal-reserve-modern-monetary-theory-dangers-by-kenneth-rogoff-2019-03?barrier=accesspaylog.
37. Simanovskiy A. Yu. (2018). “K voporosu ob ekonomicheskoi prirode kriptovaljuty [On the Issue of Crypto-Currency Economic Nature.]” Voprosy ekonomiki [Economic Issues,] № 9, pp. 132-142. (In Russian).
38. Stiglitz J. (2010a). “Ekonomisty vinovaty v krizise, no est’ shans ispravit’ delo [Economists are Guilty in Crisis, but there is a Chance to Correct the Situation.]” Institut problem predprinimatel’stva [Institute of Problems of Entrepreneurship,] October 5, https://www.ippnou.ru/article.php?idarticle=008769. (In Russian).
39. Stiglitz J. (2010b). “Needed: A New Economic Paradigm.” Financial Times, August 20, https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0.
40. Stolbov M. I. (2019). “ K desjatiletiju rynka kriptovaljut: tekushchee sostojanie i perspektivy [The 10th Anniversary of the Cryptocurrency Market: Its Current State and Prospects.”] Voprosy ekonomiki [Economic Issues,] № 5, pp. 136-148. (In Russian).
41. Tambovtsev V. (2015). “Mif o “kulturnom kode” v ekonomicheskikh isskedovanijakh [The Myth of the “Culture Code” in Economic Research.”] Voprosy ekonomiki [Economic Issues,] No. 12, pp. 85-106. (In Russian).
42. Tambovtsev V. L. (2018). “Innovatsii i kultura: vazhnost’ metodologii analiza” [“Innovations and Culture: Importance of the Analysis Methodology.”] Voprosy ekonomiki [Economic Issues], No. 9, pp. 70-94. (In Russian).
43. Udensiva-Brenner M. (2010). “Kakha Bendukidze Analyzes Georgia’s Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis.” Harriman Institute, April 7, https://harriman.columbia.edu/event/kakha-bendukidze-analyzes-georgia%E2%80%99s-economic-strategy-how-georgia-handled-its-economy-after.
44. WB (2019). “GDP per capita (current US$).” The World Bank, https://data.worldbank.org/indicator/ny.gdp.pcap.cd?end=2003&start=1960.

JEL Classification: A11, A19, E60, O20, P21, P30 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

POLITICIZATION OF THE ECONOMY AND NON-ECONOMIC POLICY (EXPERIENCE OF POST-COMMUNIST GEORGIA)

VLADIMER PAPAVA
Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Principal Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics, Georgia
vladimer.papava@tsu.ge

KEYWORDS: ECONOMIC POLICY, ECONOMIC SCIENCE, POLITICIZATION OF ECONOMICS, ECONOMIC REFORMS, HIGH-PROFILE ECONOMISTS, INTERNATIONAL FINANCIAL INSTITUTIONS.

For citation: Papava, V. (2019). Politicization of the Economy and Non-Economic Policy (Experience of Post-Communist Georgia), *Globalization And Business, №8*, pp. 13-21. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.001

SUMMARY

It is not so uncommon when the main deterring factor of economic growth is its politicization. As a matter of fact, economic policy is a part of governmental policy and this means that the "politicization of the economy" is practically unavoidable. The problem is when the conditioning of the "politicization of the economy" is the type of economic policy that is not based on the achievements of economic science. If economic policy is not only distant from economic science but, on some occasions even contradicts it with its elementary provisions, then this type of economic policy held by a government should be called "non-economic policy." Among the causes of "non-economic policy," special attention must be paid to problems in the existing mistakes in economics, in the non-professional economic team of a government and in the wrong recommendations given to a government by international financial institutions. Post-communist Georgia's experience gives us noticeable examples when different governments held 'non-economic policies' which negatively impacted the country's development. As a result of successful economic policies, economic reforms were held which subsequently combatted hyperinflation in the 1990s, achieved macroeconomic stability and established the Georgian lari (GEL) as the national currency following currency reform. Relevant reforms were completely based on economics. The main problem is the rapprochement of economic policy to economic science. Achievement of this is only possible in the case when economic policy is elaborated by highly professional economists.

JEL Classification: B10, F60, F68 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში

ელგუჯა მექვაბიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
elguja.mekvabishvili@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, ეკონომიკის გლობალიზაცია, „ქანქარას ეფექტი“, ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური სუვერენიტეტი, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, დერეგულირება, „პატარა სახელმწიფო“.

ციტირებისთვის: მექვაბიშვილი, ე. (2019). სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გლობალიზაციის პირობებში, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8,* გვ. 22-33. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002

შესავალი: პრობლემის თეორიული გააზრების სათავეებთან

„ეკონომიკისა“ და „პოლიტიკის“ ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული „სახელმწიფოს“ ცნებასთან, რასაც მათი ეტიმოლოგიური წარმოშობაც მოწმობს. „ეკონომიკა“ პირველად ანტიკურ ხანაში გამოიყენა ბერძენმა ფილოსოფოსმა ქსენოფონტმა და იგი ორი სიტყვისგან შედგება: „ოიკოს“ – სახლი, „ნომოს“ – კანონი. პირდაპირი მნიშვნელობით ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება საოჯახო მეურნეობის მართვა, გაძღოლა.

„პოლიტიკის“ ცნება ასევე ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ამავე სახელწოდების თხზულებიდან იღებს სათავეს და გულისხმობს „სახელმწიფოს მართვისუნარიანობის ხელოვნებას“ (Silagadze A. 2018). „პოლიტიკის“ საფუძველია „პოლისი“ ანუ ქალაქი-სახელმწიფო (Aristotle, 1995, 1996). ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა დაწერა თხზულება სახელწოდებით „სახელმწიფო“, რომელშიაც ჩამოაყალიბა სახელმწიფო მოწყობისა და მმართველობის ხუთი ტიპი:

1. არისტოკრატია და მონარქია;
2. ტიმოკრატია, ანუ უმცირესობის მმართველობა, როდესაც მმართველთა პირად ინტერესებს ექვემდებარება საზოგადოების ინტერესები;
3. ოლიგარქია, ანუ მდიდრების ხელისუფლება;
4. დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობა;
5. ტირანია.

აღსანიშნავია, რომ ბერძენი და რომაელი მოაზროვნეები ეკონომიკისა და პოლიტიკის ცნებებს ქალაქი-სახელმწიფოს ფარგლებში განიხილავდნენ (Silagadze A. 2018).

არისტოტელე გვთავაზობს ასეთ იერარქიას:

სახელმწიფო ⇨ პოლიტიკა ⇨ ეკონომიკა

საკუთრივ ეკონომიკას იგი ორ ნაწილად ყოფს: „ნამდვილი სიმდიდრის“ შემსწავლელი მეცნიერება – ეკონომიკა და ფულთან დაკავშირებული სფეროების – ვაჭრობის, მევახშეობის, სპეკულაციის შემსწავლელი დარგი – ქრემატისტიკა.

ტრიადაში – „სახელმწიფო“ – „პოლიტიკა“ – „ეკონომიკა“ ყველაზე ამბივალენტური დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ ჩამოყალიბდა, რაც ასევე უძველესი დროიდან მოდის. ძველ აღთქმაში გადმოცემულია, თუ როგორ ევედრებოდნენ ებრაელი ტომები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების გარეშე ცხოვრობდნენ, წინასწარმეტყველ სამუელს: „დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს (I მეფეთა 8.5). სამუელი ბევრს ეცადა ებრაელთათვის აზრი შეეცვლევნებინა და აღუწერა, თუ როგორი იქნებოდა მათი ცხოვრება მონარქიის პირობებში: „აი, რა უფლება ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე. წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან

დაიყენებს და ირბენენ მისი ეტლის წინ... აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და პურის მცხობლებად. წაგართმევთ საუკეთესო ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და თავის მორჩილებს დაურიგებს... წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან და თქვენ მისი ყმები გახდებით, მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე" (I მეფეთა 8, 11-18). ებრაელებმა ყური არ ათხოვეს წინასწარმეტყველის შეგონებას (Roseanne H. S. 2006) და თქვეს: „არა და არა, მეფე უნდა გვესვას, ჩვენ ისეთები უნდა ვიყოთ, როგორიც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წარგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს (I მეფეთა 8, 19-20)".

„სახელმწიფო სისტემა აუცილებლობაა – ყველა ერს აქვს იგი, თუმცა იმავდროულად მას არასასურველი შედეგების მოტანაც შეუძლია" (Roseanne H. S. 2006).

სახელმწიფო ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. სახელმწიფო სისტემის ფუნდამენტური ელემენტი ეკონომიკაა, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს ადამიანთა კეთილდღეობას და მასზეა დამოკიდებული ინდივიდთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფა.

თანამედროვე სახელმწიფო ისტორია, მკვლევართა საერთო შეხედულების თანახმად, ვესტფალის სისტემიდან (1648) იწყება და რამდენიმე ეტაპს მოიცავს (Mekvabishvili E. 2009). პირველია XVII-XVIII საუკუნეები, როდესაც სახელმწიფო გაფორმდა როგორც ძალდატანების ინსტიტუტი (რეგულარული არმია, პოლიციის პროტოტიპი ჟანდარმერიის და სხვათა სახით, სასამართლო, პენიტენციალური დაწესებულებები) და მოხდა უმაღლესი ხელისუფლების საბოლოო გადასვლა სასულიერო პირებიდან საერო ინსტიტუტების ხელში. მეორე ეტაპი უკავშირდება XVIII საუკუნეში ევროპაში პირველი რესპუბლიკების წარმოშობას, პირველ კონსტიტუციებს, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებად დაყოფას და ადამიანის უფლებების ინსტიტუტის გაჩენას. მესამე ეტაპი ქრონოლოგიურად დაკავშირებულია XIX საუკუნესთან და გამორჩეულია კოლონიური სახელმწიფოების წარმოშობით. აღნიშნული ეტაპი 1960-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა და კაპიტალიზმის მსოფლიო კოლონიური სისტემის დაშლით დასრულდა. მეოთხე ეტაპისათვის დამახასიათებელია სტიქიურად ფუნქციონირებადი ბაზრის სახელმწიფო რეგულირება და სოციალიზაციის პროცესის გაძლიერება. აღნიშნულ ეტაპს უკავშირდება „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" მოდელის აღმოცენება, რომელიც ახალ მოვლენას წარმოადგენდა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების პროცესში. დაბოლოს, მეხუთე ეტაპი – XX საუკუნის ბოლო და XXI საუკუნის დასაწყისი, როდესაც საყოველთაო გლობალიზაციის ფონზე დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის და, აქედან გამომდინარე, ისტორიული პერსპექტივის პრობლემა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მოდიფიცირების ევოლუციურ პროცესზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს კანონზომიერება, რომელსაც ჩვენ პირობითად „ქანქარის რხევის ეფექტს" ვუწოდებთ. ნაშრომის შემდეგი პარაგრაფი სწორედ ამ კანონზომიერების ანალიზს ეთმობა.

„ქანქარის რხევის ეფექტი" სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციაში

ანგლო-ამერიკული ეკონომიკური მსოფლმხედველობა, შემდგომში ეკონომიკურ ლიბერალიზმად და ლიბერტარიანიზმად წოდებული, სახელგანთქმული შოტლანდიელი მოაზროვნის ადამ სმიტის მოძღვრებიდან იღებს სათავეს. „1776 წელს, ადამ სმიტის ნაშრომის „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გამოსვლიდან იწყება არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაც" (Asatiani R., 2010, გვ.11).

სმიტის „ეკონომიკური ადამიანის" ეგოიზმი იმაში გამოიხატება, რომ „ცალკეული პირი ნაკლებად ფიქრობს საზოგადოებრივ ინტერესზე და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებს" (Smith A. 1938). თუმცა, მისი მოქმედება საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა იმის მიუხედავად, რომ ეს სულაც არ შედიოდა ამ პირის მიზნებში" და „ხშირად ასე გაუცნობიერებლად მოტანილი სარგებლობა უფრო მეტია, ვიდრე ის, რომელსაც ეს პირი საზოგადოებას შეგნებულად მოუტანდა" (იქვე). სმიტის ამ მოსაზრებას მოგვიანებით ბევრი ცნობილი ეკონომისტი იზიარებდა: ა. ფონ ჰაიეკი, მაგალითად, წერდა, რომ ბაზრის მექანიზმის გამოყენებით კერძო ინტერესები იკრიბება და ამ გზით, წინასწარ განუსაზღვრელი სახით, რასაც მეცნიერი სპონტანურ წესრიგს უწოდებს, ყალიბდება საერთო (საზოგადოებრივი) ინტერესი (Hayek F. 2002). თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტის დ. როდრიკის აზრით: „ეგოისტურ ინტერესთა ერთობლიობას სასარგებლო შედეგებამდე მივყავართ როგორც ამ ეგოისტური ინტერესების მატარებელი ინდივიდების, ისე საზოგადოების თვალსაზრისით" და „სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეგოისტ ადამიანთა ჯგუფის მოქმედებებმა სოციალური ქაოსი გამოიწვიოს" (Rodrik D. 2017).

სახელმწიფო მმართველობის მონარქიული ფორმა ევროპაში ისტორიულად წარმოიქმნა ცენტრალიზებული ხელისუფლების აუცილებლობისგან, რომელიც, პირველ რიგში, მოწოდებული იყო, დაეცვა იმდროინდელი გაბატონებული კლასის (ფეოდალთა) ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ სმიტის ლიბერალური დოქტრინა სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული და მისი უფლებამოსილების გარკვეულ შეზღუდვას ითვალისწინებდა. იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა სამართლიან საზოგადოებაზე წარმოდგენას, რომლის თანახმადაც

სახელმწიფო აუცილებელ მომსახურებას უწევს საზოგადოებას, არეგულირებს ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის და ყოველდღიური ცხოვრების ქცევის წესებს, რის გამოც მას ენიჭება აქტიური როლი (Hutton W. 2002, p.45).

„სრულყოფილი კონკურენციის", ანუ „თავისუფალი ბაზრის" ეპოქაში, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავდა – XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნიდან XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე, სახელმწიფოს „ღამის დარაჯის" ფუნქცია ჰქონდა მიკუთვნებული და კერძო პასუხისმგებლობა პოლიციაზე, განათლებაზე, ჯანდაცვასა და მომსახურების სხვა სახეობებზე ძალიან მაღალი იყო. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში სპორადულად ადგილი ჰქონდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ძლიერი ჩარევის მაგალითებსაც. მათ შორის უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირში ცენტრალიზებული დაგეგმვის (ხუთწლიანი გეგმების) შემუშავების პრაქტიკა, რომლის საფუძველზე 1930-იანი წლების დასაწყისიდან 1940 წლამდე მიღწეული იქნა შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდა. გერმანიისა და იტალიის ფაშისტური ხელისუფლების მიერ ბაზარზე ქმედითი კონტროლის დაწესებამ კი შესაძლებელი გახადა გაჭიანურებული და მწვავე დეპრესიიდან ამ ქვეყნების ეკონომიკის გამოყვანა. ეს გამოცდილება ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში არსებობდა და აშშ-ში „დიდი დეპრესიის" დაწყებამდე არ შეხებია ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოებს.

„დიდი დეპრესია" გარდამტეხი წერტილი აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით. მკვლევარები თანხმდებიან, რომ სწორედ სახელმწიფოს პასიურობით, უფრო ზუსტად კი ფედ-ის არასწორი პოლიტიკით იყო პროვოცირებული უმწვავესი ეკონომიკური კრიზისი 1930-იანი წლების დასაწყისში აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკაში. აუცილებელი გახდა თავისუფალი ბაზრის რეგულირების პარადიგმაზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპულად ახალი პოლიტიკით შეცვლა, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა ფ. დ. რუზველტმა განახორციელა „ახალი კურსის" სახით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის უპრეცენდენტო ფაქტს. რუზველტის „ახალი კურსი" მოიცავდა იმ დროისთვის ახალ ელემენტებს: საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამას, ფერმერების სუბსიდირებას, საფინანსო სფეროს რეგულირებას, შრომის ბაზრის რეფორმირებას და ა.შ. გაუქმდა ოქროს სტანდარტი, რათა ამ გზით მიღწეული ყოფილიყო ქვეყნის შიგნით განხორციელებული მონეტარული პოლიტიკის თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი.

რუზველტის „ახალი კურსის" ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ დასაყრდენს ჯ. მ. კეინზის მოძღვრება წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, „დიდი დეპრესიიდან" მომდინარე, ეგზისტენციალური საფრთხით იყო ნაკარნახევი. ურთულესი ეკონომიკური პრობლემების „თაიგულში", რომელიც 1930-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს და სხვა წამყვანი ქვეყნების ეკონომიკისთვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებული სიმწვავით უმუშევრობა გამოირჩეოდა. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში უმუშევართა რაოდენობა აშშ-ს სამუშაო ძალის დაახლოებით მეოთხედს წარმოადგენდა. (Blanchard O., 2010). უმუშევრობის გამომწვევი მთავარი მიზეზი იყო არასაკმარისი კერძო მოთხოვნა, რომლის კომპენსირება, კეინზის აზრით, სახელმწიფოს უნდა ეთავა. ამ მიზნით მას უნდა გაეზარდა ბიუჯეტიდან სოციალური ხარჯების დაფინანსება ან/და შეემცირებინა გადასახადები. სახელმწიფო ხარჯების ზრდა გააფართოებდა ერთობლივ მოთხოვნას, რითაც შექმნიდა წარმოების შემდგომი ზრდის სტიმულს. ეს გამოიწვევდა შემოსავლების ახალ გაზრდას, მაშასადამე, ერთობლივი მოთხოვნის კვლავ გაფართოებას და ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა ეკონომიკის ღრმა კრიზისიდან გამოყვანა.

კეინზი და მისი თანამოაზრეები, მართალია, მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა მიზანშეწონილი იყო ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ხოლო კრიზისის შემდეგ ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ისევ ბაზარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ მოთხოვნაზე ორიენტირებული კეინზიანური მოდელი (პოლიტიკა) წამყვან როლს ინარჩუნებდა თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში. სწორედ მასზე დაყრდნობით იქნა მიღწეული მაღალი ეკონომიკური და სოციალური შედეგები კაპიტალისტურ სამყაროში. 1950-1960-იან წლებში მსოფლიო რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) საშუალო წლიური ზრდის ტემპი 5.4%-ს შეადგენდა. 1970-იან წლებში იგი შემცირდა 4.1%-დე, 1980-იან წლებში 3%-დე, 1990-იან წლებში კი- 2.3%-დე (Mekvabishvili E. 2018). 1990-იანი წლების დასაწყისიდან 2007-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე მსოფლიო რეალური მსპ წლიურად დაახლოებით 2.6%-ით იზრდებოდა (იქვე).

მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა სოციალურ სფეროში, რომლის კანონზომიერი შედეგი იყო სოციალური დიფერენციაციის შერბილება. კერძოდ: 1967 წელს აშშ-ში მოსახლეობის 5%-ის მიერ მითვისებული შემოსავლების ხვედრითი წილი 1929 წლის 30%-დან 20.9%-დე, ხოლო უღარიბესი მოსახლეობის წილი იმავე პერიოდში 16.8%-დან 12.5%-დე შემცირდა (Thurow L. 1981, p.199). აშშ-ს მთავრობა აქტიურად მონაწილეობდა სიღარიბის დაძლევის ღონისძიებებში. 1960 წელს ამ მიზნით გამოიყო ქვეყნის GDP-ს 7.7%, 1965 წელს – 10.5%, ხოლო 1970 წელს 18.7% (Pierson Ch., 1995, p.128).

ამრიგად სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ევროპის ბევრ ქვეყანაში სოციალურად ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, აშშ-ში „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" მოდელის აღმოცენება და სიღარიბესთან ბრძოლის ფართომასშტაბიანი ღონისძიებების წარმატებით განხორციელება.

სიტუაცია არსებითად შეიცვალა 1970–იანი წლების დასაწყისიდან. 1973 წელს კაპიტალისტური სამყარო მოიცვა „ენერგეტიკულმა კრიზისმა“, რომელიც მოგვიანებით ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა და ე.წ. „ორმაგი კრიზისის“ სახელწოდებით შევიდა ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოებში. 1973–1979 წლები იყო მსოფლიო კაპიტალისტური ინდუსტრიული სისტემის კრიზისის პერიოდი. კრიზისი გამოვლინდა აშშ–სა და სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ინფლაციის ტემპის საგრძნობ ზრდასა და ე.წ. ინფლაციის ფენომენის წარმოქმნაში. იგი გულისხმობდა სტაგნაციისა და ინფლაციის ზრდის ერთდროულად არსებობას, რაც მანამდე უცნობი მოვლენა იყო[1].

1970–იანი წლების ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მიჩნეული იქნა ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მეტისმეტი გაფართოება, რომელიც გამოიხატა ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდაში, ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის გაბერვაში, გადასახადების დაუსაბუთებელ გაზრდაში და ა.შ. ყოველივე ამან, ეკონომისტების აზრით, განაპირობა საბაზრო სტიმულირების დაჩლუნგება, ეკონომიკის დინამიზმის დაქვეითება და ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირება. შესაბამისად, შეიცვალა „ეკონომიკური ქანქარას“ მიმართულება და აქცენტმა სახელმწიფოს აქტიური ეკონომიკური როლიდან მისი შემცირებისკენ გადაინაცვლა.

შემუშავდა პრინციპულად ახალი ეკონომიკური პოლიტიკა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებისთვის, რომელიც შემდეგ მთავარ მიმართულებებს მოიცავდა: საყოველთაო პრივატიზაცია და ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ეკონომიკის დერეგულირება, „პატარა სახელმწიფოს“ პრაქტიკის დანერგვა, გადასახადების (უპირველეს ყოვლისა, მსხვილი ბიზნესისთვის) საგრძნობი შემცირება.

1980–იანი წლებიდან იღებს სათავეს ამ პოლიტიკის რეალურ ცხოვრებაში განხორციელება, რომელიც გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გრძელდებოდა. პრივატიზება განხორციელდა არა მარტო „განვითარებადი სამყაროს ქვეყნებში“, არამედ ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებშიც. იგი გულისხმობდა მთავრობის მიერ შესრულებული რიგი ფუნქციების კერძო სექტორისთვის გადაცემას, რის შედეგადაც მაგალითად, აშშ–ში ამჟამად კერძოდ დაქირავებული პოლიციელების რაოდენობა სამჯერ აღემატება სახელმწიფო სამსახურში მყოფი მათი კოლეგების რაოდენობას. დანიაში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორი მესამედი კერძო სექტორიდანაა და ა.შ. (Roseanne H. S. 2006).

ეკონომიკის დერეგულირებაში იგულისხმება ფირმების, ორგანიზაციების გამოყვანა სამთავრობო ზედამხედველობის არეალიდან. დერეგულირების კანონზომიერი შედეგია ეკონომიკის ლიბერალიზაცია. დერეგულირების პირველი ნაბიჯები აშშ–ში გადაიდგა 1970–იანი წლების შუა პერიოდში პრეზიდენტი ჯ. ფორდის ადმინისტრაციის მიერ, თუმცა, განსაკუთრებული ინტენსიურობით იგი 1990–იანი წლებიდან წარიმართა და უპირატესად ფინანსურ სექტორს შეეხო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1999 წელს აშშ–ს კონგრესის მიერ გრემ–ლიჩ–ბლაილის კანონის მიღებას, რომელმაც, ფაქტობრივად, გააუქმა საფინანსო ბაზრების ყოველგვარი სახელმწიფო რეგულირება. ასევე გაუქმდა ბანკების კომერციული და საინვესტიციო საქმიანობის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელიც 1930–იანი წლებიდან „დიდი დეპრესიის“ მწარე გამოცდილების გათვალისწინებით მოქმედებდა (Mekvabishvili E. 2018).

პრივატიზაციის, ლიბერალიზაციისა და დერეგულირების ერთიანობის ისტორიული კონტექსტი ორგანულადაა დაკავშირებული „პატარა სახელმწიფოს“ მოთხოვნასთან, რასაც ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მომხრეები ქადაგებდნენ და დღესაც იგივე პოზიციაზე რჩებიან. „პატარა სახელმწიფოს“ პოლიტიკა რამდენიმე თეორიული პოსტულატითაა დასაბუთებული. პირველი, სახელმწიფო აპარატის გაფართოება იწვევს მისი შენახვის ხარჯების გაზრდას, რაც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას და ამცირებს მის ეფექტიანობას. როგორც ცნობილი პოლონელი მეცნიერ–ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე ლ. ბალცეროვიჩი აღნიშნავს: „სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების მასშტაბების გაზრდა და ეროვნულ მეურნეობაში მისი მეტისმეტი ინტერვენცია აფერხებს მის განვითარებას (ლ. ბალცეროვიჩი. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2002, გვ. 36). მეორე, ხშირად საჯარო მოხელეთა დიდ რაოდენობას შედარებით სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება, ანუ არაეფექტიანი მმართველობა განაპირობებს. მესამე, „დიდი სახელმწიფოს“ არსებობასთან დაკავშირებულია კორუფციის პრობლემა, რომელიც ზოგადად „სახელმწიფოს ჩავარდნის“ სერიოზული გამოვლინებაა და მის შესახებ მოგვიანებით გვექნება მსჯელობა. როგორც დევიდ ნ. უეილი აღნიშნავს: „არსებობს სერიოზული გამოკვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ უფრო კორუმპირებული მთავრობები ხასიათდებიან მეტი რეგულაციებით და ხშირად მთავრობის ჩინოვნიკები რეგულაციებს ქმნიან კორუფციის გასაზრდელად“. აღნიშნულ კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული ე.წ. „დამხმარე ხელისა“ და „მძარცველი ხელის“ თეორიები. პირველი გულისხმობს მთავრობების მიერ რეგულაციების გამოყენებას საკუთარი მომხმარებლების დასაცავად, ნეგატიური გარე ეფექტების შესაზღუდად და ა.შ. მეორე ნიშნავს მთავრობების მიერ რეგულაციების დაწესებას ბიუროკრატიისთვის მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. (Weil D. N. 2016). მეოთხე, სრულყოფილი მთავრობა არ არსებობს. თუმცა ღარიბ ქვეყნებს განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და ცუდი მთავრობები ჰყავს (Weil D. N. 2016). აქედან ლოგიკურად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მრავალრიცხოვანი მთავრობის არსებობა ქვეყნების სიღარიბის ერთ–ერთი მიზეზია.

[1] ცნობილი ამერიკელი მონეტარისტი ეკონომისტი ა. მელტცერი წერდა, რომ 1970–იანი წლების მეორე ნახევარში „აშშ–ს ეკონომიკა ინფლაციის ღრმა ორმოში ჩავარდა“ (Meltzer A. H. 2005, 145–172).

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლთან მიმართებით „ქანქარას ეფექტის“ მექანიზმის აღწერა, ჩვენი აზრით, სრულყოფილი ვერ იქნება, თუკი არ განვიხილავთ ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსზე“ დამყარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მით უმეტეს, რომ მისი ზემოქმედება საკუთარ თავზე იწვნია პოსტკომუნისტურ კაპიტალიზმზე გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკამაც. 1989 წელს ვაშინგტონში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაღალი რანგის მოხელის ჯ. უილიამსონის ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მაღალჩინოსნები და მიიღეს ამ ქვეყნებში გასატარებელი ეკონომიკური რეფორმების პროგრამა, რომლის მთავარი პოსტულატები მოგვიანებით გამოყენებული იქნა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. აღნიშნული პროგრამის მთავარი იდეა მდგომარეობდა განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში თავისუფალ ბაზარზე დამყარებული ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებაში. იგი ასევე ითვალისწინებდა ამ ქვეყნების ეკონომიკების ნებისმიერი სახის სახელმწიფო რეგულირებისგან განთავისუფლებას, რამეთუ „ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტები ლათინურ ამერიკაში და მათი მრჩევლები ვაშინგტონში ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ სწორედ მთავრობის ჩარევამ ეკონომიკაში ჩაახშო ეკონომიკური ზრდა და მოახდინა 1980-იანი წლების რეგიონული საფინანსო (სავალო) კრიზისის პროვოცირება“ (Rodrik D. 2017).

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ მომხრე ეკონომისტები ამ პოლიტიკას მიიჩნევდნენ ეკონომიკური მეცნიერების „ერთადერთ სწორ ხორცშესხმად“ (Rodrik D. 2017).

„ვაშინგტონის კონსენსუსი“ არ ითვალისწინებდა ინსტიტუტების გადამწყვეტ როლს საბაზრო რეფორმების ჩარჩოებში, რომლის გარეშე წარმატების მიღწევა მეტად რთული იყო და რიგ შემთხვევაში რეფორმატორთა მიერ დასახული მიზნების საწინააღმდეგო შედეგებს იწვევდა[2].

მსოფლიოში არსებული ბევრი მაგალითიდან შეიძლება პრივატიზაციის პრაქტიკა დასახელდეს, რომლის შედეგად საქართველოში მივიღეთ სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ქონების მითვისება ადამიანთა ვიწრო ჯგუფების მიერ (ე.წ. „ნომენკლატურული პრივატიზაცია“), მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში – პირდაპირი განიავება. პროცესების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პოლიტიკაში პრევალირებდა უნივერსალური მიდგომა, რომელიც ემყარებოდა არარეგულირებადი („თავისუფალი“) ბაზრების როლის გადაჭარბებულ შეფასებას. ცალკეულ შემთხვევაში რეფორმების წარუმატებლობამ ეკონომისტებში ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ არ არსებობს ყველა ქვეყნის კონკრეტულ რეალობაზე მორგებული უნივერსალური ეკონომიკური პოლიტიკა და აუცილებელია რეფორმატორული ღონისძიებების კონკრეტულ გარემოებებთან ადაპტირება (Rodrik D. 2017).

ამრიგად, სახელმწიფოს მასტაბილიზირებელი როლის უარმყოფელი, საყოველთაო პრივატიზაციის, დერეგულირების და ლიბერალიზაციის პრინციპებზე „პატარა სახელმწიფოს“ დოქტრინაზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებამ 1980 – 1990-იან წლებში და XXI საუკუნის დასაწყისში, ფრიად არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივი შედეგები მოიტანა. მისი პოზიტიური მხარე გამოიხატა იმაში, რომ ბაზრის მექანიზმის პრიორიტეტულმა გამოყენებამ აამაღლა ეკონომიკური სისტემის დინამიზმი და ხელი შეუწყო რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას. დერეგულირებამ გამოათავისუფლა კერძო ბიზნესის სამეწარმეო ენერგია და განსაკუთრებით საფინანსო სფეროში ხელი შეუწყო ფირმების მოგების გაზრდას. ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერთა პოზიციას აძლიერებს განხილულ პერიოდში აშშ-ს ეკონომიკაში განვითარებული პოზიტიური პროცესები: მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნა, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, ფასების სტაბილურობა, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ა.შ.

ნეგატიური შედეგებიდან აღსანიშნავია:

პირველი, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის მინიმიზაციის პოლიტიკამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება სოციალური პროგრამების საგრძნობი შეკვეცის ხარჯზე, ხელფასების „გაყინვა“, პროფკავშირების როლის დაკნინება, უმუშევართა დაზღვევის დაფინანსების შემცირება და ა.შ. პოლიტიკური შედეგები ყოველივე აღნიშნულისა გამოიხატა იმაში, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი – დაქირავებული მუშაკების ფენა ევროპის ბევრ ქვეყანაში უკიდურესად მემარჯვენე პოპულისტური პარტიების დასაყრდენად გადაიქცა მაშინ, როცა წინათ იგი სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის პარტიებს უჭერდა ძირითადად მხარს.

მეორე, „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ იდეოლოგიით ნასაზრდოებმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო „საბაზრო ფასეულობების“ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე გავლენის გაძლიერებას, მათ შორის იმ სფეროებზეც, რომლებიც ამ პრინციპებს არ უნდა ექვემდებარებოდეს. დ. როდრიკს მოჰყავს ერთ-ერთი მკვლევარის, სენდელის სიტყვები: „ჩვენ იმ დროში ვცხოვრობთ, როცა თითქმის ყველაფერი შეიძლება იყიდო და გაყიდო...იყიდება ყველაფერი“ (Rodrik D. 2017).[3]

[2] „ბაზრები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ ინსტიტუტების ფართო წრეზე, რომლებიც მათ ქმნის, არეგულირებს და ასტაბილიზებს... ეს ინსტიტუტები კი იურიდიული კონსტრუქციებია, რომლებსაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია. საკუთრება და კონტრაქტები არის ამ ინსტიტუტების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები“ (S. Naidu, D. Rodrik, G. Zucman, 2019).

[3] აღნიშნულთან დაკავშირებით ძალაუნებურად გვახსენდება „ქართული ლიბერტაიანიზმის მამად“ შერაცხული კ. ბენდუქიძის ცნობილი გამოთქმა:

მესამე, არ ხდებოდა იმის გათვალისწინება, რომ ეფექტიანობასთან ერთად, რომელზედაც აქცენტირებას ახდენდნენ ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები, საზოგადოებაში არსებობს სამართლიანობის დაცვის მოთხოვნის ობიექტური აუცილებლობა, რომლის მიმართ ბაზარი აბსოლუტურად ინდიფერენტულია. პირიქით, რესურსების შეზღუდულობის პირობებში ადამიანთა ერთი ჯგუფის გამდიდრება შეუძლებელია მეორის გაღატაკების გარეშე, რაც რეალურ ცხოვრებაში სწორედ რომ საბაზრო მექანიზმის მოქმედებით მიიღწევა. ამიტომ ბაზრის გაძლიერება მისი დამაბალანსებელი ძალის – სახელმწიფოს გარეშე იწვევს საზოგადოების დიფერენციაციის გაძლიერებას და სოციალურ–ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებას, რაც ბევრი მეცნიერისა და პოლიტიკოსის შეშფოთების საგანია[4].

მეოთხე, ბევრი ეკონომისტის აზრით, „საბაზრო ორთოდოქსიის“ იდეოლოგიაზე დამყარებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა გახდა 2007–2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის წარმოშობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი. ამ კრიზისს 1930–იანი წლების „დიდი დეპრესიის“ შემდეგ ანალოგია არ ჰქონია და სწორედ ამის გამო შევიდა ისტორიაში „დიდი რეცესიის“ სახელწოდებით. განსაკუთრებით ხაზი ესმება ფინანსური სექტორის დერეგულირების უარყოფით როლს. სწორედ დერეგულირებამ შეასუსტა ფინანსური ოპერაციების პასუხისმგელობა იმის გამო, რომ ისინი გამოყვანილი იქნენ სახელმწიფო კონტროლისგან და გააძლიერა სპეკულატიურ ოპერაციებზე მათი ორიენტაცია. ასევე არნახულად გაიზარდა რისკების ხარისხი. ლიბერალიზაციისა და დერეგულირების გაძლიერების პირობებში შესაბამისმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს ბაზარზე ფინანსური „ბუშტების“ წარმოქმნის პრევენცია.

აღნიშნული და რიგი სხვა მწვავე პრობლემიდან გამომდინარე, კეთდება დასკვნა: „ის, რასაც ნეოლიბერალიზმს უწოდებენ... ეკონომიკური მეცნიერების დაცინვაა“. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დომინირებადი ეკონომიკური პოლიტიკის ბევრი იდეა არ არის დასაბუთებული სწორი ეკონომიკური თეორიით და დამაჯერებელი არგუმენტებით (S. Naidy, D. Rodrik, G. Zucman, 2019).

გლობალიზაცია: სახელმწიფოს კვდომა თუ მისი ახალი როლი?

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დაიწყო გლობალიზაციის ინტენსიური პროცესი. ეკონომიკური გლობალიზაცია, ბევრი მკვლევარის აზრით, მოასწავებდა „თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის გავრცელებას მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში“ (Economic Report of the President. Washington, 2000, p.215; Nicholas V. Gianaris, 1996, p. 160, 161 და სხვ.) და გულისხმობდა საყოველთაო პრივატიზაციას. ამასთან ერთად, გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკის დერეგულირება და, ამავე დროს, რეგულირების გაძლიერება ზეეროვნული (ზესახელმწიფო), ანუ გლობალური მასშტაბით, რომელიც წარიმართებოდა ძლიერი და გავლენიანი საერთაშორისო საფინანსო–ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) კარნახით. გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მკვლევარი აყენებდა პერსპექტივაში სახელმწიფოს კვდომის საკითხს იქიდან გამომდინარე, რომ მის ყველა ფუნქციას თანდათანობით შეასრულებს ზესახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი სტრუქტურები (K. Ohme, 1990, p.17). ფრანგი პოლიტოლოგი ბ. ბადი ნაშრომში „სახელმწიფოს დასასრული“ წერდა: „გლობალიზაციის დამახასიათებელი ნიშანია ეროვნულ–სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დანგრევა გლობალური ფირმებისა და ტრანსნაციონალური სტრუქტურების (ქსელების) მხრიდან ზემოქმედების შედეგად“ (B. Badie, 1995, p. 12).

დასავლეთის თანამედროვე სოციოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელდა „სახელმწიფოს გარეშე მართვის“ თეზისი, რომელსაც სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მართვაში აქცენტი ეროვნული–სახელმწიფოებიდან ე.წ. „ქსელურ მართვაზე“ გადააქვს (J. N. Rossenaw, 2003, w3, c.30).

აღნიშნულ მოდელში ერთმანეთისგან ნათლადაა გამიჯნული სოციალური პროცესების მართვისა და ორგანიზაციის ვერტიკალურ–იერარქიული და ჰორიზონტალურ–ქსელური ტიპები. პირველი დაკავშირებულია უშუალოდ სახელმწიფოსთან, მეორე კი – ქსელურ საზოგადოებასთან. გაკეთებულია დასკვნა, რომ გლობალიზაცია იწვევს მეორის თანდათანობით გაქრობას და პირველის დამკვიდრებას.

ასეთი მოსაზრებები, ჩვენი აზრით, წარმოადგენს იმ სერიოზული სირთულეების გამოძახილს, რომლებსაც ეროვნული სახელმწიფოები ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპზე განიცდიან. იგი კანონზომიერად მომდინარეობს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია–ცენტრალიზაციიდან და ტნკ–ების როლის არნახული გაძლიერებიდან. შექმნილ გარემოებაში სახელმწიფოები იძულებული არიან დაემორჩილონ საკუთარი სუვერენიტეტის გარკვეულ შეზღუდვას ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ტრანზაქციური

„ყველაფრის გაყიდვაა შესაძლებელი სინდისის გარდა“.

[4] მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატი ჯ. სტიგლიცი აღნიშნავს, რომ 2010 წელს აშშ–ში მოქალაქეთა 1% ფლობდა ამ ქვეყნის GDP–ს 20%–ს, მაშინ, როცა სამი ათეული წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12%–ს შეადგენდა (**Д. Стиглиц, 2015, с. 16**). მეცნიერის აზრით, უთანასწორობამ იმ სტადიას მიაღწია, როცა იგი არა მარტო არაეფექტიანია, არამედ ეკონომიკური განვითარების მთავარ დაბრკოლებად გადაიქცა (**Д. Стиглиц, 2015, с. 16**). იგი ასევე წერს, რომ მზარდი უთანასწორობა და „მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ამ მცდარ თეორიებსა და იდეოლოგიებს ემყარება, აფერხებს საზოგადოებრივ–ეკონომიკურ პროგრესს“ (J. Stiglitz, 2012, p. 4).

დანახარჯების შემცირების ინტერესებიდან გამომდინარე. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა სამეურნეო და ფინანსური ინტეგრაცია ევროკავშირის ჩარჩოებში (Inozemtsev V. L., Kuznetsova E.S. 2002).

ევროკავშირის შიგნით რიგ ისეთ პროცესებს აქვს ადგილი (მაგალითად, საერთო ვალუტის – ევროს შემოღება და მონეტარული პოლიტიკის გადანაცვლება ცალკეული სახელმწიფოების ცენტრალური ბანკებიდან ევროპის ცენტრალური ბანკის კომპეტენციაში, ევროგაერთიანების მასშტაბით ერთიანი საგადასახადო სისტემის შექმნის ჯერ-ჯერობით წარუმატებელი მცდელობა ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან ამ იდეისთვის წინააღმდეგობის გამო და სხვ.), რომლებიც ბევრი მკვლევარის მიერ მიიჩნევა სახელმწიფო მოწყობის სამომავლო მოდელად და პრინციპულად იქნება განსხვავებული „ეროვნება-სახელმწიფოს" მოდელისგან (A. Linklater, 1998, p.200; M. Burgess, 2000, pp. 107-110, 140; T. Christiansen, K. Jougensen and A. Wiener, 2001, p. 14 და სხვ.)

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს, ჩვენი აზრით, ორ მნიშვნელოვან გარემოებას:

გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესებს, რა თქმა უნდა, საგრძნობი კორექტირება შეაქვს ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში, უპირველეს ყოვლისა, მისი სუვერენიტეტის შეზღუდვის კუთხით. სახელმწიფო შესაბამისი ორგანოების მეშვეობით ამუშავებს და ახორციელებს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელშიაც აქტიურად არიან ჩართული მოქალაქეები და ეს პოლიტიკას აუცილებელ ლეგიტიმაციას ანიჭებს.

პროცესების ცენტრში ორი სუბიექტია მოქცეული – მოქალაქე და სახელმწიფო ხელისუფლება. გლობალიზაციის დროს აღნიშნული ერთიანობა სერიოზულ გამოწვევებს ეჯახება. საერთაშორისო ინსტიტუტები, თუმცა, ფორმალურად არ წარმოადგენენ მმართველობის სტრუქტურებს, მაგრამ ისინი რეალურ ზემოქმედებას ახდენენ ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიკური ელიტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე და ეს ზეგავლენა გამუდმებით იზრდება. ზეგავლენის ინსტრუმენტები ფრიად მრავალფეროვანია: სხვადასხვა დახმარების და კრედიტების მიწოდება, სასურველი პირების საკვანძო თანამდებობაზე დანიშვნის ხელშეწყობა და ა.შ. მაშასადამე, ქვეყნის შიგნით აქტორების – „სახელმწიფო-მოქალაქე" ურთიერთობა სულ უფრო მეტად იღებს ასიმეტრიულ ხასიათს. სახელმწიფო მოხელეების ანგარიშვალდებულება გლობალური სტრუქტურების მიმართ ძლიერ იზრდება, საკუთარი მოქალაქეების მიმართ კი სუსტდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეროვნული სახელმწიფოს მოქალაქეებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ გლობალურ აქტორებზე ზემოქმედების ლეგიტიმური ინსტრუმენტები. მაშასადამე, რიგი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებშიც გლობალიზაციის პირობებში ეროვნული სახელმწიფოების მთავრობათა მიერაა მიღებული, ხშირ შემთხვევაში არ ექვემდებარება მოქალაქეთა მხრიდან კონტროლს და გამორიცხავს მათ მონაწილეობას პროცესებში.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებადი ქვეყნებისა და ზოგიერთი პოსტკომუნისტური ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) წინაშე. ამის გათვალისწინებით, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის ქვეყნებს ხშირად გლობალური ეკონომიკური სისტემების მუნიციპალიტეტებს უწოდებენ (K. Ohmae, 1993, pp. 78-89).

საქართველოს ხელისუფლება, ჩვენი აზრით, ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებულ ვალდებულებებს იღებს გლობალური აქტორების მიმართ და ისინი ნაკლებადაა შეთანხმებული საკუთარი მოსახლეობის შეხედულებებთან თუ ინტერესებთან. ამასთანავე, ბევრი გადაწყვეტილება ლეგიტიმურად მიიჩნევა არა ხალხის მხრიდან მათი ფართო მხარდაჭერის, არამედ გლობალურ აქტორებთან შეთანხმების გამო. არგუმენტი ამ შემთხვევაში ის არის, რომ გადაწყვეტილება შესაბამისობაშია საზღვარგარეთ არსებულ რაღაც პრაქტიკასთან. ბუნებრივია, რომ გადაწყვეტილებათა ამ წესით მიღება ეწინააღმდეგება საზოგადოების მიერ პოლიტიკის თავად განსაზღვრის პრინციპს, ნაკლებად დემოკრატიულია და აქვეითებს მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. გლობალიზაციის პროცესის სახელმწიფოზე საკმაოდ ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, „ეროვნული სახელმწიფოს კვდომის" თეზისი თეორიულად მცდარი და პრაქტიკული თვალსაზრისით კონტრპროდუქტიულია, რაზედაც სამართლიანად მიანიშნებენ ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები[5].

მსოფლიო ბანკის 1997 წლის ანგარიშის სახელწოდებაა „სახელმწიფოს ცვალებადი როლი". რა შეიძლება ვიგულისხმოთ ამ ცნების ქვეშ? გლობალიზაცია არნახულად აჩქარებს პლანეტარული მასშტაბით ცვლილებათა ტემპს და ამ პირობებში ბუნებრივია, რომ არც ერთი ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება გლობალური აქტორების ინტერესთა გათვალისწინების გარეშე. გლობალიზაცია ძლიერ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციებზე, იწვევს რეგულირების პრიორიტეტების, ინსტრუმენტების მექანიზმების და ა.შ. მნიშვნელოვან ცვლილებას. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანად იქცევა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული

[5] გლობალიზაციის პრობლემის ცნობილი ამერიკელი მკვლევარები ჯ. ნაი და ჯ. დონაჰიუ აღნიშნავენ: „გლობალიზაცია უდიდეს ზეგავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით მართვის პროცესებზე, მაგრამ ამით ეროვნული სახელმწიფო უსარგებლო არ ხდება, როგორც ამას ზოგიერთი წინასწარმეტყველი ქადაგებს... სახელმწიფო კიდევ დიდხანს დარჩება მართვის ძირითად მექანიზმად" (J. S. Nye, J. D. Donahue, 2000, p.57). მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტის ჯ. ვულფენსენის აზრით, „...კარგი მთავრობა დღეს ფუფუნება კი არ არის, არამედ სასიცოცხლო აუცილებლობაა. ეფექტიანი სახელმწიფოს გარეშე მყარი ეკონომიკური და სოციალური განვითარება შეუძლებელია" (отчет мирового банка за 1997 год. М., 2002, с. 32 და სხვ.).

ეკონომიკის დაცვა გლობალური ეკონომიკიდან მომდინარე პროცესებიდან, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კავშირებში მისი ინტგრაცია და ეროვნული ეკონომიკის გლობალური მასშტაბით კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ თვალთახედვითაა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოს როლის წარმოჩენა, რამეთუ მხოლოდ მისი უშუალო მონაწილეობითაა შესაძლებელი ეროვნული მეურნეობის გლობალური ეკონომიკის მიმართ თავსებადობის მიღწევა მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის დაჩქარების, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების, ინოვაციური წარმოების ყოველმხრივი მხარდაჭერის და ა.შ. გზებით (Mekvabishvili E. 2009).

გლობალიზაციის წინააღმდეგობებზე მსჯელობისას თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერი პროფ. ჯ. სტიგლიცი აღნიშნავს, რომ ისინი მომდინარეობენ არა საკუთრივ გლობალიზაციის ფენომენიდან, არამედ მისი ცუდი, არაეფექტიანი მართვიდან (J. E. Stiglitz, 2015, p.4). აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ორი დასკვნის გაკეთება. პირველი, აუცილებელია გლობალიზაციის წარმმართველი ზესახელმწიფო ინსტიტუტების სრულყოფა, რაც ახალი ხარისხის გლობალიზაციის მიღწევას უზრუნველყოფს და მეორე, ზესახელმწიფო ინსტიტუტების მისია (დანიშნულება) მდგომარეობს არა ეროვნული სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების ჩანაცვლებაში, არამედ გლობალური ეკონომიკის მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში.

„სახელმწიფოს ჩავარდნა" და მისი დაძლევის გზები

კაცობრიობის განვითარების ისტორიით დადასტურებულია, რომ ბაზარი ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა, რომელიც, როგორც წესი, ეფექტიანად ანაწილებს საზოგადოების განკარგულებაში არსებულ შეზღუდულ რესურსებს. ამასთან ერთად, ბაზარს ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანება (ხარვეზი), რასაც ეკონომიკურ თეორიაში „ბაზრის ჩავარდნას", ანუ „ბაზრის ფიასკოს" უწოდებენ. ამ ხარვეზების გამოსწორება ბევრ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია. თუმცა, სახელმწიფოც (მთავრობაც) არ არის დაცული ნაკლოვანებებისგან, რასაც „სახელმწიფოს (მთავრობის) ჩავარდნა „შეიძლება ვუწოდოთ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ხშირად, „მთავრობის ჩავარდნის" შედეგები ბევრად უარესია ბაზრის ჩავარდნასთან შედარებით, რომლის გამოსწორების მიზნითაც მთავრობის პოლიტიკა იქნა შემუშავებული (Weil D. N. 2016).

„სახელმწიფოს ჩავარდნის" გამოვლინების სხვადასხვა ფორმა არსებობს, რომელიც დამახასიათებელია როგორც განვითარებული, ასევე განსაკუთრებით განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის. იგი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ზოგჯერ:

- ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას;
- სათანადო დონეზე ვერ იცავს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას;
- ვერ ატარებს ეფექტიან სოციალურ პოლიტიკას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

ა) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

ბ) მწვავე უთანასწორობის შერბილება შემოსავლებისა და ქონების განაწილებაში;

გ) განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა ფენისთვის.

- ეფექტიანად ვერ ებრძვის მონოპოლიებს, ვერ ახერხებს ბაზრის ყველა სუბიექტისთვის სამართლიანი კონკურენციის გარემოს შექმნას;
- ჯეროვნად ვერ იცავს კერძო საკუთრებისა და კონტრაქტების ინსტიტუტებს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არარსებობის გამო;
- ვერ უზრუნველყოფს ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების დაცვის სათანადო დონეს;
- მოსახლეობას ვერ აწოდებს სათანადო რაოდენობისა და ხარისხის საზოგადოებრივ საქონელს;
- წარმატებით ვერ წყვეტს ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების ამოცანას.

მთავრობის (სახელმწიფოს) ჩავარდნას სხვადასხვა მიზეზები განაპირობებს, რომელთაგან, ჩვენი აზრით, ყველაზე მთავარზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველ რიგში შეიძლება დასახელდეს ეკონომიკურ პოლიტიკაზე იდეოლოგიის ჭარბი ზემოქმედება, რომლის „გადამცემ მექანიზმს" წარმოადგენს მეინსტრიმული ეკონომიკური თეორია (მიმართულება). იდეოლოგიის ხასიათს ხშირ შემთხვევაში, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მატერიალურ-ფინანსური ინტერესები განსაზღვრავს.

მსოფლიოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში კი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის თითქმის საწყისი პერიოდიდან, გამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკა ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პოსტულატებს ემყარება. ეს უკანასკნელი კი „ნასაზრდოებია" ნეოლიბერალიზმისა და ლიბერალიზმის პოლიტიკური ფილოსოფიით (იდეოლოგიით), რომლებიც „ახალ კონსერვატიზმთან" სიმბიოზით უპირატესად ფინანსური ელიტების ინტერესებს ემსახურება და მათ კიდევ უფრო მეტად გამდიდრებას ისახავს მიზნად.

ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთი ნაირსახეობა – მონეტარიზმი ეკონომიკის რეგულირების მრავალფეროვანი არსენალიდან მხოლოდ მონეტარული ინსტრუმენტების შეზღუდული მასშტაბით გამოყენების მიზანშეწონილობას აღიარებს. სინამდვილეში მაკროპრუდენციული პოლიტიკა არ დაიყვანება მხოლოდ მონეტარულ რეგულირებამდე.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ე.წ. თარგეთირების პრაქტიკა, რომელიც ბოლო პერიოდში

საკმაოდ გავრცელდა მსოფლიოში. იგი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლისთვის უპირატესობის მინიჭებას სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან შედარებით. ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც დღეს, ფაქტობრივად, უარი თქვა დისკრეციულ პოლიტიკაზე. ეს გამოიხატა საკანონმდებლო დონეზე საბიუჯეტო დანახარჯების და სახელმწიფო ვალის ზღვრული ოდენობის დადგენაში და აქციზის გამოკლებით, საერთოსახალხო გადასახადების გაზრდაზე მორატორიუმის დაწესებაში, რომლის შეცვლაც მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი (იგულისხმება ე.წ. „თავისუფლების აქტი"). აღნიშნულის შედეგად იზღუდება ე.წ. „ავტომატური სტაბილიზატორების" მოქმედება, რომელიც ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში საბაზრო სისტემის რყევების შერბილებისკენაა მიმართული.

სახელმწიფოს (მთავრობის) ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზია მმართველი პერსონალის ხშირ შემთხვევაში არასაკმარისი კომპეტენცია, რომელიც პროფესიონალური ცოდნის დეფიციტიდან მომდინარეობს. ჩვენთან, საქართველოში ხშირად ხდება ეკონომიკისა და ბიზნესის გაიგივება. რა თქმა უნდა, ბიზნესი ეკონომიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია, მისი მამოძრავებელი ძალაა. ამასთანავე, ეკონომიკა გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, ვიდრე ბიზნესი, რის გამოც, წარმატებული ბიზნესმენობა არ არის ეფექტიანი და წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის უპირობო გარანტი.

განვითარებულ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფოს (მთავრობის) ჩავარდნას მნიშვნელოვნად განაპირობებს ინსტიტუტების სისუსტე და განუვითარებლობა. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებისთვის მათ მნიშვნელობაზე მიუთითებდა თავისუფალი ბაზრის პირველი აპოლოგეტი ადამ სმიტი (Smith A. 1938, გვ. 21-22).

საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს ჩავარდნის გამომწვევი მიზეზია მმართველობის სტრუქტურებში არსებული კორუფცია. განსაკუთრებით მაშინ, როცა კორუფცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში აღწევს, სახელმწიფო „დამხმარე ხელიდან" „მძარცველ ხელად" გადაიქცევა.

ბიუროკრატია საკუთარ მდგომარეობას პირადი გამორჩენისთვის იყენებს და ზრდის რეგულაციებს, რაც ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს[6]. ამიტომ არსებული რეგულაციების გაფართოებაზე ან ახლის შემოღებაზე როცა მსჯელობენ, კარგად უნდა გაირკვეს მათი მიზანი: ბიუროკრატიის ინტერესებს პასუხობს ეს პროცესი თუ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. „კლეპტოკრატია" დამღუპველია ეკონომიკისთვის და მთლიანად საზოგადოების სწორი მიმართულებით განვითარებას უშლის ხელს. მაშასადამე, სახელმწიფოს როლის გაზრდა ეკონომიკაში მხოლოდ მაშინაა წარმატების მომტანი, როცა ადმინისტრირებას პატიოსანი და კომპეტენტური ბიუროკრატია ახორციელებს. სახელმწიფოს (მთავრობის) ჩავარდნის ზომის შემცირება, მისგან მომდინარე უარყოფითი შედეგების შერბილება რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი მოითხოვს სისტემური ხასიათის ცვლილებების გატარებას. აქ ჩვენ მოკლედ იმაზე ვიმსჯელებთ, საქართველოში რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკურ პოლიტიკაზე საქართველოს რეალობაში, წმინდა პოლიტიკური პროცესები ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას,

ცვლილებები პირველ რიგში ქვეყნის პოლიტიკურ მოწყობას უნდა შეეხოს. რა თქმა უნდა, ამ საკითხში „ახალი ველოსიპედის" გამოგონება არ არის საჭირო. სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას ის პრინციპები უნდა ედოს საფუძვლად, რომლებმაც თავის დროზე აშშ-ს კონსტიტუციის შინაარსი განსაზღვრა: ძალაუფლების სხვადასხვა ცენტრებზე გადანაწილება, მათი ურთიერთკონტროლი და, ამავე დროს, თითოეული მათგანის უფლებამოსილების შეზღუდვა.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყნის მიერ ისტორიული წარმატებების მიღწევა განპირობებულია არა ბუნებრივი რესურსების სიუხვით ან/და ტექნოლოგიებით, არამედ მართვის ეფექტიანობით. შესაბამისად, მართვის ეფექტიანობის ამაღლება და ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფოს (მთავრობის) ჩავარდნის შემცირებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. აღნიშნული მიზნით აუცილებელია:

- სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის სრულყოფა;
- სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის რეფორმირება და სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების თანამედროვე სისტემის შექმნა. ამ პროცესში როგორც მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების, ისე საქართველოს კონკრეტული ისტორიული პირობების, მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის სპეციფიკის გათვალისწინება;
- სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირების მეთოდური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- მართვის სისტემის შემდეგი ოპტიმიზაცია და დემოკრატიზაცია;
- მოქალაქეთა ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში. სახელმწიფო – მმართველობითი სტრუქტურების საქმიანობის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ბალანსის დამყარება და შენარჩუნება;
- ხელისუფლების ორგანოებზე ქმედითი კონტროლის უზრუნველყოფა, რამაც უნდა გამორიცხოს ხელისუფლე-

[6] „კლეპტოკრატია-უმრავლესობა ხელისუფლებაში დარჩენაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ეკონომიკური „ნამცხვრის" ზომის გაფართოებაზე, საიდანაც მათ შეუძლიათ ნაჭრის მიღება" – დევიდ. ნ. უეილი. 2016, გვ.352.

ბის ბოროტად გამოყენება, კორუფცია და სხვა ნეგატიური მოვლენები.

აღნიშნულთან ერთად აუცილებელია ყველა დონის მმართველთა პროფესიული ზრდა, მათი მენეჯერული უნარების განვითარება, ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობის შეფასებისადმი ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის უზრუნველყოფა, მათი მოტივაციისა და სტიმულირების სისტემების განვითარება. მნიშვნელოვანია თანამედროვე ტიპის მოხელის მომზადება, მისი შემდგომი ფართომასშტაბიანი სისტემური გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნა–განვითარება, უმაღლეს ადმინისტრაციულ პერსონალთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწა, მათი საკონსულტაციო–მეთოდური მხარდაჭერის დონის ამაღლება. ყოველივე ამან, საბოლოო ანგარიშით, ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო მართვის სისტემის მოდერნიზაციას, მისი მოქნილობის ზრდას, ინოვაციური პოტენციალის ამაღლებას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

დასკვნა

სახელმწიფოს ზემოქმედებას ეკონომიკაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ საკითხზე მოსაზრებები ჯერ კიდევ ძვ.წ.ა. 22–ე საუკუნეშია გამოთქმული ეგვიპტეში შექმნილ ე.წ. „გერაკლეოპოლის მეფის ინსტრუქციებში“ (Silagadze A. 2018). სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე ცალკეული შეხედულებები ჩამოყალიბებულია ძველი ბერძენი და რომაელი მოაზროვნეებისა და ფილოსოფოსების თხზულებებში.

კაპიტალიზმის ეპოქის დაწყებამ სახელმწიფოს ეკონომიკასთან მიმართების პრობლემას ახალი ჟღერადობა შესძინა. საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების წესი აღნიშნულ ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვეული კანონზომიერების გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა. სახელდობრ, ნორმალური განვითარების პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შედარებით სუსტდება, რეცესიისა და კრიზისის პერიოდებში კი – ძლიერდება. ამის ნათელი დადასტურებაა 2007–2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, რომლისგანაც თავის დაღწევა სახელმწიფოს აქტიური ანტიკრიზისული პოლიტიკის საშუალებით მოხერხდა. მათ შორის, გამოყენებული იქნა კაპიტალისტური ეკონომიკური სინამდვილისთვის არატიპიური მექანიზმები და მეთოდები. კრიზისის დასრულების შემდეგ წარმოიშვა მოსაზრება ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ და პოსტკრიზისულ განვითარებაში გაჩენილი სირთულეები სახელმწიფოს „დაბრალდა“.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი საგრძნობლად იცვლება, თუმცა, არ უქმდება. დღეს სახელმწიფოსა და ეკონომიკის დიალექტიკური ერთიანობის განმსაზღვრელი პრინციპია მათი თანამშრომლობა, რომელიც რთულ, გაურკვევლობის მაღალი ხარისხით გამორჩეულ და სწრაფად ცვალებად მეგა და მაკრო გარემოში ეკონომიკური სუბიექტების შედარებით უმტკივნეულო ადაპტირების შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის „ზევით“ ან „გვერდით“, არამედ ორგანულადაა „ჩაშენებული“ საბაზრო ეკონომიკაში და მისი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორია, რომელიც, პირველ რიგში, პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამასთანავე, გლობალიზაციის ეპოქაში, არც ერთი ქვეყნის მთავრობას არ ძალუძს ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა გლობალიზაციის პროცესის და გლობალური მოთამაშეების ინტერესთა გათვალისწინების გარეშე. უფრო მეტიც, ამჟამად სახელმწიფოს (მთავრობის) უპირველესი ამოცანაა არა ქვეყნის ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორების ზეგავლენისგან, არამედ ეროვნული სამეურნეო სისტემის გლობალურ ეკონომიკაში ეფექტიანი ჩარევის (ინტეგრირების) უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Asatiani R. (2010). Globalization, Economic Theory and Georgia. [Globalizatsia, Ekonomikuri Teoria da sakartvelo.] «News».
2. Aristotle (1995-1996). Politics: part I/II [Politika: natsili I/II], Tbilisi, 1995, 1996.
3. Blanchard O. (2010). Macroeconomics. [Makroekonomika.] Tbilisi University Press.
4. Castells, M. (2003). The scale of the game. magazine. “Economic strategies” №3.
5. Mankiw G. N. (2008). Principles of Economics. [Ekonomikis Printsipebi.] Publisher «Diogene».
6. Mekvabishvili E. (2009). Globalization of Economics: Directions, Challenges, Prospects. [Ekonomikis Globalizatsia: Mimartulebebi, Gamotsvevebi, Perspektivebi.] Publisher «Innovation».
7. Mekvabishvili e. (2018). The Financial Crisis of the Epoch of Globalization and the Economy of Georgia. [Globalizatsiis Epokis Finansuri Krizisebi da Sakartvelos Ekonomika.] Publisher «Intellect».
8. Roseanne H. S. (2006). Public Finances. [Sajaro Finansebi.]
9. Silagadze A. (2018). The Origins of Economic Science. [Ekonomikuri Metsnierebis Sataveebtan.] Tbilisi University Press.
10. Smith A. (1938). An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations. [Gamokvleva Khalkhta Simdidris Bunebisa da Mizezebis Shesakheb.]

11. Weil D. N. (2016). Economic Growth. [Ekonomikuri Zrda.] Tbilisi University Press.
12. Hayek F. (2002). The Road to Serfdom. [Gza Monobisken.]
13. Badie B. (1995). La fin des territories.
14. Burgess M. (2000). Federalism and European Union: The Building of Europe, 1950-2000. London, New-York.
15. Christiansen T. Jougensen K. and Wiener A. (2001). The social construction of Europe. London.
16. Economic Report of the President (2000). Washington.
17. Gianaris N. V., (1996). Modern Capitalism: Privatization, Employee Ownership, and Industrial Democracy. Westport.
18. Hutton W. (2002). The World We're in. London: Little Brown.
19. Inozemtsev V. L., Kuznetsova E.S. (2002). The Return of Europe. Strokes to the portrait of the Old World in the new century. M. [Vazvrashenie Evropi. Shtrikhi k Portretu Starava Sveta v Novam Staletii. M]
20. Linklater A. (1998). The Transformation of Political Community: Ethical Foundations of the Post-Westphalian Era. Columbia (SC).
21. Meltzer A. H. (2005). Origins of the Great Inflation. Federal Reserve Bank of St. Louis Review.
22. Naidu S., Rodrik D., Zucman G. (2019). Economics After Neoliberalism. Boston Review, April 29, http://bostonreview.net/forum/suresh-naidu-dani-rodrik-gabriel-zucman-economics-after-neoliberalism.
23. Nye J. S., Donahue J. D. (2000). Governance in a Globalizing World.
24. Ohmae K., (1990). The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy.
25. Ohmae K., (1993). The Rise of Regional Economies.
26. Pierson Ch., (1995). Beyond the Welfare State? Cambridge.
27. Rosenau J. N., (1992). Governance without Government: Order and Change in World Politics. N. Y.
28. Rodrik D., (2016). The economy decides: the strength and weakness of the "dark science". [Ekonomika Rishaet: Sila i Slabasts "Mrachnai Nauki".]
29. Stiglitz J. E., (2015). The Price of Inequality. [Cena Neravenstva.] N. Y.
30. Thurow L. C., (1981). The Zero-Sum Society: Distribution and the possibilities for economic change. London.
31. World Bank Report 1997. M., (1998). [Otchot Miravova Banka.]
32. Kastels M. (2003). Game Scale. [Mashtab Igri.] journal "Economic Strategy."

JEL Classification: B10, F60, F68 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002

THE ECONOMIC ROLE OF THE STATE IN CONDITIONS OF GLOBALIZATION

ELGUJA MEKVABISHVILI
Doctor of Economic Sciences, Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Academician of the Academy of
Economic Sciences of Georgia, Georgia
elguja.mekvabishvili@tsu.ge

KEYWORDS: ECONOMIC ROLE OF THE STATE, ECONOMIC GLOBALIZATION, „PENDULUM EFFECT“, ECONOMIC POLICY, ECONOMIC SOVEREIGNTY, ECONOMIC LIBERALIZATION, DEREGULATION, «SMALL STATE»

For citation: Mekvabishvili, E. (2019). The Economic Role of the State in Conditions of Globalization, *Globalization And Business, №8*, pp. 22-33. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.002

SUMMARY

State (government) intervention in the economy has a long history. This issue has become especially crucial after the formation of the market economy. The cyclical (uneven) nature of market economy development determines state`s intervention with various levels in certain periods. the role of government in economy is getting more important in recession and crisis periods and it is becoming less important in a period of the normal development of the economy. The most obvious proof of this is the global financial and economic crisis of 2007-2008, that has been overcome by the active anti-crisis policy of the State. The government's role in the economy during the post-crisis period was relatively weakened. Globalization significantly changes the state`s economic role, but it does not nullify it. Nowadays, the relationship between the state and the economy is crucial and beneficial for both sides.

In the modern economic system the state has one of the most important parts of the market economy. Unlike the private market, which is determined by the profit and-loss categories, the main objective of the State›s economic activity is to maximize welfare of the entire society. Governments of the countries participating in the globalization process are not able to carry out economic policy without taking into consideration the interests of the global members - international financial and economic institutions, transnational companies (TNCs) and regional unions.

JEL Classification: H63 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.003

MONITORING OF KEY INDICATORS OF THE STATE DEBT OF UKRAINE: MODERN TRENDS

LYUTYY IGOR

Doctor of Economics, Professor
Chief of Finance Department
Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine
yljuda@ukr.net

NAKONECHNA YULIIA

PhD in Economics, Associate Professor,
Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine
tematika@ukr.net

DEMYDENKO LIUDMYLA

PhD in Economics, Associate Professor,
Taras Shevchenko National University of Kyiv, Ukraine
ipr.demydenko@gmail.com

KEYWORDS: PUBLIC DEBT OF UKRAINE, GUARANTEED BY THE STATE DEBT, INTERNAL LENDERS, EXTERNAL LENDERS, DEBT SERVICING, DEBT SECURITY, GOVERNMENT DEBT POLICY, PUBLIC FINANCES.

For citation: Lyutyy I., Nakonechna Y., Demydenko L. (2019), Monitoring of Key Indicators of the State Debt of Ukraine: Modern Trends, *Globalization And Business, №8*, pp. 34-43. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.003

INTRODUCTION

In the context of the reform of public finance management in Ukraine, the need to form an effective debt policy of the state, including mastering the main methods of public debt management, such as monitoring of the indicators of state and guaranteed debt of Ukraine, is important.

The monitoring of public debt is a process of constant monitoring of the indicators of state debt in dynamics and in comparison with the main macro indicators, which allows to assess the quality of debt policy in modern conditions.

The purpose of this article is to monitor the indicators of state and state-guaranteed debt in the context of the need to ensure the sustainability of public finances.

The subject of the study is the practical aspects of monitoring the indicators of Ukraine's public debt in the conditions of ensuring the macro-fiscal stability and improving the quality of management in the field of public finances in Ukraine.

The object of the research is the process of forming the state debt of Ukraine.

The theme of state debt is paid to the attention of a wide range of foriegn and domestic researchers, among which the most well-known works are A. Auerbach, W. Gale, A. Krupkin, T. Bogdan, V. Lisovenko, O. Horn, L. Sidelnikova, V. Fedosov, I. Chugunov, and others. At the same time, the question arises of the need to introduce monitoring of public debt indicators on a regular basis in order to implement effective tactics and strategies for managing public debt in Ukraine. The analytical report "Debts: time to take and time to give. Global Trends and Challenges for Ukraine "[12] focuses on a comparative analysis of fiscal parameters and debt load in different countries, the issue of external debt in Ukraine.

RESEARCH METHODOLOGY

The methodological basis of the writing of the article became the general scientific methods of cognition (dialectics, analysis, synthesis, systemicity, analogy, historicism, system analysis). The article uses the generally accepted methodology for calculating the main indicators characterizing the state's debt policy. The method of expert assessments analyzes the condition of the state debt and prospects of its servicing in Ukraine. Statistical and analytical methods have been used for

the processing of statistical data on the study of the dynamics of indicators of state and state-guaranteed debt in Ukraine.

The sources of information were the materials of the Ministry of Finance of Ukraine, the State Treasury Service of Ukraine, as well as the Budget Code of Ukraine, laws and regulations of Ukraine relating to the budget sphere, scientific works of domestic and foreign scientists.

Further research with the use of expert and documentary methods of the consequences of reforms to ensure the quality of public administration in the field of public finances in Ukraine and the identification of its results will be required, as reflected in the following publications.

In the context of representative democracy, the taxpayer as a user of public services and as a citizen is mostly interested in three things: the number and quality of public services and their value personally for him. Measures, methods and financial instruments that ensure financial stability and welfare in the country are the competence of public financial management bodies. Their main task is to establish a clear relationship between the level of satisfaction of public needs and product indicators, costs, efficiency and effectiveness of the use of budget funds, as well as provide the necessary conditions for optimizing the debt burden on the state budget. The borrowed funds affect the processes of economic life of the state, may act as a tool for revitalizing the socio-economic development of the state, and, conversely, as a factor in the strengthening of financial risks, which adversely affects the ability of the state's financial system to sustain and ensure sustainable economic growth.

The need to finance the budget deficit causes the expansion of the state's internal and external borrowing and affects the growth of government debt, but significant budget expenditures, deficit, and public debt are not in themselves destructive factors of the economy.

In the opinion of the well-known economist J. Stiglitz, new jobs and economic growth do not arise if they release workers and reduce public spending. Taking advantage of the tactics of a radical cut in public spending, US President Herbert Hoover "broke" the stock market crash to a great deal of depression. Regarding state debt problems, J. Stiglitz recalls the fact that a decade ago, when, at that time, Federal Reserve Chairman A. Greenspan was concerned, the current budget surplus could cause the payment of all national debt, which would complicate the implementation of monetary policy, in particular the sphere of raising (decreasing) the interest rate, through the sale (purchase) of treasury bills, but if there is no public debt, then there will be no government securities to sell and buy them (Stiglitz, 2015).

Consequently, J. Stiglitz believes that the traditional approach to the need to reduce the size of the budget deficit, the implementation of measures to reduce costs, radical savings does not improve, but worsens the financial condition of the state, as the aggregate demand decreases. At the same time, the enormous amount of the budget deficit and debt is a signal of the need for fiscal consolidation measures, but it is not clear what fiscal policy can be most effective.

In the book by J. Stiglitz (Stiglitz, 2012), the author identifies three strategic directions of government action that can have a stimulating effect on the economy while maintaining public debt attention (Table 1).

Table 1
Strategies to stimulate the economy in the light of public debt

Strategies	Content of strategies
1. Government borrowing and investment	The state may borrow today to invest in the future - for example, to provide quality education for the poor and for the middle class, to develop technologies that increase the demand for skilled labor and at the same time ensure the protection of the environment. These high-yield investments allow the government to pay off loans at a very low rate. The return on public investment is quite high, as it is possible to attract credit resources cheaply and for a long time. Today there is a demand for government securities - treasury bills at interest rates around zero. The strategy of investing in the country's future in the medium or long-term may reduce the national debt, but in the short run the state will borrow.
2. Balanced Budget Multiplier.	Taxes themselves slow down the growth rate of the economy, but spending stimulates them. A balanced increase in taxes and an increase in budgetary expenditures leads to GDP growth. If the current deficit remains unchanged, it can be argued that these are measures that stimulate the economy. The magnitude of the growing GDP that comes from increasing taxes and expenditures is a multiplier of a balanced budget. At the same time, GDP growth can be two to three times higher than public spending. In the medium term, while the budget deficit remains unchanged - the debt of the state decreases because of the increased tax revenues from high GDP growth.
ეკონომიკური ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ფინანსურ სისტემას შეუძლიან ფულის აკუმილაცია, რომელიც მნიშვნელოვანია ინდუსტრიის განვითარებისათვის, საბანკო სისტემას შეუძლია, ის საწარმოები გამოავლინოს და განავითაროს, რომლებიც ეფექტიანად განახორციელებენ ინოვაციებს (Ross Levin, 1997: 688-726), ხოლო ჯოანა რიბინსონი კი წერდა, რომ ფინანსურ ნაკადებს განსაზღვრავენ საწარმოები. მის მსგავსად, რობერტ ლუკასის თეორიით, ფინანსური ფაქტორების როლი ეკონომიკურ ზრდაში უმნიშვნელოა, რამდენადაც ფინანსურ გადაწყვეტილებებზე მოთხოვნას ეკონომიკური განვითარება ქმნის, ხოლო საფინანსო სისტემა კი ავტომატურად რეაგირებს ამ მოთხოვნებზე. წარმოება წამყვანია, ხოლო საფინანსო სექტორი მის დინებას მიყვება (Hyoungsoo Zang, Young Chu Kim: 2007; Jagadish Prasad Bist, 2018).

დღეს ეკონომისტებში ერთ-ერთი აქტუალური თემაა, თუ რამდენად ზემოქმედებს ფინანსურ სისტემა ეკონომიკაზე და რა კორელციური კავშირი აქვთ ფინანსურ ბაზრებსა და ეკონომიკის ზრდას სხვადასხვა ქვეყანაში. ეკონომისტების ერთი ნაწილი ჯერდება იმას, რომ ხანგრძლივვადიან პერიოდში მათი კავშირი ცხადია და ვლინდება (Pradhan, R.P., Arvin, M..B., Bahmani, S., Hall, J.H., Norman, N., 2017). ხოლო მეორე ნაწილი კი კონკრეტული ქვეყნების მაგალითზე ასაბუთებს, რომ ეს კავშირი ცალკეული ქვყენების ჯგუფში და განვითარებულ ქვეყნებში სუსტია (Narayan, P. K., Narayan, S. 2013:70-78; Ayadi, R., Arbak, E., Naceur, S. B., De Groen, W. P, 2013; Ductor, L., Grechyna, D. , 2015: 393-405; Grassa, R., Gazdar, K: 2014: 493-514; Mhadhbi, K. 2014: 48—58.). სხვები ზღვრული რეგრესიის მოდელის (Threshold regression model) გამოყენებით ასაბუთებენ, რომ როდესაც ფინანსური სექტორის განვითარება აღწევს ზღვარს, მაშინ მისი შემდგომი განვითარება იწვევს ეკონომიკის დაცემას (Law, S. H., Singh, N., 2014: 36—44; Samargandi, N., Fidrmuc, J., Ghosh, S. 2015: 66—81.; Arcand, J. L., Berkes, E., Panizza, U. 2012; Rousseau, P. L., & Wachtel, P. 2008; Demetriades, P. O., & Rousseau, P. L., 2015). ფინანსურ ბაზრებს უფრო მეტი ეფექტი აქვთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში (Deidda, L., Fattouh, B. 2002: 339—345). ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნების ჯგუფში კვლევების შედეგები განსხვავებულია.

ბოლო ათწლეულებში კაპიტალის ბაზრები ბევრ ქვეყანაში გაფართოვდა, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. ის გარემოება, რომ განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ბაზრები ვითარდება 3-4 ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში და გლობალური ბაზრების განვითარების პროგნოზით, მომავალი 10 წლის განმავლობაში იგი 40-70-პროცენტით გაიზრდება (William Wright, Panagiotis Asimakopoulos, Eivind Friis Hamre, 2019), მეტყველებს მის მზარდ და რაციონალურ როლზე ეკონომიკაში.

კაპიტალის ბაზრის განვითარება ყოველთვის განიხილებოდა როგორც რისკიანი საქმიანობა, განსაკუთრებით საქართველოში, რამდენადაც ადგილობრივი ვალუტის ხშირი და ღრმა რყევები ამცირებდა კაპიტალის ბაზრის საიმედობას.

რისკს, არასტაბილურობასა და გაცვლითი კურსის რყევებს ემატება კორპორაციული მართვის კულტურაც და გამჭვირვალობის პრობლემებიც. მსოფლიოში ეს პროცესები ეჭვქვეშ აყენებენ ფინანსური გლობალური კაპიტალური ნაკადების სარგებელს თითქმის ყველა ქვეყანაში (Stiglitz, J. E 2002; Arcand, J. L., Berkes, E., Panizza, U, 2012). ეს საკითხი კიდევ უფრი მწვავედ დადგა საერთაშორისო და სამამულო ლიტერატურაში და კიდევ უფრო მეტად გამწვავდა დებატები 2008-2009 წლების გლობალური ფინანსურ კრიზისის შემდგომ პერიოდში (Milesi-Ferretti, Gian Maria, Cedric Tille, 2011: 289-346; Lane, Philip R., Gian Maria Milesi-Ferretti, 2011). კაპიტალის ბაზრის წინაშე გაჩნდა ახალი გამოწვევები და მოსალოდნელი თანამდე არასასურველი შედეგები.

ყოველივე ამან კვლავ დააყენა საკითხი კაპიტალის ბაზრების განვითარების რაციონალიზმის შესახებ და იმ ფუნდამენტური ფაქტორების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ ამ ბაზრის განვითარებაზე.

საქართველოში კაპიტალის ბაზრის ფორმირების წინააღმდეგობრივი გზა

საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კაპიტალის ბაზრები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ინერგებოდა საერთაშორისო სტანდარტები, კაპიტალის ბაზრები ფრაგმენტულად ვითარდებოდა. ამ საუკუნის 10-იან წლებამდე საქართველოს არ გააჩნდა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია.


2000 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა საფონდო ბირჟა და შეიქმნა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, როგორც დამოუკიდებელი სამსახური. ამასთან მიღებული იქნა კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ". საფონდო ბირჟა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა. 2008 წლამდე 300-მდე სააქციო საზოგადოება იყო დაშვებული საფონდო ბირჟაზე და 40-ზე მეტი საბროკერო ფირმა ასრულებდა საინვესტიციო ინსტიტუტების ფუნქციას. ვაჭრობა ღია წესით ხორციელდებოდა, გარიგებები გამჭვირვალე იყო და ადგილი ჰქონდა თავისუფალ ფასწარმოქმნას. 2008 წელს საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დაშვებულ იქნა ბირჟის გარეთ ვაჭრობა, ღიაობის და ტრანსფარენტულობის მოთხოვნები ლიბერალური გახდა. წარმოიშვა ე.წ. დახურული ვაჭრობა, რომელიც დაბალი ტრანზაქციული ხარჯებით გამოირჩევა. გაუქმდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია და საფონდო ბირჟაზე ზედამხედველობა დაევალა ეროვნულ ბანკს, რომელიც იქცა მეგარეგულატორად.

საქართველოში ფულის კონცენტრაციის სფეროში საბანკო სისტემა კიდევ უფრო გაძლიერდა, რამდენადაც იგი ფაქტიურად ფლობს საფონდო ბირჟას კერძო საკუთრებაში და საფონდო ბირჟის აქციათა ნახევარზე მეტი კომერციული ბანკის საკუთრებაშია, რაც აძლევს მას საშუალებას, საბანკო კაპიტალის ალტერნატიული წყარო – საფონდო ბირჟა – არ გახდეს საბანკო კაპიტალის კონკურენტი (Banking and Capital Markets M&A Outlook, 2019)[1].

2008 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საბროკერო ფირმების რაოდენობა შემცირდა, რამდენადაც მათ გაეზარდათ საწესდებო კაპიტალის მოცულობა, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ კომერციულ ბანკებთან არსებულ საბროკერი ფირმებს შეეძლოთ. 2018 წელს მხოლოდ 11 საბროკერო ფირმა დაფიქსირდა, რომელთა დიდი ნაწილი კომერციული ბანკების ფილიალია.

საფონდი ბირჟების საქმიანობა, ისევე როგორც კორპორაციათა მენეჯმენტი, ვერ განვითარდა. თუ 2000 წელს საფონდო ბირჟის ბრუნვის მაჩვენებელი 12.8 პროცენტს შეადგენდა და მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში 5,03 პროცენტი იყო, 2012 წელს ბრუნვამ შეადგინა 0,24 პროცენტი და მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში კი – დაეცა 0.9 პროცენტამდე. შედეგად საქართველოზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს აღმოაჩნდათ სააქციო ბაზრის კაპიტალიზაციის უკეთესი მაჩვენებლები (მაგალითად, კენიაში 2013 წელს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობამ შეადგინა მთლიანი სამამულო პროდუქტის 3.3 პროცენტი) (მსოფლიო ბანკი).

გრაფიკი 1



წყარო: მსოფლი ბანკის მონაცემები, წელი 2012. https://databank.worldbank.org/data/source/global-financial-development/Type/TABLE/preview/on№advancedDownloadOptions

საქართველოში ბაზრის კაპიტალიზაცია მთლიან სამამულო პროდუქტთან 2007 წელს 10 პროცენტს მიაღწია, თუმცა შემდგომ შემცირდა მნიშვნელოვნად და განახევრდა. სხვა ქვეყნებთან შედარებით ეს მაჩვენებელი ძალზედ დაბალია. ასევე დაბალია ბირჟის ბრუნვა. მსოფლის ბანკის მონაცემებით, 2012 წელს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ღირებულებამ შეადგინა მთლიანი სამამულო პროდუქტის 0,01 პროცენტი, მაშინ როდესაც ჩინეთში ეს მაჩვენებელი 56.6 პროცენტია, თურქეთში – 35 პროცენტი, ხოლო რუსეთში კი – 19.8 პროცენტი. მართალია, რუსეთის ფედერაციაში ეს მაჩვენებლი ბოლო პერიოდში შემცირდა, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად აღემატება ბალტიისპირეთის ქვეყნების მაჩვენებელსაც.

[1] მსოფლიოში საბანკო და კაპიტალის ბაზრებზე გაერთიანებისა და შერწყმის ტენდენციის გაღრმავებას ვარაუდობენ. (Banking and Capital Markets M&A Outlook, Deloitte, Will it be a stellar year for banking and capital markets mergers and acquisitions? 2019
https://www2.deloitte.com/us/en/pages/financial-services/articles/banking-securities-mergers-acquisitions-outlook.html)

საფონდო ბაზარმა საქართველოში დაკარგა აქციებზე საბაზრო ფასწარმოქმნის ფუნქცია. შესაბამისად, აქციებით თუ სხვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ყოველგვარ აზრს მოკლებული გახდა. მთელი საფონდო ბაზარი რუხმა, არა-ტრანსპარენტულმა „ველურ-ლიბერალურმა" ბაზარმა ჩაანაცვლა (Aslanishvili).

საქართველოში იყო ცდა, საქართველო გამხდარიყო რეგიონალური ფინანსური ცენტრი და მომხდარიყო ფინანსური ინსტიტუტების, საფონდო ბირჟებისა და სხვა კომერციული ინსტიტუტების კონცენტრაცია, ფინანსური ლიბერალიზაციის ფონზე გაზრდილიყო საერთაშორისო ტრანსაქციების და გარიგების ოდენობა. ამ მიზნით 2008 წლის დასაწყისში შეიქმნა კანონი „საფინანსო სექტორის გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ", რომლის მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა გლობალურ ფინანსურ ცენტრად, ფინანსური სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში და სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება.


ეს ფინანსური სტარტეგია შესაბამებაში უნდა ყოფილიყო საფონდო ბირჟის ლიბერალურ პოლიტიკასთან და შემდგომ საგადასახადო რეფორმებთან, რომელიც დაემყარებოდა საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივ შემცირებას, დივიდენდსა და პროცენტზე გადასახადის გაუქმებას, მოქნილ საგადასახადო რეჟიმს ფინანსური ინსტიტუტებისათვის და სხვ. თუმცა 2008 წლის შემდგომ განვითარებული მოვლენების გამო კანონი 2009 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა. საქართველო დამოკიდებული აღმოჩნდა საბანკო კაპიტალსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, ხოლო პორტფელური ინვესტიციების შემოდინება არასტაბილური იყო.

2016 წელს საქართველოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად პირველად საქართველოში შემუშავდა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია და ზოგადი გეგმა. თუმცა მომდევნო წლებში მის განხორციელებას ეფექტი არ მოჰყოლია და საჯარო შეფასებებიც არ გაკეთებულა. საფონდო ბირჟის განვითარება საკანონდებლო ცვლილებების გარეშე შეუძლებელი გახდა.


საქართველოს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრები არის გარიგებებით სეგმენტირებული, სადაც დომინირებს ბანკების აქციები. ამასთან, საფონდო ბირჟების მეშვეობით კაპიტალის შიდა და გარე წყაროების გაფართოების ნაცვლად ქვეყნის საერთაშორისო ვალი იზრდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საერთაშორისო ვალი უფრო მიმზიდველი გახდა, ვიდრე ადგილობრივი კაპიტალის ბაზარი, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე და განსაკუთრებით კი – ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე. დღესდღეობით საქართველოს საგარეო ვალი 5 მლრდ-ს აშშ დოლარს აღემატება, ხოლო საფონდო ბირჟის კაპიტალიზაცია მას 7 ჯერ უფრო მეტად ჩამორჩება.

გარდა ამისა, კომპანიებს აქციების გაყიდვით ფინანსების მოზიდვის ნაცვლად ურჩევნიათ, ბანკიდან აიღონ სესხი. რადგან საფონდო ბაზარზე შესვლა მოითხოვს გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების დაცვას. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას 2014 წელს და აიღო ვალდებულება, მოეხდინა საკანონმდებლო მიახლოება/ჰარმონიზირება ევროკავშირის პრინციპებთან, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნაა ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა.

გრაფიკი 2



გრაფიკი 3



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები, წელი 2012. https://databank.worldbank.org/data/source/global-financial-development/Type/TABLE/preview/on№advancedDownloadOptions

კაპიტალის ბაზრის წინაპირობები

ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს გარემო და წინაპირობები, რომლის გათვალისწინების გარეშე კაპიტალის ბაზრის ფირმირება და განვითარება შეუძლებელია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ასეთი ზემოქმედების ფაქტორები განსხვავებულად არის წარმოდგენილი, გამომდინარე ქვეყნების თავისებურებებიდან, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია ისეთი ფაქტორების როლი, როგორიცაა მაკრეკონომიკური პოლიტიკა და სტაბილურობა და ძლიერი ინსტიტუციური და სამართლებრივი

სისტემა. ამ ორ მამოძრავებელ ძალას ემატება მდგრადი საბანკო სისტემა და ადექვატური მარეგულირებელი და ზედამხედველი ინსტიტუტები (Liliana Rojas-Suarez, 2014), ფინანსური ინფრასტრუქტურა (Luc Laeven, 2014: 7), საპენსიო რეფორმები განვითარებად ქვეყნებში (Dimitri Vittas, 1999) და სხვ.

თავისი მნიშვნელობით, ჩვენ გამოვყოფთ ოთხ საყრდენს: 1. მაკრეკონომიკურ სტაბილურობას; 2. ინსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემას; 3. ბაზრის ზომას, შემადგენლობას და საპენსიო სისტემას; 4. გამჭვირვალობასა და ფინანსურ ინფრსტრუქტურას.

1. არასტაბილური მაკროეკონომიკა სახელმწიფოს უქმნის სავალო პრობლემებს და ქვეყნას აყენებს არასტაბილური ფინანსური ნაკადების, გაცვლითი კურსის რყევების და ფინანსური კრიზისების რისკების წინაშე. კაპიტალის ბაზრები უფრო განვითარებულია დაბალი და სტაბილური ინფლაციის მქონე ქვეყნებში. სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო აუცილებელია უცხოური კაპიტალის მოსაზიდად.

2. ძლიერი ინსტიტუტები და კარგად ფუნქციონირებადი სამართლებრივი სისტემა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზრების განვითარებისთვის, რადგან ისინი უზრუნველყოფენ ინვესტორთა უფლებების დაცვას, მათ შორის უმცირესობათა ინტერესების დაცვას და ინვესტორების მოზიდვას. კვლევები ადასტურებენ, რომ ქვეყნებში სადაც დაცულია აქციონერთა საკუთრების უფლებები და საკუთრების უფლებები და კონტრაქტის აღსრულება არ არის ძვირი, აქვთ უფრო განვითარებული ადგილობრივი ბაზრები (John D. Burger, Francis E. Warnock, Veronica Cacdac Warnock, 2012). თუმცა, არსებობს განსხვავებული შეხედულებები ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საჭიროების შესახებ. ადრეული კვლევები ამტკიცებდა, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრები შეიძლება არ რეგულირდებოდეს, მაგრამ უკანასკნელი კვლევების თანახმად, რეგულირება საჭიროა კერძო საკონტრაქტო ჩარჩო სტანდარტიზაციისთვის და თაღლითობების თავიდან ასაცილებლად. დღეს ფართოდ არის აღიარებული, რომ ფასიანი ქაღალდების კანონები კრიტიკულად მნიშვნელოვანია კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის.

3. ბაზრის ზომაზე, სტრუქტურაზე ძლიერი ზეგავლენა აქვს საპენსიო რეფორმებს. ინსტიტუციური, სამართლებრივი და ინფრასტრუქტურული ბარიერების არარსებობის მიუხედავად, ბევრი ქვეყნის ეკონომიკა ვერ ახერხებს ინვესტორთა მიზიდვას იმისათვის, რომ უზრუნველყოს კაპიტალის ბაზრის ოპტიმალური სიდიდე და საკმარისი ლიკვიდურობა. ამ თვალსაზრისით ხდება სავალდებულო საპენსიო სისტემების დანერგვა, რომელიც ინვესტიციის გრძელვადიანი ინსტრუმენტების მოზიდვის საშუალებას წარმოადგენს. იგი ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარების პირობაა. ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციასთან და ეფექტიანი მარეგულირებელი გარემოს პირობების ფორმირებასთან ერთად, სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარს, რომელიც დღეს დომინირებულია საქართველოში, უნდა დაემატოს კორპორაციული კერძო ობლიგაციების ბაზარიც.

ანალოგიურად, დერივატიული ბაზრები ვერ განვითარდება განვითარებული ბაზრების გარეშე. იგი, თავის მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს. უფრო მეტიც, ობლიგაციების ბაზრები მოითხოვს კარგად განვითარებული ფულის ბაზრებს, რათა მონეტარულმა პოლიტიკამ უზრუნველყოს საპროცენტო განაკვეთის სტაბილურობა, რომელიც ხელს შეუწყობს ობლიგაციების ბაზრის განვითარებას.

4. ფინანსური ინფრასტრუქტურა და გამჭვირვალობა. განვითარებული ინფრასტრუქტურა ერთ-ერთ აუცილებელი პირობაა კაპიტალის ბაზრისათვის. იგი ხელს უწყობს ვაჭრობასა და ინფორმაციის გაცვლას, ბაზრის მიერ წარმოებული და გამოყენებული ინფორმაციის დამუშავებას, შეფასებას და დადასტურებას, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებლისგან თვითრეგულირების წესით ხორციელდება. სალიცენზიო მოთხოვნები, გარიგებები, გადასახადები, აუდიტორის ხარჯები, ინფორმაციის გაცვლის სისტემები, ადგილობრივი აუდიტორული და სარეიტინგო კომპანიების განვითარების ხელშეწყობა, და სხვ. მნიშვნელოვანია ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული საქმიანობები კომპანიებისათვის არ უნდა იყოს დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული.

ასევე მნიშვნელოვანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარებაც, განვითარებული საარბიტრაჟო ინფრასტრუქტურის არსებობაც. კორპორაციათა გამჭვირვალობა და ინფორმაციული უზრუნველყოფა ქმნის ფირმების კაპიტალის ბაზრებზე შეღწევის საშუალებას. ინფორმაციული გამჭვირვალობა ინვესტორს წარმოდგენას უქმნის კორპორაციული მართვის მდგომარეობაზე, მასზე დაფუძნებული შეფასება კი ამცირებს სუბიექტივიზმს გადაწყვეტილებათა მიღებაში. ამასთან, ინფორმაციული გამჭვირვალობის გადიდება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა საფონდო ბაზრის შესახებ როგორც კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის საფუძველი, ხელს უწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ უნდა უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზირება. დირექტივების ძირითადი მოთხოვნები გარიგებებისა და ფასის გამჭვირვალობის ზრდას, ემიტენტების ფინანსურ ანგარიშგებასა და ინფორმაციის ღიაობას, ინვესტორთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს.

აღნიშნული წინაპირობები არსებითია საქართველოში ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების განვითარებისათვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია ფინანსური რეფორმების თანმიმდევრობით გატარება. განვითარებული საფონდო ბირჟა კომპანიებში კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ წყაროდ

შეიძლება იქცეს და უზრუნველყოს კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა.

დასკვნები

ნაშრომში დახასიათებული კაპიტალის ბაზრის განვითარების წინაპირობები გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრისას.

საქართველოში კაპიტალის ბაზრების განუვითარებლობა განპირობებულია მცირე ბაზრის ზომის, სუსტი ინსტიტუტებისა და არასტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგად. კაპიტალის ბაზრები არ შეიძლება განვითარდეს სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი გარემოს გარეშე, რომელიც იცავს საკუთრების უფლებას. ეს არის ბაზრების ფუნქციონირების ფუნდამენტური პირობა.

ბაზრების განვითარება ეტაპობრივი და ხანგრძლივი პროცესია. სხვადასხვა ბაზრები (სახელმწიფო და კორპორაციული ობლიგაციების, დერივატივების, საპენსიო–საინვესტიციო კაპიტალის და სხვ.) ერთმანეთს ავსებენ. კაპიტალის ბაზრის რეფორმები მათ ოპტიმალურ შერწყმას მოითხოვს, რომელიც უნდა იყოს ფინანსური ლიბერალიზაციით განმტკიცებული. იგი უნდა ემსახურებოდეს ბაზრის ზომის გაზრდას.

კერძო საპენსიო დანაზოგების სისტემის შექმნა ინვესტორთა ბაზის გაფართოების მნიშვნელოვანი პირობაა. სისტემატურად უნდა ხდებოდეს მისი ეკონომიკაზე ზემოქმედების შესწავლა, რათ დაიხვეწოს საპენსიო სქემები.

კორპორაციული მართვის რეფორმები უნდა ემსახურებოდეს მცირესი ინვესტორების ინტერესების დაცვას, ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფას, ფასიანი ქაღალდების პროდუქტების სტანდარტიზაციას, ეფექტური პირველადი და მეორადი ბაზრების განვითარებას, ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ.

გლობალურ ბაზრებთან ინტეგრაცია ეკონომიკური ზრდის პირობაა და იგი ვერ განხორციელდება თუ საქართველოში არ დაინერგება სრულყოფილი განვითარებული კაპიტალის ბაზარი, არ იქნება სტაბილური ეკონომიკური ზრდა მიღწეული და „რბილ კორპორაციულ სამართალთან" ერთად არ შეიქმნება ადექვატური ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Aslanishvili, D. Stock Market in Georgia: Existing Reality and Uncertain Future [Safondo bazari Sakartveloshi: arsebuli realoba da gaurkveveli momavali]. TSU, Science (In Georgian). https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=6&tid=10
2. Ayadi, R., Arbak, E., Naceur, S. B., & De Groen, W. P. (2013), Financial development, bank efficiency, and economic growth across the Mediterranean. MEDPRO Technical Report, No. 30/March, https://www.files.ethz.ch/isn/161854/Growth%20&%20Development.pdf;
3. Arcand, J. L., Berkes, E., & Panizza, U. Too much finance, International Monetary Fund, IMF Working Paper, WP/12/161, 2012. https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2012/wp12161.pdf
4. Banking and Capital Markets M&A Outlook, Delloitte, Will it be a stellar year for banking and capital markets mergers and acquisitions? 2019, https://www2.deloitte.com/us/en/pages/financial-services/articles/banking-securities-mergers-acquisitions-outlook.html)
5. Demetriades, P. O., & Rousseau, P. L. (2015), The changing face of financial development. University of Leicester, Working Paper No. 15/20, https://www.le.ac.uk/economics/research/RePEc/lec/leecon/dp15-20.pdf?uol_r=d307e306
6. Deidda, L., & Fattouh, B. (2002), Non-linearity between finance and growth. Economics Letters, 74(3), https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0165176501005717
7. Dimitri Vittas, (1999), Pension Reform and Capital Market Development «Feasibility» and «Impact» Preconditions, World Bank Policy Research Working Paper No. 2414, https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=632485.
8. Ductor, L., & Grechyna, D. (2015), Financial development, real sector, and economic growth. International Review of Economics & Finance, 37, https://pdfs.semanticscholar.org/ffe7/3ea4f441385897aefd3696010a19ee144732.pdf
9. Grassa, R., & Gazdar, K. (2014), Financial development and economic growth in GCC countries: A comparative study between Islamic and conventional finance. International Journal of Social Economics, 41(6), https://www.emeraldinsight.com/doi/abs/10.1108/IJSE-12-2012-0232
10. Hyoungsoo Zang, Young Chu Kim, (2007), Does Finnaciao Debelopment precede Griwth? Robinson and Lucas might be right. Applied economics letters, V.14, Issue 1, https://doi.org/10.1080/13504850500425469, https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13504850500425469
11. Philip R., and Gian Maria Milesi-Ferretti, (2011), External adjustment and the global crisis, IMF Working Paper, WP/11/197, International Monetary Fund, https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2011/wp11197.pdf
12. Law, S. H., & Singh, N. (2014), Does too much finance harm economic growth? Journal of Banking & Finance, 41, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378426613004925?via%3Dihub, https://doi.org/10.1016/j.jbankfin.2013.12.020

13. Liliana Rojas-Suarez, (2014), Strengthening Capital Markets in Emerging Economies: Two Key Issues that the G20 Should Not Miss, Center for Global Develooment, February 21, https://www.cgdev.org/blog/strengthening-capital-markets-emerging-economies-two-key-issues-g20-should-not-miss; https://www.bis.org/publ/bppdf/bispap75c.pdf
14. Luc Laeven, (2014),The Development of Local Capital Markets: Rationale and Challenges, IMF Working Paper, International Monetary Fund, WP/14/234, 2014, https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2014/wp14234.pdf
15. Monetary Policy Implementation at Different Stages of Market Development, IMF Board Paper , 2004, https://www.imf.org/external/np/mfd/2004/eng/102604.htm.
16. Mhadhbi, K. (2014), Financial development and economic growth: A dynamic panel data analysis. International Journal of Econometrics and Financial Management, 2(2), http://pubs.sciepub.com/ijefm/2/2/1/index.html
17. Milesi-Ferretti, Gian Maria, and Cedric Tille, (2011), The great retrenchment: international capital flows during the global financial crisis, Economic Policy, Vol. 26, https://www.researchgate.net/publication/227658749_The_Great_Retrenchment_International_Capital_Flows_During_the_Global_Financial_Crisis
18. Narayan, P. K., & Narayan, S. (2013), The short-run relationship between the financial system and economic growth: New evidence from regional panels. International Review of Financial Analysis, 29, http://dx.doi.org/10.1016/j.irfa.2013.03.012, http://isiarticles.com/bundles/Article/pre/pdf/17029.pdf
19. Jagadish Prasad Bist, (2018), Financial development and economic growth: Evidence from a panel of 16 African and non-African low-income countries, Journal Cogent Economics & Finance, Volume 6, Issue 1, https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/23322039.2018.1449780?scroll=top&needAccess=true, https://doi.org/10.1080/23322039.2018.1449780
20. John D. Burger, Francis E. Warnock, Veronica Cacdac Warnock, (2010), Emerging Local Currency Bond Markets, NBER Working Paper No. 16249, Issued in August Revised in March 2012, NBER Program(s): International Finance and Macroeconomics, https://www.nber.org/papers/w16249
21. Pradhan, R. P., Arvin, M. B., Bahmani, S., Hall, J. H., & Norman, N. R. (2017), Finance and growth: Evidence from the ARF countries. The Quarterly Review of Economics and Finance, 66, http://isiarticles.com/bundles/Article/pre/pdf/99041.pdf; http://dx.doi.org/10.1016/j.qref.2017.01.011
22. Ross Levin, (1997), Financial Development and Economic Growth: Views and Agenda, Journal of Economic Literature, Vol. XXXY, June, https://www.researchgate.net/publication/4722931_Financial_Development_And_Economic_Growth_Views_And_Agenda
23. Rousseau, P. L., & Wachtel, P. (2008), What is happening to the impact of financial deepening on economic growth? January 21, http://pages.stern.nyu.edu/~pwachtel/images/RW_EI_Jan2008.pdf
24. Samargandi, N., Fidrmuc, J., & Ghosh, S. (2015), Is the relationship between financial development and economic growth monotonic? Evidence from a sample of middle-income countries. World Development, 68, https://econpapers.repec.org/article/eeewdevel/v_3a68_3ay_3a2015_3ai_3ac_3ap_3a66-81.htm
25. Stiglitz, Joseph E., (2002), Globalization and Its Discontents, New York: W.W. Norton, https://www.studocu.com/en/document/ravenshaw-university/macroeconomics/book-solutions/globalization-and-its-discontents/2022797/view
26. William Wright, Panagiotis Asimakopoulos, Eivind Friis Hamre, (2019), Report: the New Financial global capital markets growth index, January, https://newfinancial.org/report-the-new-financial-global-capital-markets-growth-index/
27. World Bank, https://databank.worldbank.org/data/source/global-financial-development/Type/TABLE/preview/on#advancedDownloadOptions

JEL Classification: G15, G18, G38

https://doi.org/10.35945/gb.2019.08.006

CAPITAL MARKET CHALLENGES AND DEVELOPMENT PREREQUISITES IN GEORGIA

MIKHEIL TOKMAZISHVILI

Doctor of Economics, Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

Professor,

Tbilisi Open University, Georgia

M-Tokmazishvili@yahoo.com

KEYWORDS: CAPITAL MARKETS, CAPITALIZATION, MARKET STRUCTURE, FINANCIAL MARKET, ECONOMIC GROWTH.

For citation: Tokmazishvili, M. (2019). Capital Market Challenges and Development Prerequisites in Georgia, *Globalization And Business, №8*, pp. 60-67. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.006

SUMMARY

The article describes the challenges of capital markets, concepts of effects of capital markets` development on the economic growth, the current conditions of the capital market in Georgia, restricting and stimulating factors and preconditions necessary for the expansion of the capital market. Through comparative analysis, the problems and trends of development of capitalization are presented.

The formation of capital market is a long process. It requires the formation of financial instruments, consolidated legal or model norms, market infrastructure and institutions. In the developing countries, and moreover, in the Post-Soviet countries with least-developed economy and transformational law, the capital market is undeveloped considering the capacity of economy and its potential benefits. The banking sector`s ability to finance the economy is restricted, the demand on investment capital is wide, as a result, with the traditional bank financing, establishment and development of the capital market is considered with any alternative.

The paper analyzes the causes that impact on local capital markets functioning and the prerequisites without which the capital market can not be formed and developed in Georgia. The characteristics of impact factors on the capital market through examining of economic literature are presented.

The strong institutions and the well-functioning legal system are important for local market development, as they provide the protection of investors` rights, including the protection of minority interests and attracting investors. The studies show that the country, where the rights of shareholders are protected and the transaction is not expensive, has more developed local markets, however, there is a different view about the necessity for regulating the securities market. The initial studies argued that the securities market may not be regulated, but according to the recent researches, the regulation is essential for private contractual framework standardization and fraud prevention. Today it is widely recognized that the laws of securities are critical to the development of the capital market;

Finally, the article proposes the structure of market prerequisites that are based on several piles: macroeconomic stability, institutional and legal system, market size, market composition and pension system, transparency and financial infrastructure. Despite the absence of institutional, legal and infrastructural barriers, many economies are unable to attract investors in order to ensure the optimum level of capital market and efficient liquidity. In this regard, the compulsory pension systems are introduced, which is an opportunity to attract the long-term instruments of investment. It is the condition of the development of the local bond market. With the liberalization of financial markets and in the effective regulatory environment, investments in the state bonds that dominate in Georgia today will be added by expansion of the corporate private bonds market. Similarly, the derivative markets cannot be developed without a well-developed market and, in turn, they will contribute to the development of the capital market. Moreover, the bond market requires the well-developed money markets in order to encourage the monetary policy to ensure the stability of the percent rate that will support the development of the bond market.

The developed infrastructure is one of the essential conditions for the functionality of the capital market. It promotes trade and information exchange and provides access to predictable products on the background of a less costly system. The transparency and information provision of corporations is also important, which instantly connects investors with money investors. In the framework of the Association Agreement with the European Union, Georgia shall ensure approach to the legislation regulating trade with securities of the EU guidelines. The main requirements of directives are to increase the transparency of transactions and the price, the financial statements of the issuer and the openness of the information, as well as the equal condition for the investors.

JEL Classification: A12, C92, D1
https://doi.org/10.35945/gb.2019.08.007

ქცევის ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ასპექტები

მარინე ნაცვალაძე
ასოცირეული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
marine.natsvaladze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ქცევითი ეკონომიკა, ეკონომიკური გადაწყვეტილებები, ეკონომიკა და ფსიქოლოგია, ეკონომიკური პოლიტიკა

ციტირებისთვის: ნაცვალაძე, მ. (2019). ქცევის ეკონომიკის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ასპექტები, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 68-73. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.007

ქცევითი ეკონომიკა ეს არის ეკონომიკურ მეცნიერებაში სოციალური მეცნიერებების, ძირითადად ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის, ინტეგრაცია. სტანდარტული ეკონომიკური თეორიისთვის შესწავლის ობიექტი არის რაციონალური ინდივიდი და ის ფაქტიურად ემიჯნება ფსიქოლოგიურ საწყისებს. ქცევითი ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა სფეროა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგიურ პრინციპებს და თანამედროვე შემეცნებითი და სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებს, რაც საშუალებას გვაძლევს, კვლევების საფუძველზე აღმოვაჩინოთ ადამიანთა ქცევის ახალი პერსპექტივები და ავხსნათ ისეთი ფენომენები, რომლებიც ტრადიციული ეკონომიკის თვალსაზრისით პარადოქსულია.

სტანდარტული ეკონომიკური თეორიის მეთოდოლოგია ეფუძნებოდა მიდგომას, რომ მთავარია ეკონომიკურმა თეორიამ შეძლოს პროგნოზის გაკეთება და არ არის მნიშვნელოვანი, რამდენად რელევანტურია დაშვებები, რითაც ეს თეორია მუშაობს.

მე–XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ თეორია არამარტო უნდა პროგნოზირებდეს, არამედ უნდა ხსნიდეს გარკვეულ მოვლენებს, მიმდინარე პროცესებს და უნდა მიესადაგოს რეალობას. არსებული ეკონომიკური თეორიები მიჩნეულ იქნა მოძველებულად, რადგან „რაციონალური ადამიანი“ ძალიან შეზღუდული მოდელია და ვერ ასახავს ადამიანთა გადაწყვეტილებებს და ქმედებებს. მეცნიერულმა წინსვლამ, კერძოდ კი ეკონომიკაში ექსპერიმენტული მეთოდების განვითარებამ და დანერგვამ გამოავლინა ბევრი ანომალია, რაც ჰქონდა სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიას.

სწორედ ამიტომ აქტუალური გახდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეკონომიკურ სუბიექტებზე მოქმედი ფაქტორების თეორიული ანალიზი, ქცევითი ეკონომიკური თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია პილიტიკასა და ეკონომიკაში.

ქცევის ეკონომიკურ თეორიაში გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტები, საველე კვლევები, დაკვირვებები და ა.შ.) ეკონომიკური მეცნიერების სხვა სფეროებში გამოყენებულის იდენტურია. განვითარების საწყის ეტაპზე ქცევითი ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს მეტწილად ე.წ. ექსპერიმენტული ეკონომიკის მონაცემები და შედეგები წარმოადგენდა, ვინაიდან ამ მიმართულების იდეური წინამორბედები სავარაუდოდ არა ეკონომისტები, არამედ კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლები იყვნენ.

ქცევითი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, მისმა წარმომადგენლებმა მნიშვნელოვნად შეავსეს ეკონომიკური თეორია მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. ეს პრინციპებია:

1. ეკონომიკური მოვლენების მრავალმხრივი ექსპერიმენტული და ემპირიული შემოწმება;
2. ალტერნატიული მოდელის შემუშავება, რომელსაც შეუძლია ახსნას ეკონომიკური აგენტების ქმედებებში სიზუსტე;
3. ახალი შემოთავაზებული მოდელის შედეგების დამუშავება და მათი გადამოწმება რეალური მონაცემებით, რათა შესაძლებელი იყოს, დადგინდეს მისი წინასწარმეტყველებების უნარი ორთოდოქსალურ ვერსიებთან შედარებით.

„ქცევითი ეკონომიკის“ კონცეფცია, როგორც ტერმინი, ცნობილია დიდი ხნის განმავლობაში, თუმცა, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი მიმართულება, ჩამოყალიბდა

მხოლოდ 1990-იან წლებში. ბოლო პერიოდში მეცნიერული ნაშრომები ქცევითი ეკონომიკის შესახებ იბეჭდება ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალებში, მსოფლიოს წამყვან კონგრესებზე კი ლაურეტების სიებში პრესტიჟულ ჯილდოებით აღინიშნება. ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორის ავტორობით გამოცემული წიგნი (Dhami S,2016) ყველაზე დიდი მოცულობის წიგნია (1800 გვ.), რომელიც გამოქვეყნებულია Oxford University Press-ის მიერ.

ქცევითი ეკონომიკის პრაქტიკული გამოყენების აქტუალურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2017 წელს ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭა ამერიკელ ეკონომისტს, ფსიქოლოგს და ფინანსურ ინჟინერს, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორს, რიჩარდ ტალერს (Richard H. Thaler) ქცევითი (ბიჰევიორული) ეკონომიკის მიმართულებაში განხორციელებული მრავალწლიანი კვლევებისათვის. რიჩარდ ტალერი ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე ეკონომისტია, რომელიც ცნობილია ნობელის პრემიის ლაურეატთან, დანიელ კაჰნემთან ერთობლივი თანამშრომლობით, „წაბიძგების თეორიის" ავტორი (2008).

რიჩარდ ტალერმა ნობელის პრემია მიიღო „მისი წვლილისთვის ქცევითი ეკონომიკის განვითარებაში" (Richard Thaler, Prize Lecture, 2017).

ქცევითი ეკონომიკა სწავლობს სოციალური, ფსიქოლოგიური და ემოციური ფაქტორების გავლენას სხვადასხვა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელთაც იღებს კერძო ან საჯარო პირი. რიჩარდ ტალერის ნაშრომით, ეკონომიკის ფსიქოლოგიის გაგება გახდა შესაძლებელი.

ქცევითი ეკონომიკა ეფუძნება იმ იდეას, რომ ადამიანები არ იქცევიან რაციონალურად, რასაც ეკონომიკა ითვალისწინებს. ისინი არიან „Homo Sapiens" და არა „Econs" ანუ „ეკონომიკური ადამიანი" (Thaler Sunstein. 2018). რიჩარდ ტალერმა კას სანსტეინთან ერთად წიგნში "Nudge: Improving Decisions About Healths, Wealth and Happiness" („წაბიძგება. გადაწყვეტილებათა სრულყოფა, რომლებიც ეხება ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას") რეალური ცხოვრებიდან მრავალი შემთხვევა განიხილეს და ჩაატარეს მათი ბიჰევიორისტული ანალიზი. ეს არის წიგნი ინდივიდუალური არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების პრობლემაზე. წიგნში საუბარია ტვინის ფუნქციონირებაზე, აზროვნებისა და განსჯის ორ სისტემაზე: ავტომატურ და რეფლექტურ-რაციონალურ-ანალიტიკურ სისტემაზე (Richard H. Thaler, 2008).

ჯერ კიდევ 2002 წელს ნობელის პრემია ქცევითი ეკონომიკის კიდევ ერთ სპეციალისტს დენიელ კაჰნემანს მიენიჭა. ამის შემდეგ ქცევითი ეკონომიკის ერთ-ერთი თეორია, რომელიც „წაბიძგების თეორიის" („Nudge Theory") სახელითაა ცნობილი, პრობლემების ყველაზე ფართო სპექტრის მოსაგვარებლად გამოიყენება. წაბიძგება, გულისხმობს არჩევანის არქიტექტურის ასპექტს, რომელიც ცვლის ადამიანის ქცევას წინასწარ განჭვრეტადი მიმართულებით რომელიმე ალტერნატივის აკრძალვის ან ეკონომიკური სტიმულების მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე (Kupatadze, 2018).

რიჩარდ ტალერი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ახსნა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანის ქმედება ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მითითებებით, რომლებიც ყოველდღიურად ძალიან ხშირად გვხვდება და ჩვენც, ისე რომ ეჭვიც არ შეგვიტანია, შესაძლოა ამ თეორიის გავლენის ქვეშ მოხვედრილიყავით.

ტალერი კვლევებს ცნობილ ეკონომისტებთან და ფსიქოლოგებთან ერთად ატარებდა. მათ შორის იყო ჯეკ ნეტჩი, ნობელიანტი ფსიქოლოგი ეკონომიკის დარგში (2002). დენიელ კაჰნემანი ეკონომიკასა და კოგნიტიურ მეცნიერებას (კოგნიტივისტიკას) ერთიანობაში განიხილავდა. კაჰნემანი ფსიქოლოგიური ეკონომიკური თეორიისა და ქცევითი (ბიჰევიორული) ეკონომიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ეკონომიკის პრობლემებს კაჰნემანი იკვლევდა როგორც ფსიქოლოგი და არა როგორც ეკონომისტი (გვასალია, 2017).

ქცევითი ეკონომიკა ჯერ კიდევ მისი ფორმირების გზაზეა და მას სჭირდება საბაზო თეორიის განზოგადება. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ის განსხვავებული მოდელებისგან შედგება, მეცნიერებმა უკვე შეძლეს მისგან მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგების მიღება. ეს ასახულია კონკრეტული თეორიებით, მოდელებით და პარადოქსებით. ესენია: თამაშთა ქცევითი თეორია, პერსპექტივების თეორია, ქცევითი ფინანსების თეორია, შეზღუდული რაციონალურობის თეორია, ალლეს პარადოქსი და ტალერის მოდელი.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქცევითი ეკონომიკის აქტუალურობა უდიდესია, რადგან:

1. ქცევითი მიდგომა მიზანშეწონილია სხვადასხვა სუბიექტების საქმიანობის განსახილველად, როგორც ინდივიდებისა და ფირმების, ასევე ბაზრებისა და რეგიონების მართვის სხვადასხვა დონეზე;

2. ქცევითი ეკონომიკა საშუალებას იძლევა, იდენტიფიცირდეს სხვადასხვა აგენტის განსხვავებული მოტივები, რომელიც ყოველთვის არ აღიწერება ტრადიციული ეკონომიკის პოზიციიდან.

ქცევითმა ეკონომიკამ ახსნა კავშირი ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ანალიზებს შორის. რიჩარდ ტალერის ნობელის პრიზის მიკუთვნებასთან დაკავშირებით ნობელის კომიტეტის რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ტალერმა ემპირიული დასკვნებისა და თეორიული დასაბუთების საშუალებით განსაკუთრებული როლი ითამაშა ქცევითი ეკონომიკის ახალი დარგის შექმნასა და სწრაფ განვითარებაში. ამ დარგმა დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკური კვლევების მრავალ მიმართულებასა და პოლიტიკაზე.

2015 წელს მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემული საკამოდ დიდი მოცულობის ნაშრომი „World Development Report 2015: Mind, Society, and Behavior" სწორედ

ქცევით ეკონომიკას ეხება, კერძოდ კი იმას, თუ როგორაა შესაძლებელი ტალერის წაბიძგების (Nudging) თეორიის გამოყენება პრაქტიკაში.

ტალერმა კვლევების შედეგად შეისწავლა, ერთი მხრივ, ის ემოციები, რომლითაც მოქმედებენ მყიდველები სხვადასხვა ბაზრებზე, მეორე მხრივ – სირთულეები, რომელსაც ადგილი აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქონლისა და მომსახურების ყიდვის, იპოთეკური სესხის აღებისა თუ საპენსიო ფონდებში გაწევრიანების დროს. ტალერის მიხედვით ეს არის ახალი ქცევითი ეკონომიკა, რომელიც ხსნის იმას, თუ რატომ არღვევენ ადამიანები ტრადიციული ეკონომიკის წესებს და როგორ შეიძლება მისი გამოყენებით სასურველი შედეგების მიღება (Richard H. Thaler – Misbehaving. The Making of Behavioral Economics, 2015).

ქცევითი ეკონომიკის ძირითადი პრაქტიკული შედეგები, პირველ რიგში, უნდა მოიცავდეს რეკომენდაციებს ამ მიმართულებით შემუშავებული საბაზრო პროცესების ანალიზისთვის. ა. სმიტი თავის სამეცნიერო ნაშრომში „თეორია მორალური გრძნობების შესახებ" ("The Theory of Moral Sentiments") წერს: „ჩვენი სარგებლის ზრდა იმისგან, რომ ჩვენ გარკვეული თანხა მივიღეთ, რაოდენობრივად არ უდრის სარგებლის რაოდენობრივ შემცირებას აბსოლუტური მნიშვნელობით, თუ იგივე თანხას გამოგვართმევენ". ეს თავისი მნიშვნელობით არის „რისკის თავიდან აცილების კონცეფცია" – Loss Aversion (Smith, 1759).

ფსიქოლოგებმა ჯერ კიდევ მე–20 საუკუნის დასაწყისში კარგად იცოდნენ, რომ ადამიანებს არამარტო რისკი აღელვებთ, არამედ აღელვებთ დანაკარგები. დანაკარგები გაცილებით უფრო მტკივნეულია, ვიდრე ანალოგიური მასშტაბის მოგება, ამ მოგებისგან მიღებული სარგებელი. სტანდარტული ეკონომიკის მიერ კი ეს უგულებელყოფილია – ერთი და იმავე ოდენობის თანხის პოვნისა და დაკარგვის შემთხვევაში, ამ თანხიდან მიღებული სარგებელი და დანაკარგი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. ძალიან მარტივად მოხდა ამის მოდელირება ქცევითი ეკონომიკის ჩარჩოებში, რომელიც შემოგვთავაზეს დენიელ კაჰნემანმა და ამოს ტვერსკიმ. 2002 წელს ისინი იყვნენ პირველი ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში ფსიქოლოგიის ინტეგრირებისთვის (ამოს ტვერსკი პრემიის მინიჭებამდე გარდაიცვალა და ამიტომ ვერ მიიღო ნობელის პრემია).

სწორედ დენიელ კაჰნემანისა და ამოს ტვერსკის პროსპექტ (პერსპექტივის) თეორია (Prospect Theory) არის ქცევითი ეკონომიკური თეორია, რომელიც აღწერს, თუ როგორ აკეთებენ არჩევანს ადამიანები სხვადასხვა ალბათობის ალტერნატივებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია რისკთან, სადაც შედეგების ალბათობა უცნობია. მათ სტატიას „პერსპექტივის თეორია: რისკის გადაწყვეტის ანალიზი" (1979) ეწოდა „სემანტიკური სტატია ქცევით ეკონომიკაში".

ქცევითი ეკონომიკის აქტუალურობაზე მეტყველებს მისი გამოყენების მრავალმხრივი ასპექტები, კერძოდ:

- ქცევითი კონფლიქტები, როგორც საზოგადოებაში დაგროვილი საპირისპირო ეკონომიკური ინტერესების გამოვლენის ფორმა;
- სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტის ქცევა დაბრკოლებების (ქცევითი კონფლიქტების) დაძლევის მიზნით ქცევით ეკონომიკაში;
- ქვეყნის შრომის ბაზრის ქცევითი ეკონომიკა;
- კომერციულ ბანკების ოპორტუნისტული ქცევა ქვეყნის ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების განხორციელებისას.

სოციალური პოლიტიკის მიზანია ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ამაში იგულისხმება ის, რომ მოქალაქეებმა, როგორც სამიზნე აუდიტორიამ, სახელმწიფო ინიციატივების განხორციელებისას შეიცვალოს ქცევა „წაბიძგების", Nudge–ის („ნაჯინგის"), როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქეების კომუნიკაციის ეფექტიანობის ზრდის ინსტრუმენტის გამოყენების გზით. მოსახლეობის დიდი მასების ქცევის სტრატეგიების ცვლილება საკმაოდ ძნელია, განსაკუთრებით გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში, რის გამოც ბევრი სახელმწიფო პროგრამა დასახულ მიზანს ვერ აღწევს. სახელმწიფო მართვაში ე.წ. „არჩევანის არქიტექტურის" სწორად ჩაშენების საშუალებით „სანავიგაციო სისტემამ" ადამიანს უნდა უბიძგოს „სწორ პასუხზე" და ამავე დროს მას დაუტოვოს თავისუფლება აკეთოს ისე, როგორც მას უნდა.

ეს მტკიცებულებები ეკონომისტებს და სოციოლოგებს საშუალებას აძლევს, სხვა თვალით შეხედონ მოქალაქეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვას. ამდენად, ქცევითი ეკონომიკა განვითარდა და გამოყენებადი გახდა მთავრობის მმართველობის დონეზე.

პირველი სამთავრობო უწყებები, რომლებმაც ეს ტექნოლოგიები გამოიყენეს, დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი და აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტი იყო. შემდეგ მათ შეუერთდა ავსტრალია, ახალი ზელანდია, გერმანია, დანია, საფრანგეთი.

2010 წელს გაერთიანებული სამეფოს პრემიერ–მინისტრმა დევიდ ქემერონმა ქვეყნის მთავრობაში შექმნა საკონსულტაციო ორგანო „ქცევითი აზროვნების გუნდი" (BIT–Behavioural insights Team), ბიჰევიორისტული საკითხების შესწავლისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის. ამჟამად ის კვლევით ცენტრად ჩამოყალიბდა, რომლის მიზანია სამთავრობო მენეჯმენტის ოპტიმიზაცია რიჩარდ ტალერის მიდგომებისა და დებულებების გამოყენებით. ეს ერთეული მონაწილეობს როგორც ექსპერტი ისეთ სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორიცაა: დასაქმების ცენტრი (Jobcentre Plus), ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი (Department for Energy and Climate Change), ბიზნესის, ინოვაციების და პროფესიონალური უნარ–ჩვევების განვითარების დეპარტამენტი (Department for Business, Innovation and Skills), დედაქალაქის პოლიციის

დეპარტამენტი (Metropolitan Police). მათი გათვლებით, მომდევნო 5 წლის განმავლობაში „ქცევითი აზროვნების გუნდის" მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების შედეგად მიღებული ეკონომია 1 მილიარდი ფუნტი სტერლინგი იქნება.

რიჩარდ ტალერი აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მრჩეველი იყო და 2015 წელს თეთრ სახლში შეიქმნა ბიჰევიორული კვლევების განყოფილება (SBST — Social and Behavioral Sciences Team). მანამდე, 2013 წელს აშშ-ს მთავრობაში იქმნება განყოფილება „Nudge Squad", რომლის მიზანი იყო ქცევითი ეკონომისტების მოზიდვა ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც არსებობდა შრომის, ჯანმრთელობისა და ადამიანური რესურსების, განათლების, სოციალური გარანტიების, საცხოვრებელი და ურბანული განვითარების, სოფლის მეურნეობის, სოციალური უსაფრთხოების ადმინსიტრაციის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებში.

„წაბიძგების" (Nudge-ის) მიმართულების მნიშვნელოვნად განვითარების მაგალითია აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ 2015 წლის სექტემბერში გამოაქვეყნებული საგანგებო დადგენილება, რომელითაც რეგულირდება თითქმის ყველა სამთავრობო უწყების ქმედებების კოორდინაცია ქცევითი ტექნოლოგიების განყოფილებასთან ერთად „ამერიკელი ხალხის კეთილდღეობისათვის", როგორც ეს აღნიშნულ დოკუმენტშია აღნიშნული (Executive Order, Using Behavioral Science Insights to Better Serve the American People. The White House. September 15, 2015).

ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის მთავრობამ 2012 წელს შექმნა „ქცევითი პრაქტიკის საზოგადოება", რომელიც თანამშრომლობს არაერთ სამთავრობო უწყებასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან. მსგავსი ქვედანაყოფები იხსნება ან უკვე ფუნქციონირებს ბუნდესტაგში (გერმანია), დანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყანაში.

სამთავრობო სტრუქტურებში მსგავსი ინოვაციები, არამარტო ეკონომიკურ საქმიანობაში, არამედ ზოგადად კომუნიკაციებში ახალ მნიშვნელობას იძენს. მოქალაქეთა ქცევის ანალიზის ჰოლისტიკური მიდგომა ცვლის სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს.

სამთავრობო პოლიტიკის გატარებისას „წაბიძგების" (Nudge, Nudging) გამოყენების მაგალითებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებისთვის: 2012 წელს, კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტმა ასფალტზე მოხატა ნათელი ნაკვალევი, რომელიც მიემართებოდა ნაგვის ურნებისკენ. ამის შედეგად 46%-ით შემცირდა ქუჩაში ნაგვის დაყრა (Holland, R. W., Hendriks, M., & Aarts, H. 2005);
- რესტორნებში და სწრაფი კვების დაწესებულებებში თეფშის თუ საკვების შესანახი ყუთების ზომის შემცირებამ გამოიწვია საკვების ნარჩენების მნიშვნელოვანი შემცირება (Kallbekken, S., & Sælen, 2013).
- „წაბიძგება" ენერგოეფექტურობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დიდ ბრიტანეთში, შინამეურნეობებში გაგზავნილ იქნა სერტიფიკატები იმისთვის რომ მოსახლეობას დამატებითი მოწყობილობები დაეყენებინათ კომუნალური მომსახურების ეკონომიის მიზნით, რამაც, საშუალოდ, ენერგიის მოხმარების 2.2%-იანი შემცირება გამოიწვია;
- „წაბიძგება" შრომის ბაზარზე უმუშევრობის შესამცირებლად: BIT-ის გუნდის წევრებმა უმუშევრებს მოსთხოვეს წერილობით წარედგინათ კონკრეტულ სამუშაოზე მიღების დეტალური, სამოქმედო გეგმა, რის შედეგადაც მომდევნო 13 კვირის განმავლობაში მიმართვები უმუშევრობის კომპენსაციის მოთხოვნით 15-20% შემცირდა;
- „წაბიძგება" ქველმოქმედებისთვის: Deutsche Bank ქველმოქმედების მიზნით იყენებს თანამშრომლებისადმი დირექტორების პერსონალურ მიმართვებს, სადაც თანამშრომლები ერთჯერადად მიღებულ დამატებით ხელფასს საქველმოქმედო პროგრამისთვის გამოიყენებენ. დირექტორი თანამშრომლებს უგზავნის წერილს მცირე საჩუქართან ერთად. ამ გზით ერთ დღეში 500 ათასზე მეტი ფუნტი სტერლინგი შეგროვდა;
- „წაბიძგება" სამომხმარებლო ბაზრების სტიმულირების მიზნით: საინფორმაციო მასალებზე მომხიბვლელი ახალგაზრდა გოგონას ფოტოს განთავსებას მოჰყვება ფინანსური პროდუქტებზე (სესხებზე) მოთხოვნის ზრდა და ეს სესხზე საპროცენტო განაკვეთის ოთხჯერ შემცირების ეკვივალენტურია;
- „წაბიძგება" საგადასახადო შემოსავლების გაზრდის მიზნით: დიდ ბრიტანეთში გადასახადის გადამხდელებისთვის გაგზავნილ წერილებში მიუთითებდნენ სოციალურ ნორმებს: „ბრიტანეთში 10 ადამიანიდან 9 ადამიანმა გადასახადები დროეულად გადაიხადა", რამაც მომდევნო სამი თვის განმავლობაში გამოიწვია გადასახადების დროული გადახდის 15%-იანი ზრდა. ამ გზით დამატებითი წლიური საგადასახადო შემოსავალი $30 მილიონი ფუნტით გაიზარდა. ჩატარებული გამოთვლების მიხედვით, ეს ყოველწლიურად გამოიწვევს დამატებით 160 მილიონ ფუნტის მობილიზებას (Homonoff, 2012).

ქცევითი ეკონომიკის მიერ შემოთავაზებული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნეს-ფირმებისთვისაც სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელების პროცესში. ქცევითი ეკონომიკა ასახავს არაფინანსური მონაცემების მომზადების, ანალიზის, შეფასების, დაგროვების, იდენტიფიცირების, წარდგენისა და ინტერპრეტაციის პროცესს, რომლის საფუძველზე ბიზნეს-ფირმებს შეუძლიათ განახორციელონ სხვადასხვა საოპერაციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენენ მათ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Colin Camerer and George Loewenstein, "Behavioral Economics: Past, Present, Future," Chapter 1 in "Advances"; manuscript, http://www.hss.caltech.edu/~camerer/ribe239.pdf
2. Daniel Kahneman, "Maps of Bounded Rationality: Psychology for Behavioral Economics,"American Economic Review 93 (2003), http://links.jstor.org/sici?sici=0002-8282%28200312%2993%3A5%3C1449%3AMOBRPF%3E2.0.CO%3B2-%23
3. Dhami S.(2016). TheFoundationsof Behavioral EconomicAnalysis. Oxford: OxfordUniversityPress. https://www.researchgate.net/publication/321190977_Sanjit_Dhami_The_Foundations_of_Behavioral_Economic_Analysis
4. Kallbekken, S., & Sælen, H. (2013). „Nudging" hotel guests to reduce food waste as a win-win environmental measure. Economics Letters. https://www.researchgate.net/publication/256994864_›Nudging›_hotel_guests_to_reduce_food_waste_as_a_win-win_environmental_measure
5. Richard H. Thaler, Cass R. Sunstein -Nudge: Improving Decisions About Health, Wealth, and Happiness». Yale University Press, 2008 https://www.researchgate.net/file.PostFileLoader.html?id=53abe564cf57d7df1e8b45f4&assetKey=AS%3A273548994646025%401442230571326
6. Richard H. Thaler, Prize Lecture, From Cashews to Nudges: The Evolution of Behavioral Economics, 2017 https://www.nobelprize.org/prizes/economic-sciences/2017/thaler/lecture/
7. Richard H. Thaler - Misbehaving. The Making of Behavioral Economics, 2015.
8. The Nudge blog, Where is behavioral economics headed in the world of marketing? October 9, 2011 http://nudges.org/2011/10/09/where-is-behavioral-economics-headed-in-the-marketing-worlding/
9. Holland, R. W., Hendriks, M., & Aarts, H. (2005). Smells Like Clean Spirit Nonconscious Effects of Scent on Cognition and Behavior. Psychological Science, 16(9), 689-693. http://goallab.nl/publications/documents/Holland,%20Hendriks,%20Aarts%20(2005)%20-%20noncsious%20effects%20of%20scent%20on%20behavior.pdf
10. Homonoff, T. A. (2012). Can Small Incentives Have Large Effects? The Impact of Taxes versus Bonuses on Disposable Bag Use. https://wagner.nyu.edu/files/faculty/publications/Homonoff%20-%20Can%20Small%20Incentives%20Have%20Large%20Effects_0.pdf
11. Executive Order - Using Behavioral Science Insights to Better Serve the American People. The White House. September 15, 2015. https://www.whitehouse.gov/the-press-office/2015/09/15/executive-order-using-behavioral-science-insights-better-serve-american
12. 12. Smith, A. (1759). Theory of Moral Sentiments [adam smit, teoria nravstvennix chuvst], e-reading.club, (In Russion). https://www.e-reading.club/book.php?book=1039709
13. Kupatadze, G. (2018). From the architecture of choice to the Nobel Laureate [archevanis arqiteqturidan nobelis laureatobamde] (In Georgian). https://1tv.ge/analytics/archevanis-arqiteqturidan-nobelis-laureatobamde/
ამ ფონზე, ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ იქნება მესამე დემოგრაფიული გადასვლის ფონზე საქართველოს მიგრაციული პროცესების მოკლე ანალიზი.

საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია

საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაში მიგრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და თამაშობს. თუ მე–19 საუკუნის დასაწყისიდან მე–20 საუკუნის შუა წლებამდე (1957 წლამდე), საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას, ბუნებრივ მატებასთან შედარებით, უპირატესად იმიგრაცია უწყობდა ხელს, 1957 წლიდან 1992 წლამდე, ვითარება შეიცვალა და შედარებით მაღალი ბუნებრივი მატების პირობებში, ემიგრაციამ გავლენა იქონია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპზე. განსაკუთრებით 1992 წლიდან დღემდე, როდესაც დაბალი ბუნებრივი მატება ვეღარ ფარავს მიგრაციის მაღალ უარყოფითი სალდოს, რის შედეგადაც საქართველოს მოსახლეობა 2019 წლისთვის 3723,5 ათას კაცამდე შემცირდა.

ამდენად, თუ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960–1991 წლებში ბუნებრივი მატება წარმოადგენდა, 1992 წლიდან დღემდე უკვე გარე მიგრაცია წარმოადგენს.

საქართველოში 1992 წლიდან არაორდიალური დემოგრაფიული ვითარება აღინიშნება. ერთი მხრივ, მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით საქართველო მიეკუთვნება

დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყნებს, რომელთა მსგავსად დამთავრდა პირველი დემოგრაფიული გადასვლა (ა. ლანდრის მოდელი) და ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ცივილიზებული ტიპი, რომლისთვისაც, მეორე დემოგრაფიული გადასვლიდან გამომდინარე, დამახასიათებელია დეპოპულაცია. მეორე მხრივ, მიეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკურად გავითარებად ქვეყნებს, რომლებიც მაღალი მიგრაციული ინტენსივობიდან გამომდინარე განვითარებული ქვეყნების დონორ ქვეყნებად მიიჩნევიან.

ზ. ზელინსკის (Zelinsky, 1971) მიგრაციული გადასვლის კონცეპტუალური მოდელის თანახმად საქართველო განვითარებადი ქვეყნების მსგავსად მიგრაციული გადასვლის მეორე ფაზაშია, რომლის დროსაც ქვეყნის განუვითარებელი ეკონომიკა მაღალი ინტენსივობის ემიგრაციულ პროცესებს განაპირობებს.

შეიძლება ითქვას, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში იწყება მესამე დემოგრაფიული გადასვლა, რასაც ადასტურებს მისთვის დამახასიათებელი ფაქტორები. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოდან სხვა ქვეყნებში მიგრაციამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რომელსაც ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებდა: პირველი — ეთნიკური მიგრაცია, როდესაც სსრკ-ს დაშლის შემდეგ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა ათეულათასობით სხვა ეროვნებების წარმომადგენელი; მეორე — დაკარგული ტერიტორიებიდან დევნილთა დიდი მასის ემიგრაცია და მესამე ეკონომიკური კოლაფსი (Sulaberidze, 2019; Hakkert, 2017:60-69).

აღსანიშნავია, რომ მოკლე ისტორიულ პერიოდში (ფაქტობრივად, ორი ათწლეულის მანძილზე) წინა ორი ფაქტორის შედეგად ქართველების წილი საქართველოს მოსახლეობაში გაიზარდა 69.7-დან 86.8 პროცენტამდე. ამასთან, 1989 წელს, საქართველოს ავტონომიური წარმონაქმნების — აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში (აფხაზეთის ასრ) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (სამხრეთ ოსეთის აო) ანუ, დღეისათვის საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ცხოვრობდა საქართველოს მთელი მოსახლეობის 11.5%, რომელთაგან 7.1% ეთნიკურად ქართველი იყო. მათ შორის, საკუთრივ აფხაზეთის ასრ მოსახლეობის საერთო მოსახლეობაში 45.7%-ს, ხოლო სამხრეთ ოსეთის აო — 29.0%-ს ქართველი შეადგენდა. ავტონომიების გარეშე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (რომელსაც დღეისათვის საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს) მცხოვრებთა საერთო რაოდენობაში ქართველთა წილი 73.7%-ს შეადგენდა. გამოდის,რომ საქართველოს მთელ მოსახლეობაში ქართველთა წილი 1989-2014 წლებში გაიზარდა არა 17.1 პუნქტით, არამედ 13.1%-ით. ამასთან, რადგანაც არაავტოქტონურ მოსახლეობაში ემიგრაციის ინტენსივობა ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქართველებში, მოკლე ისტორიულ პერიოდში (ფაქტობრივად, ორი ათწლეულის მანძილზე) ქართველების წილი საქართველოს მოსახლეობაში გაიზარდა 69.7-დან 86.8 პროცენტამდე.

თუ გავითვალისწინებთ, პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ავტოქტონური მოსახლეობის წილის და ეთნიკური ჰომოგენურობის ზრდას, ეს მომენტი საქართველოსთვისაც დამახასითებელ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ და არა გამონაკლისად.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე მიგრაციული პროცესების, სოციო-ეკონომიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ეკონომიკა ხასიათდება კაპიტალთან შედარებით შრომის მაღალი წილით და დაბალი საბაზრო ანაზღაურებით, მაშინ როდესაც ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნები გამოირჩევიან საპირისპირო მდგომარეობით – კაპიტალთან შედარებით შრომის დაბალი წილით და მეტი საბაზრო ანაზღაურებით, რაც პირდაპირ უკავშირდება მიგრაციის ნეოკლასიკურ თეორიას (Todaro, 1976) და სწორედ ეს სხვაობა უბიძგებს საქართველოს მოსახლეობას უცხოეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ემიგრაციისკენ. ამასთან, სამუშაო ძალის თავისი ადამიანისეული კაპიტალით შემცირებას საქართველოში არ გამოუწვევია მათი ანაზღაურების მნიშვნელოვანი ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საქართველოდან ემიგრანტთა (განსაკუთრებით არალეგალების) ანაზღაურება მცირეა, საქართველოსთან შედარებით ამ ქვეყნებში, თუნდაც დაბალ-კვალიფიციურ სამუშაოზე დასაქმებულის ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოში არსებულ მაღალკვალიფიციურ სამუშაოზე დასაქმებულის არსებულ ანაზღაურებას. სწორედ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებაზე თავშეკავების ძირითად მიზეზს.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ქართველოდან ემიგრაცია, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა ასევე, დაკავშირებულია მიგრაციის ისეთი სოციალურ-დემოგრაფიულ ფაქტორებთანაც, როგორიცაა: განათლების მიღება, დევნილობა, უკეთეს პირობებში ცხოვრების სურვილი, და სხვა. ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მიგრაციის პოზიტივს — მიგრანტთა მიმღებ განვითარებულ ქვეყნებში და ნეგატივს — საქართველოში. შესაბამისად, რაც უფრო მეტია მიგრაციის პოზიტიურ და ნეგატიურ ფაქტორებს შორის სხვაობა, მით უფრო მაღალია მოსალოდნელი ემიგრაცია სხვა ქვეყანაში და იქ დარჩენის ალბათობა (Sulaberidze, 2019).

საქართველოდან მიგრაცია განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ყველაზე შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მოსახლეობაში. 2014 წლისთვის ქვეყნიდან გასულთა შორის 85% 20-დან 50 წლამდე ასაკისა იყო, მაშინ როდესაც ამ ასაკობრივი ჯგუფის წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 43%-ია, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე (Sulaberidze, 2019)

და რაც ასევე ძირითად მესამე დემოგრაფიული გადასვლის-თვისაა დამახასიათებელი.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა საფუძველზე შედგენილი მოსახლეობის სქეს-სობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის (რომელშიც ფაქტიურად აკუმულირებულია თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოს მოქალაქეთა სხვადასხვა წლებში, სხვადასხვა წილით მიგრაციული ბრუნვა) ანალიზიდან ირკვევა, რომ თუ ემიგრანტ მამაკაცთა სტრუქტურაში სჭარბობენ 45 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების ემიგრანტები, იმიგრანტ მამაკაცთა შორის ტონს 40 წელს გადაცილებული ასკობრივი ჯგუფების ემიგრატები აძლევენ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ 45 წლის ზემო ასაკის შემდეგ მამაკაცები ემიგრაციაში წასვლის-გან თავს იკავებენ, ხოლო 45 წლის ასაკის შესრულების შემდეგ ემიგრანტთა უმეტესობა სამშობლოში ბრუნდება (Sulaberidze, 2018:95).

მამაკაცთაგან განსხვავებულია ქალთა მიგრაცია, რო-მელთა შორის 20-დან 60 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების ემიგრანტი ქალები საკმაოდ აღემატებიან ამავე ასაკის იმიგრანტ ქალთა რაოდენობას. ქალთა შორის ემიგრანტები ჯერ კიდევ აღემატებიან იმიგრანტებს და მამაკაცთაგან განსხვავებით, ქალთა შორის ანალოგიური უკუპროცესი ჯერ-ჯერობითით არ ფიქსირდება.

ამ ფონზე 15 წლამდე ასაკის იმიგრანტთა წილის შემ-ცირება, ჩვენი ვარაუდით, ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს ამ ასაკის ემიგრანტთა ასაკობრივი ზრდის შედგად, 15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში გადასვლით და ნაკლებად ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნებაზე. ამასთან, 2002 წლის 15 წლამდე ასაკის, როგორც ვაჟ, ისე გოგონათა იმიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ერთი მხრივ, გამოწვეული უნდა იყოს მიმღებ ქვეყანაში, 1990-იანი წლების შემდეგ ემიგრანტთა შობადობით, მეორე მხრივ ოჯახის მიერ არასრულწლოვანი ოჯახის წევრის (შვილის) ემიგრაციაში წაყვანით.

65 წლამდე ასაკის, როგორც მამაკაც, ისე ქალ ემიგრან-ტების მეტ-ნაკლებად სტაბილური რაოდენობა მიანიშნებს იმაზე, რომ ემიგრანტთა ამ ნაწილმა დაძლია ემიგრაციის სირთულეები (იპოვნა სამუშაო, მოაგვარა საბინაო და საყოფაცხოვრებო საკითხები, მიიღო დევნილის სტატუსი, მოქალაქეობა და სხვ.) მიმღებ ქვეყანაში და სამშობლოში დაბრუნებას ჯერ-ჯერობით არ აპირებს. ხოლო 65 წელს გადაცილებული ასაკის ემიგრანტთა შემცირება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაკავშირებულია ერთი მხრივ, საქართ-ველოში ამ ასაკის მოსახლეობის უცხოეთში ემიგრაციის მსურველთა პოტენციალის შემცირებით, მეორე მხივ, ასაკის გამო იმიგრაციით თუმცა არ გამოვრიცხავთ სხვა მიზეზებსაც (ავადმყოფობა, ოჯახის წევრთა ნოსტალგია და სხვ.).

საქართველოს ემიგრანტთა და იმიგრანტთა საერთო რაოდენობაში სჭარბობენ შრომისუნარიანი ადამიანები (შე-საბამისად, 87.5% და 84.9%). შედარებისათვის — აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ნაკლებია — 65.4 პროცენტი (Sulaberidze, 2018:97).

საგულისხმოა, რომ ქალთა ემიგრაციის ზრდას, ძირი-თადად მათი შრომითი აქტივობა განაპირობებს. საქართ-ველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ გაიზარდა მომსახურების სფეროს წილი, სადაც ქალთა შრომა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, თუმცა ანაზღაურება — საშუა-ლოზე ბევრად დაბალია, რაც უბიძგებს მათ ემიგრაციისკენ, მით უფრო, რომ ემიგრაციაში ზოგიერთ შედარებით დაბალ-კვალიფიციური სახის საქმიანობაზე (მომვლელი, ძიძა, მო-სამსახურე და სხვ.) ქალთა შრომაზე მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მამაკაცებთან შედარებით, ქალები აშკარა უპირატესობაში აღმოჩნდნენ. ამჟამად უცხოეთში (აშშ, იტა-ლია, გერმანია, საბერძნეთი და სხვ.) შრომით საქმიანობას ეწევა 200 ათასზე მეტი ქალი საქართველოდან და მიღებული გასამრჯელოთი ინახავს სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს (Shelia, 2018:138).

აღსანიშნავია, რომ იზრდება უმაღლესი განათლების მქონეთა წილი ემიგრანტ ქალთა შორის. აღწერათაშორის პერიოდში (2002-2014 წწ.) ის თითქმის 1.5-ჯერ გაიზარდა (24.6%-დან 37.2%-მდე) და ამჟამად უკვე საგრძნობლად აღემატება მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელს (32.7%).

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ საკუთარ ოჯახთან შეერთების მიზნით წამს-ვლელთა რაოდენობის ზრდა, უცხოეთში ცხოვრების ხან-გრძლივობის ზრდის ფონზე მიმდინარეობს. თუ 2000 წლის-თვის 5 წელზე მეტი ხანგრძლივობით ცხოვრობდა 40%-მდე ემიგრანტი, 2014 წლისთვის, ეს მაჩვენებელი 68.8 %-მდე გაიზარდა. მათგან განსხვავებით, 2002 წელთან შედარებით 58.0%-დან 18.5%-მდე შემცირდა 5 წლამდე უცხოეთში მცხოვრებთა წილი, რაც მიუთითებს საქართველოში სა-ემიგრაციო პოტენციალის შემცირებაზე.

მიხედავად აღნიშნულისა მესამე დემოგრაფიული გა-დასვლის კანონზომიერების თანახმად, მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია საქართველოს მოსახლეობის უარყოფითი წმინდა მიგრაციის შემცირების შედეგებზე საუბარი და რომ მიგრაციის აქტუალური პრობლემები დღის წესრიგიდან მოხსნილია, რასაც ადასტურებს სტუდენტ-ახალგაზრდობის პოტენციური მიგრაცია.

სტუდენტთა პოტენციური მიგრაცია

იმ დროს, როდესაც უფროსი ასაკის მოსახლეობის მიგ-რაციის პოტენციალი თანდათან მცირდება, ახალგაზრდებში, განსაკუთრებით სტუდენტებში, გამოკვეთილია საზღვარ-გარეთ წასვლის მაღალი მოტივაცია, რაც განაპირობებს მიგრაციულ ბრუნვას ქვეყანაში და მესამე დემოგრაფიული გადასვლის კანონზომიერებებიდან გამომდინარეა.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გამო-

კითხულ სტუდენტთა 42.7% აპირებს საზღვარგარეთ წასვლას. საქართველოში 100 ათასზე მეტი სტუდენტია, გამოდის, რომ დაახლოებით 43–45 ათას სტუდენტს განზრახული აქვს საქართველოს დატოვება. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საშუალო ხანგრძლივობის (4–5 წელი) და შესაბამისი კონტინგენტის რიცხოვნობის გათვალისწინებით, საზღვარგარეთ გასვლის მსურველ სტუდენტთა კონტინგენტი ყოველ კურსზე დაახლოებით 10 ათასს აღემატება. ეს მაშინ, როდესაც საშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ახალგაზრდების რაოდენობა ბოლო წლებში დაახლოებით 30–35 ათასის ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნიდან გასვლის ორ მთავარ მოტივზე: განათლების მიღებაზე და შრომითი საქმიანობაზე მოდის საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა 90%-ზე მეტი. საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა 60% საქართველოს დატოვებას აპირებს უახლოეს სამ წელიწადში, 1/3 კი — მოგვიანებით. წასვლის მოტივაცია გოგონათა შორის უფრო მაღალია, ვიდრე ვაჟებში; შესაბამისად, ქვეყანაში დარჩენის მზაობას გამოხატავს გამოკითხულ სტუდენტ ვაჟთა შორის 59.6% და გოგონათა 52.0% (საშუალოდ — 55.6%).

საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა თითქმის ნახევარი სამშობლოში აპირებს დაბრუნებას (49.8%); თითქმის ამდენივე (47.0%) უცხოეთში დარჩენა-არდარჩენაზე გადაწყვეტილებას მიიღებს უცხოეთში სწავლის დამთავრების შემდეგ. უკვე მკაფიოდ მიღებული გადაწყვეტილება სამშობლოში არდაბრუნების თაობაზე მიღებული აქვს გამოკითხულ სტუდენტთა 3.4%-ს, რაც აბსოლუტურ რიცხვებში 350–400 ახალგაზრდას შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ წასვლის მოტივაციაში არაა მკაფიოდ გამოხატული ერთი რომელიმე ფაქტორი. მაგალითად, 34.2%, თვლის რომ უცხოეთში ნასწავლს საქართველოში დასაქმების უფრო მეტი პერსპექტივა აქვს; 12.1% მიიჩნევს, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა მისცემთ იქვე დასაქმებისა და საცხოვრებლად დარჩენის საშუალებას. ამასთან, ვაჟებში სჭარბობს მუშაობის, ხოლო გოგონებში — სწავლის მოტივი. გამგზავრების მზაობას გამოხატავენ ძირითადად: გერმანიაში (37.2%), აშშ-ში (16.8%), გაერთიანებულ სამეფოში (11.4%), იტალიაში (5.4%), საფრანგეთში და რუსეთში (3.4–3.4%).

გამოკითხულ სტუდენტთა 6.7% აპირებს საზღვარგარეთ წასვლას ექსკლუზიურად მუშაობის დასაწყებად; აღნიშნულ კონტინგენტზე თითქმის 4-ჯერ მეტია მათი რაოდენობა, ვინც საზღვარგარეთ წასვლას ერთდროულად სწავლასა და მუშაობის დაწყებას უკავშირებს.

საქართველოდან საზღვარგარეთ შრომითი ემიგრაციის საკმაოდ მაღალი მოტივაცია სერიოზულ გავლენას ახდენს შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების მოცულობაზეც. ყველაზე მოკრძალებული შეფასებით, მხოლოდ 2011–2017 წლებში საქართველოში 25 წლამდე ახალგაზრდებმა საზღვარგარეთიდან, სულ ცოტა, 1.1–1.4 მლრდ. აშშ დოლარის ფულადი ტრანზაქცია განახორციელეს (არჩვაძე 2018:174-194).

უცხოეთში წასვლის მსურველ სტუდენტთაგან მხოლოდ სწავლის გასაგრძელებლად წასვლას აპირებს 26.9%, თუმცა მათი უმრავლესობა (59.0%) აპირებს სწავლას შეუთავსოს დასაქმება. მხოლოდ სწავლის გაგრძელების მიზნით უცხოეთში წამსვლელ გოგონათა წილი (63.6%) 1.7-ჯერ აღემატება ვაჟებისას (37.4%).

საინტერესოა, რომ ყოველი 6 სტუდენტიდან 5-ს სწავლის გაგრძელება მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში საზღვარგარეთ სურს, მაშინ როდესაც ბაკალავრიატის დონეზე სწავლას უცხოეთში აპირებს მხოლოდ ყოველი მეათე სტუდენტი.

მთლიანად, წასვლის მსურველთაგან დაახლოებით 2/3-ს (65.5%) სწავლის გაგრძელება თავისი სპეციალობით სურს. თითქმის ყოველ მეოთხე სტუდენტს (23.2%) — მონათესავე სპეციალობით, ყოველ მეექვსეს (17.3%) — უფრო ფართო პროფილით და მხოლოდ ყოველი მეთვრამეტე (5.6%) აპირებს სპეციალობის შეცვლას.

გამოკვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ სტუდენტთა 56.4% აპირებს უკან დაბრუნებას. 53.2% დაბრუნებაზე გადაწყვეტილებას სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებს, ხოლო 3.6% არ დაბრუნდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას დაბრუნდეს თუ არა საქართველოში, მაღალია ალბათობა — უცხოეთში დარჩეს ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი.

დასკვნა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მოსახლეობის მიგრაციული ქცევა და ინტენსივობა, როგორც რაოდენობრივი, მასშტაბურობის და თვისებრივი თვალსაზრისით, აშკარად განსხვავებულია კომუნისტურ პერიოდში „ჩაკეტილ ტერიტორიაზე" არსებული მოსახლეობის მიგრაციული ქცევის განმაპირობებელი ფაქტორებიგან. კომუნისტურ პერიოდში უმუშევრობის დონე, სამუშაო ადგილების არსებობის გამო მინიმუმამდე იყო დაყვანილი და ოჯახი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი იყო მინიმალური შემოსავლით, გარე მიგრაციის ძირითად ფაქტორებად წარმოგვიდგებოდა ის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების (მაღალი შემოსავლის მიღების და სხვ.) დაკმაყოფილების უკეთესი გარემო მოკავშირე რესპუბლიკებში და მას უპირატესად სეზონური ხასიათი ჰქოდა. ამასთან რამდენადაც მიგრაცია საბჭოთა კავშირის ფარგლებს არ სცილდებოდა იგი დღევანდელთან შედარებით მცირე მასშტაბური იყო.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გარდა ეთნიკური და დევნილთა ფაქტორისა, ქვეყნიდან ემიგრაციის მთავარი

ფაქტორი საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და ოჯახის სიღარიბით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი გახდა. არსებული სეზონური მიგრაცია დიდი ხნით (ზოგიერთ შემთხვევაში მუდმივმა) არალეგალურმა მიგრაციამ შეცვალა და უფრო მასშტაბური გახდა. აღნიშნულმა გამოიწვია მოსახლეობის მნიშვნელოვანი შემცირება, ასაკობრივ–სქესობრივი სტრუქ–ტურის დეფორმაცია (დემოგრაფიული დაბერების ზრდა) და ეროვნული შემადგენლობის ცვლილება.

საქართველოდან ემიგრაცია, გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა ასევე, დაკავშირებულია მიგრაციის ისეთ სო–ციალურ–დემოგრაფიულ ფაქტორებთანაც, როგორიცაა: განათლების მიღება, დევნილობა, ოჯახის წევრთან ერთად ცხოვრების სურვილი და ა.შ. საქართველოდან მიგრა–ცია განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ყველა–ზე შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მო–სახლეობაში, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ–დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან წმინდა მიგრაცია (მიგრაციის სალდო) შემცირდა უცხოეთის მოქალაქეთა და არა უცხოეთში მყოფ არალეგალ საქართველოს მო–ქალაქეთა იმგრაციის ხარჯზე. შეიძლება ითქვას რომ ევროკავშირთან გაფორმებულმა მოკლევადიანმა (6 თვიანი) ვიზალიბერალიზაციამ გარკვეულწილად გაზარდა საქართ–ველოს იმ მოქალაქეთა არალეგალური ემიგრაცია უცხოეთ–ში, ვინც აქამდე ფინანსური და ვიზის მიღებასთან დაკავში–რებული პრობლემების გამო ვერ ახერხებდა ევროკავშირის ქვეყნებში ემიგრაციას, რასაც ადასტურებს 2017 წელთან შედარებით 2018 წელს, უარყოფითი წმინდა მიგრაციის 2212–დან 10763 კაცამდე ზრდა.

გასათვალისწინებელია, რომ სოციოლოგიური გა–მოკვლევის შედეგების თანახმად, მაღალია ალბათობა — უცხოეთში დარჩეს ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი. ეს კი ერთი მხრივ, შეამცირებს საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების ისედაც დაბალ მაჩვენებელს, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა დაკარგავს მაღალი განათლების მქონე ადამიანისეულ კაპიტალს, ანუ გაგრძელდება „ტვინების გადინება," რაც მესამე დემო–გრაფიული გადასვლისთვისაა დამახასიათებელი.

სტატიაში განხილული საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის მოკლე ანალიზიდანაც ჩანს, რომ საქართვე–ლოს მოსახლეობის ემიგრაციის პოტენციალის შემცირებაზე და იმიგრაციის ზრდაზე დასკვნების გაკეთება ჯერ კიდევ ნაადრევია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Archvadze J. (2018).On scales and repatriation of funds by labor migrants. Collection of works: urgent problems of migration of Georgian population [Shromiti migrantebis mier tankhebis repatriatsiisa da masshtabebis shesakheb]. Tbilisi, pp. 174-194. (In Georgian).
2. Sulaberidze A., Gvritishvili Ts. (2018). Third demographic transition [Mesame migraciuli gadasvla]. Collective monography: “Urgent problems of migration of Georgian population”. Tbilisi, p. 23. (In Georgian).
3. Sulaberidze A. (2018). Historical periodization of the migratory processes of Georgian population [SaqarTvelos mosakhleobis migratsiuli protsesebis istoriuli periodizatsia]. Collective monography: “Urgent problems of migration of Georgian population”. Tbilisi, p. 95. (In Georgian).
4. Shelia M. (2018). Peculiarities of women’s labor emigration from Georgian [Saqartvelodan qalta shromiti emigratsiis taviseburebebi]. Collection of works: “Urgent problems of migration of Georgian population”. Tbilisi, p. 123. (In Georgian).
5. Materials of 2017 sociological research of the Institute of demography and sociology Ilia State University [Ilias sakhekmtsifo universitetis demografiis da sotsiologiis institutis 2017 tslis sotsiologiuri gamokvlevis masalebi].
6. Coleman D. (2004). Migration in the 21st Century. A Third Demographic Transition in the Making? Plenary Address to the British Society for Population Studies Ann. Conf. Leicester, 13 Sept.
7. Coleman D. (2006). Immigration and Ethnic Change in Low –Fertility Countries; A Third Demographic Transition (Statistical data) \\ Population and Development Rev. Sept. Vol. 32. №3.
8. Hakkert, R. (2017). Population Dynamics in Georgia. An Overview Based on the 2014 General Population Census Data. pp. 60-69.
9. International Migration. 2013. ST/ESA/ SERA/338. N.Y.: United Nations
10. Landry A. (1986). On the Demographic revolution // Population and development Review. Vol. 13 (4). P. 731-740.
11. Van De Kaa D. (1976). Login-term population policies in Europe // Seminar on the implications of a stationary or declining population in Europe, September 6-10, Strasburg, 1976. Strasburg: Council of Europe, 45 p.
12. Zelinsky Z. (1971). The Hypothesis of the Mobility Transition. Geographical. Review 61(2).
13. Vishnevski A. Time of demographic change [Vremia demograficheskix peremen]. M., 2015: 319. (In Russian).
14. Sulaberidze A., Archvadze J., Sualberidze V. Major factors and structure of migrants in post-communist Georgia [Osnovnie faktori I struqtura migrantov v post-kommunisticheskoi Gruzii] (published in the journal “Demographic Review. A per-reviewed open-accses electronic journal” (In Russian). https://demreview.hse.ru/
15. www.un.org

JEL Classification: J11, J61 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.011

MIGRATION OF GEORGIAN POPULATION AGAINST THE BACKGROUND OF THE THIRD DEMOGRAPHIC TRANSITION

AVTANDIL SULABERIDZE
Doctor of Economic Sciences, professor,
Ilia State University,
Institute of Demography and Sociology,
Academtion of Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia
sulaberidzeavtandil@gmail.com

KEYWORDS: EMIGRATION, IMMIGRATION, THIRD DEMOGRAPHIC TRANSITION, POTENTIAL MIGRATION OF STUDENTS, VISA LIBERALIZATION.

For citation: Sulaberidze, A. (2019). Migration of Georgian population against the background of the third demographic transition, *Globalization And Business, №8*, pp. 96-104. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.011

SUMMARY

An important role of migration in the world as well as in local predictable changes, with regard to certain countries' population, indicates to the challenge of migratory processes. In order to explain the causes of migration, with the aim of its optimization and regulation, there were formulated various theories and concepts regarding the migration. From among these concepts, we have employed the neoclassical theory of migration and the theory of migratory transition, as well as the concept of the third demographic transition.

In the process of the formation of Georgian population, migration played, and still does, a significant part in influencing the growth rate of the Georgian population's size. If natural increase was the main component in terms of the size formation of the Georgian population during 1960-1991, from 1992 up until today, external migration assumed the same role. Since 1992, the low natural increase can no longer compensate for the negative net migration as a consequence of which the Georgian population has decreased by 3723.5 thousand persons by 2019.

On the one hand, since 1992, Georgia has belonged to the list of the countries that are demographically developed and on the verge of depopulation. On the other hand, because of the high intensity of emigration, it is among the donor countries which supply the developed countries with emigrants. Socio-economic analysis of the migratory processes that are associated with Georgian population has showed us that Georgia's economy is characterized by a high share of labor in comparison to capital and by low market income, whereas the highly-developed countries of Europe are distinguished by the opposite tendency – the low share of labor compared to the capital and higher market income. This is directly linked to the neoclassical theory of migration, and the mentioned distinction forces Georgian population to emigrate toward the highly-developed foreign countries. Furthermore, decreasing of work-force together with its human capital did not cause a significant growth of their income. In spite of the fact that the salary of the Georgian emigrants (especially illegal ones) is small in the highly-developed countries, in comparison to Georgia, European countries offer substantially higher salaries even on the low-qualification jobs than the actual salaries of a worker employed on the high-qualification jobs in Georgia will ever be. This difference is the main reason as to why the emigrants refrain from returning to their homeland.

A sociological survey has confirmed that emigration from Georgia, besides economic factors, is associated with such social-demographic factors of migration as are: receiving education, exile, and the desire to live in better conditions, etc. These factors substantially determine the positive of migration in the receiving highly-developed countries and negative – in Georgia. Therefore, the more distinction there is between the positive and negative factors of migration, the higher the expected emigration to the other countries and the possibility of staying there. According to the current statistical information with regard to the materials of the 2014 population census, the article demonstrates the dynamics and tendency of the migration of the Georgian population since the country gained its independence up until today. It analyzes migrants' sex-age structure. It has been revealed that the emigration is especially intensive amid the population that is in their reproductive age and is able-bodied. Moreover, it is related to social-economic factors.

The sociological research conducted on students showed us that 42% of them intend to emigrate abroad

after they graduate during 2018-2020. Additionally, working is the primary motive for boys as studying is for girls. After receiving education abroad, the half of them intend to return to homeland provided they can find a job with a decent salary in Georgia.

Net migration has decreased at the expense of the immigration of foreign citizens and not at the cost of illegal Georgian citizens. In the aftermath of a short-term visa-liberalization within the territory of the EU, emigration from Georgia has increased, which is confirmed by the growth of the negative net migration from 2212 to 10763 inhabitants in 2017-2018. This, in turn, will reduce the population reproduction potential in Georgia and through “brain drain” the country will lose its human capital that possesses higher education.

Therefore, it is still early to draw conclusions with regard to improving the perspectives of emigration and immigration of Georgian population.

JEL Classification: R0, R1, H7 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.012

ON THE ISSUE OF INCREASING COMPETITIVENESS OF GEORGIAN REGIONS

AZA IPSHIRADZE

Associated Professor Ph.D. in Economy,
Kutaisi University, Georgia
aza.iphshiradze@unik.edu.ge

NANA RUSADZE

Associated Professor, Ph.D. in Public Administration,
Akaki Tsereteli State University, Georgia
nana.rusadze@atsu.edu.ge

KEYWORDS: REGION, COMPETITION, EVALUATION, RANKING, INEQUALITY.

For citation: Ipshiradze, A., Rusadze, N. (2019). On the Issueof Increasing Competitiveness of Georgian Regions, *Globalization And Business, №8*, pp. 105-109. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.012

INTRODUCTION

Attitude towards the regions has changed in conditions of Globalization process. The region has justly become a quasi-state, a quasi-corporation, a market space and a society. It is a fragmented subsystem of the national economy and a large object of certain property and economic activity. At the same time, the region creates an industrial environment, an area for farmers who have an important function on regulating the political and socio-economic development of a particular country. The area of the region is full of many organizations and communication systems (Kharaishvili, 2004:15).

"Competitiveness" is a term used with a wide range of spectrum and scales and it covers regions and countries as well. In Georgia, as in the developing country by means of market economic system principles, post-socialist transformations and the rapid rates of globalization process have made the regions of particular importance. Association Agreement between Georgia and Europe further broadens the possibility of economic independence of individual regions or administrative-territorial units.

Generally, regional competitiveness can be defined as the region's ability to provide high quality of life and income for population in the conditions of international competitiveness.

The necessity of increasing the region's competitiveness is primarily due to the generally recognized shortcomings and deformities of market economy functioning, as well as to the specificities of particular country's economic system, production development, natural-climatic, ethnographic and other types of features. That is why, at a time of solving economic, social, and other important tasks, in modern conditions, determining the competitiveness of regions is of the utmost importance. It is impossible to scientifically determine and realize development prospects of the regions and main directions and to properly plan the processes taking place in the region, without comparing the regions, identifying potentials and measuring the attraction. The abovementioned is reflected in the region's development strategy, where the interests of the region must also be fixed. From a purely marketing standpoint, the region must be "passed off", "sold gainfully" to investors - for investment, to tourists - to increase interest, to potential residents - for the desire to live on their own territory.

LITERATURE REVIEW

Rationalistic, was formed as a science in the 50's of the 20th century. In scientific literature, at a time of researching the regional economic problems, more attention is paid to the study of problematic issues on regions including several countries (of Europe, Asia, South Caucasus, etc.) in individual territorial areas, ie the region is considered in the spatial economic hierarchy. However, these kinds of works also provide interesting findings on the problems of the country's region. Regional policies, the evaluation of economic growth of the regions, and the region's place in the national economy occupy an important place in Marion Temple's work "Regional Economics". The author discusses the components of regional economics and opportunities for regional growth in relation to the European Union (Temple, 1994).

In a fundamental work, "Regional Economics and Management", G. Fetisov and V. Oreshin discuss the approaches

of different economic schools in terms of rational use of territory, the role and the place of economic policies in the rational organization of economic space, and offer some views on regional economic regulation (Fetisov and Oreshin, 2006).

The research of the problems of regional economics has become actual in Georgia since it gained the independence. Since the second half of the 1990s, new works have emerged on regional economics, including elements of regional policies. E. Kharaishvili's "Regional Economics" was dedicated to the study of economics of the regions of Georgia. The author discusses transformation of the regional economic structures, the regions' natural-resource potential, regional economic policies, and provides a regional analysis of the population's living level and working resources, investment and innovation activities and agro-industrial complex (Kharaishvili, 2004).

The work "On the Issue of Ranking Socio-Economic Development of the Regions of Georgia" highlights the necessity of widespread regionalization processes in almost every country that can solve economic, social and other urgent issues. The work shows the sharp difference and imbalance of the regions of Georgia. This study is an attempt to rank the socio-economic development of Georgian regions, it is one of the elements of regional diagnostics, which includes a wide range of regional situation and problem characteristics, a list of qualitative assessment of different factors that determine the situational condition and development (Chikhladze, 2015).

There are some works, that focus on studying the problems of a particular region, determining its role and place in the system of the national economy. For example, in the essay "Conditions and Prospects for the Development of Imereti Region", the authors are discussing the opportunities of the Georgian region - Imereti, determining competitive advantages, offering key directions for increasing the awareness and efficiency of the region's economy (Gavtadze and Chikhladze, 2009).

RESEARCH METHODOLOGY

The present work is based on studies of Georgian and foreign authors dedicated to regional competitiveness and their evaluation. Also the views of politicians and experts are used, as well as the reports of international organizations, surveys, seminar and scientific forum materials, applicable legislative acts both in Georgia and other foreign countries. Important information databases are presented by reliable internet resources, scientific publications and statistical databases published in international publications. General - scientific methods (synthesis, analysis, analogies, comparative, historical, quantitative, graphical, statistical and other methods) of the research are used in the article.

MAIN PART

In modern conditions, the challenge of sustainable economic growth in many countries around the world cannot be achieved without the development of the country's regions, for which the crucial precondition is to increase regional competitiveness.

Works and researches connected to the issues on regional competitiveness in foreign countries has particularly become active since the early 1980s. The problem of regional competitiveness has been addressed in many countries' state programs and they are working to resolve it.


According to the EU treaty, the country's economy is competitive if its population has quite high and growing standard of living and a high employment coefficient. The development of competitiveness of regions in the EU depends on the modernization and diversification of the industrial structure (development of science-based business activities and innovation), on the achievement of physical level of infrastructure and the appropriate level of human capital. Hereby, it is necessary to take the horizontal conditions into account, that are relevant to the sustainable development by means of having an impact on the environment (Grdzelishvili, 2019:184).

In Georgia, the administrative-territorial unit is considered as a region. At the level of self-administration, under the "region" is meant the municipalities and self-governing cities (67 self-governing units out of which 62 are municipalities and 5 self-governing cities). Municipalities are united in 9 regions (2 autonomous republics) that do not represent local self-administrative units. They only have coordinative and consulting functions between the self-administrative units and the Government of Georgia, where the Government is represented by the State Representative - the Governor, and the self-administrative unit - the Administrator/Mayor, the Chairman of the City Council and his / her Deputy. According to the constitution, the territorial arrangement of Georgia should take its final form after the full restoration of Georgian jurisdiction throughout the whole country. The territorial area, where the competence of the State Representative - Governors – is spread, are considered as a "region" at the level of administration. (Rusadze, 2018: 64)

In conditions of the abolition of centralized planning and transformation of the market system in Georgia, the pre-existing structure of manufacturing and regional inequality have become a major problem. By means of which the situation in this country is still difficult. Studies and works connected to competitiveness are being published, but their practical implementation level and received results are insufficient.

Many indicators can confirm this. One is the trade turnover according to regions, where the identified inequality is clearly shown in the figure below.

Figure. The curve expressing inequality of trade turnover between regions of Georgia



Based on data from the State Department of Statistics, we have calculated trade turnover indicators according to the regions. It turned out to be maximum in the capital city (Tbilisi), where one resident spends an average of 60 GEL (about US $ 20) a day, while the minimum is Racha-Lechkhumi in Lower Svaneti (2.5 GEL), or 24 times less.

In fact the same situation is observed according to other indicators as well (see table)

Table. Some generalized indicators calculated per person of the population

Indicator	Average regional indicator	The ratio between minimum and maximum	Number of regions where the indicators are below average?	Maximum indicator
Direct foreign investments ($)	512	65,9	9	1284,7
Industry turnover (thousand GEL)	3,3	8,7	8	5,2
GPD (thousand GEL)	10,2	3,2	10	14,1
Trade turnover (thousand GEL)	8,9	24,4	10	22,0

Regional Development Program for 2018-2021 is functioning in Georgia, which is one of the key tools for achieving regional development policy goals. It offers a framework for coordinating the implementation of integrated territorial measures. It is noteworthy that the first priority of the program is to increase the competitiveness of the country and its regions and to improve basic infrastructure for the sustainable development (Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, 2019).

One of the ways to overcome inequality and the difficult socio-economic situation in the regions is to increase their competitiveness.

Competitiveness of the region is determined by the existence of one or more competitive sectors of the economy as well as the awareness of regional authorities to provide relevant conditions to regional enterprises in order to achieve and maintain competitive advantage in certain fields (Baratashvili, E., Gechbaia B. and Glonti V., 2012: 138).

Regional competitiveness, in its essence, is the competitiveness of a territorial unit, which has defined political and economic boundaries and fixes this difference compared to the competitiveness of different organizational structures. The competitiveness of the region shows the unity of relations connected to the economic development of the region with respect to other regions.

The study of the issue showed that the factors affecting competitiveness of the particular region can be grouped into the following groups:

1. Economic conditions - business sector development, demographic situation, economic structure, consumer market volume, social background, scale of real demand, transport-logistics potential, resource potential, prospects of economic growth;

2. Financial Flexibility - the amount and share of revenues of the local budget, awareness to finance expenses and future projects in total revenues, the skill and ability to make decisions in the field of finance, etc.;

3. Organizational-administrative structure - flexibility of the governance structure, awareness to adapt to a changing environment, creating conditions for public engagement and participation;

4. Intellectual potential - opportunities for scientific support of reforms, development of innovative projects, existence of research and higher educational institutions, formation and development potential of regional innovation system.

One part of researchers believe that in order to evaluate the competitiveness of regions, it is necessary to rank them. It allows us to use the results of the analysis not only as a basis, for evaluating investment attractiveness in the regions, but also for identifying the problems on solving of which the matter of increasing the competitiveness of a particular region and hence its development depends on (Chikhladze, 2015: 5).

In order to assess the competitiveness of regions, non-parametric methods are used in practice by means of which the integral coefficient of competitiveness of regions is determined. It ranges from 0 to 1. According to this coefficient, it is possible to group regions by the level of competitiveness. Consequently, five groups of regions are separated at equal intervals. (Baratashvili, E., Gechbaia B. and Glonti V., 2012: 157).

Group - high level of competitiveness <IK <1;
Group - sufficiently high level: 0,6 <IK <0,8;
Group - average level: 0,4 <IK <0,6;
Group – low level: 0,2 <IK <0,4;
Group - noncompetitive regions: 0<IK <0,2.

CONCLUSIONS

Increasing the competitiveness of the regions and overcoming inequality existed in the regions should become the main target of the country's economic policy.

It is necessary to formulate new strategies in the regions of Georgia. Existing strategies have been worked out in 2013 and cover the periods of 2014-2021. New development strategies must be harmonized with the country's regional development strategy. The websites of regions and municipalities should also be improved for providing them with complete information;

One of the priority areas for improving the competitiveness of individual regions of Georgia can be considered their formation as transport and logistics hubs, which is conditioned by their potential of transport and strategic location. Such regions are considered to be: Imereti, Adjara Autonomous Republic, Samegrelo-Zemo Svaneti and Samtskhe-Javakheti. This way, the transport potential of the regions will also be used to support tourism. Technical characteristics of trans-

port will be improved and transport vehicles (air and motor) will be added. This will increase the number of domestic tourists, as well as foreign tourists in the region and throughout Georgia;

Comprehensive information about the region's natural-resource potential will be prepared and sent to target groups. Geographical location of Georgian regions and diverse natural resources create favorable conditions for industrial development of the regions;

The opportunities of utilizing hydro resources will be used. Construction - exploitation of small and medium hydroelectric stations in separate regions and municipalities will take place. West Georgia's regions are rich in hydropower and mountain rivers, which can become a relatively cheap source of energy;

We consider that Georgia and its separate regions are inappropriately using the abilities of diplomatic economics, the same as the commercial diplomacy. In this regard positive shifts have been observed across the country (e.g., appointing commercial officers), but more efforts are needed to be made in the regions. Coordinating role in this matter should be played by the administrations of the governor, that can best identify the comparative advantage of the given area together with the municipalities.

REFERENCES:

1. Baratashvili, E., Gechbaia B. and Glonti V. (2012). Competetivness of Georgian Economy: Modern Challenges. Publishing House “Universali”, Tbilisi. p.138
2. Chikhladze, N. (2015). On the issue of ranking socioeconomic development of Georgia's regions. Proceedings of the Academy of Economic Science of Georgia. Publishing House “Universali”. p.5.
3. Fetisov, G. and Oreshin, V. (2006). Regional Economics and Management. “Infra-M” [online] Available at:< http://bw-books.net/books/economic/fetisov-gg/2006/files/regionalnayaekonomika2006.pdf [Accessed 19 October 2019].
4. Gavtadze, G. and Chikhladze, N. (2009). Conditions and prospects of economic development of imereti region. Kutaisi. Publishing House of Akaki Tsereteli State University.
5. Grdzelishvili, N. (2019). Regional Policy of EU Countries. Publishing House “Universali”, Tbilisi. p.184.
6. Kharaishvili, E. (2004). Regional Economics. Publishing House of Tbilisi State University. Tbilisi. p.15
7. Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. [online] Available at:<https://mrdi.gov.ge/ka/about/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90 [Accessed 19 October 2019].
8. Rusadze, N. (2018). Main directions for improving the effectiveness of public administration. Publishing House of Akaki Tsereteli State University. p.64
9. Temple M., (1994). Regional Economics. Palgrave, London. [online] Available at:< https://link.springer.com/book/10.1007/978-1-349-23364-9#about [Accessed 19 October 2019].

JEL Classification: R0, R1, H7 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.012

ON THE ISSUE OF INCREASING COMPETITIVENESS OF GEORGIAN REGIONS

AZA IPSHIRADZE

Associated Professor Ph.D. in Economy,
Kutaisi University, Georgia
aza.iphshiradze@unik.edu.ge

NANA RUSADZE

Associated Professor, Ph.D. in Public Administration,
Akaki Tsereteli State University, Georgia
nana.rusadze@atsu.edu.ge

KEYWORDS: REGION, COMPETITION, EVALUATION, RANKING, INEQUALITY.

For citation: Ipshiradze, A., Rusadze, N. (2019). On the Issueof Increasing Competitiveness of Georgian Regions, *Globalization And Business, №8*, pp. 105-109. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.012

SUMMARY

Competitiveness is the central mechanism of market system, it is its locomotive. In the regions of post-Soviet countries, strict market demands are gradually being perceived as real and the perspective of long-term usage of an existed resource potential is being determined. However, post-socialist transformations and the rapid rates of globalization process have made the regions of particular importance. Our goal was to meet the basic conditions for identifying the competitiveness of Georgian regions and to present the prospect of its improvement.

The necessity of increasing the region's competitiveness is primarily due to the generally recognized shortcomings and deformities of market economy functioning, as well as to the specificities of particular country's economic system, production development, natural-climatic, ethnographic and other types of features. That is why, at a time of solving economic, social, and other important tasks, in modern conditions, determining the competitiveness of regions is of the utmost importance.

The research of the problems of regional economics has become actual in Georgia since it gained the independence. The present work is based on studies of Georgian and foreign authors dedicated to regional competitiveness and their evaluation.

Regional competitiveness, in its essence, is the competitiveness of a territorial unit, which has defined political and economic boundaries and fixes this difference compared to the competitiveness of different organizational structures. The competitiveness of the region shows the unity of relations connected to the economic development of the region with respect to other regions.

We consider that Increasing the competitiveness of the regions and overcoming inequality existed in the regions should become the main target of the country's economic policy.

JEL Classification: E20, E23 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.013

ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის შეფასება წარმოების სტაბილურობის მიმართ, საქართველოს მაგალითი

მაია გრიგოლია
დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
m.grigolia@iset.ge

საკვანძო სიტყვები: ფისკალური პოლიტიკის მდგრადობა, გამოშვების მდგრადობა, ფისკალური სტაბილურობის ინდიკატორი, ეკონომიკური ზრდა.

ციტირებისთვის: გრიგოლია, მ. (2019). ფისკალური პოლიტიკის მდგრადობის შეფასება წარმოების სტაბილურობის მიმართ, საქართველოს მაგალითი, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 110-115. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.013

იმისათვის, რომ გავზომოთ ფისკალური პოლიტიკის წვლილი ეკონომიკის სტაბილიზაციაში, გამოვიყენებთ ფისკალური სტაბილურობის კოეფიციენტს (FISCO). ფისკალური სტაბიურობის კოეფიციენტი (FISCO) ზომავს, თუ როგორ იცვლება ბიუჯეტის ბალანსი ეკონომიკის გამოშვების მერყეობის დროს (Fiscal Monitor, 2015). რაც უფრო მაღალია ფისკალური სტაბილურობის ინდიკატორი, მით უფრო წრიულობისკენაა (ციკლურობისკენაა) მიდრეკილი ფისკალური პოლიტიკა – მთავრობა ქმნის ფისკალურ ბუფერს სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის დროს და იყენებს მას რეცესიის შემთხვევაში. იმის გაგება, თუ რა კავშირი არსებობს ბიუჯეტის ბალანსსა და პოტენციურ და რეალურ გამოშვებას შორის, პოლიტიკის გამტარებლებს დაეხმარება, გაიგონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს მათი გადაწყვეტილებები გამოშვების სტაბილურობაზე სხვა ქვეყნების მაგალითთან შედარებით.

მოკლევადიან პერიოდში გამოშვების დასტაბილურების მიზნით, სახელმწიფოს შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკურ აქტივობასა და დასაქმებაზე ერთობლივი მოთხოვნის შეცვლის გზით (Blanchard, 1993). ამის გაკეთება შესაძლებელია პირდაპირი გზით, როგორიცაა სახელმწიფო ინვესტიციებისა და მოხმარების ცვლილება ან არაპირდაპირ – გადასახადებისა და ტრანსფერების ცვლილებით. ფისკალური პოლიტიკის გავლენა გამოშვებაზე უფრო ძლიერია, როდესაც მას თან ახლავს მონეტარული პოლიტიკის მხარდამჭერი აქტივობები (Fatás, Mihov, 2013).

ფისკალური პოლიტიკის ერთობლივ მოთხოვნაზე გავლენის დასახასიათებლად ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს ცვლილების მონაცემებიდან (Blanchard, 1993). ბიუჯეტის სალდო კარგად აღწერს, თუ რა სხვაობაა კერძო სექტორიდან გამოთხოვილ რესურსებსა (ძირითადად გადასახადების სახით) და ერთობლივ მოთხოვნაში სახელმწიფოს წვლილს (კონტრიბუციას) შორის მოცემულ წელს. ბიუჯეტის სალდოს შემცირება ასახავს ფისკალური წვლილის ზრდას ერთობლივ მოთხოვნაში (Fund, 2015).

დასტაბილურების მიზნით ფისკალური სალდო უნდა გაიზარდოს, როდესაც გამოშვება გაიზრდება და უნდა შემცირდეს, როდესაც გამოშვება შემცირდება. ამ გზით, ფისკალური პოლიტიკა ქმნის დამატებით მოთხოვნას, როდესაც გამოშვება სუსტია და ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას, როდესაც ეკონომიკა ბუმშია (ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპია) (Girouard, Andre, 2005). ამიტომაც ფისკალური პოლიტიკის სტაბილიზატორის/დესტაბილიზატორის საზომად გამოდგება შემდეგი სიდიდე: მთლიანი საბიუჯეტო სალდოს საშუალო ცვლილება (GDP-ს წილი), რომელიც გამოწვეულია გამოშვების 1 პროცენტული პუნქტის ცვლილებით. შედეგად მიღებული „სტაბილიზაციის ინდექსი" იქნება დადებითი როდესაც საშუალოდ ფისკალური პოლიტიკის ცვალებადობა თამაშობს მასტაბილურებელ როლს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში – უარყოფითი (Fund, 2015). მსგავსად გაზომილი „სტაბილიზაციის ინდექსს" რამდენიმე კარგი თვისება აქვს. პირველ რიგში, ის საშუალებას იძლევა, რაოდენობრივად გაიზომოს პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებს შორის დამოკიდებულება. რამდე-

ნადაც მოცემულ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის ცვლილებაში უკვე ასახულია ფისკალური პოლიტიკის გავლენის ის ნაწილი, რომელიც გამოიწვია დაუკვირვებელი გამოშვების შოკებმა, სავარაუდოა, რომ ფისკალური ეფექტი გაცილებით დიდია, ვიდრე ასე დათვლილი კოეფიციენტი გვიჩვენებს. მეორე მხრივ, სტაბილიზაციის ინდექსს შეუძლია გადაჭარბებით შეაფასოს ფისკალური პოლიტიკის საპასუხო ზომები, რადგან ფისკალური პოლიტიკის (და შესაბამისად სალდოს) ცვლილება ასევე მოიცავს ბიუჯეტზე იმ ეკონომიკური და ფინანსური ცვლადების გავლენებს, რომელიც თავის მხრივ იცვლება გამოშვების საპასუხოდ. ასეთი ცვლადებია მაგალითად აქტივების ფასები და სარგებლის განაკვეთი (Bénétrix, Lane, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ მსგავსად გაზომილი სტაბილურობის ინდიკატორს შეიძლება ბევრი ნაკლი მოვუძებნოთ, ის მაინც კარგად ზომავს ფისკალური პოლიტიკის საერთო წვლილს გამოშვებაში. ამ კოეფიციენტში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ შემოსავლებისა და დანახარჯების დიდი ნაწილი რეაგირებს ეკონომიკურ მდგომარეობაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბიუჯეტის დებულებები და პროექტები სულაც არ იყოს სტაბილიზაციის მიზნით დაგეგმილი. საბიუჯეტო სალდოსა და გამოშვების ზრდას შორის კავშირის მონიტორინგი გადაწყვეტილებების მიმღებებს საშუალებას აძლევს, დააკვირდნენ თუ როგორ გავლენას ახდენს მათი ქმედება გამოშვების სტაბილურობაზე, მათ შორის დააკვირდნენ ამ მაჩვენებელს სხვა ქვეყნებთან მიმართებით. გადაწვეტილებების მიმღებებს ასევე დაეხმარება ამ მაჩვენებლის სამიზნე დონის დაწესება, რათა წინასწარ იქნეს გააზრებული გამოშვების სტაბილიზაცია ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისას (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2015).


როგორც აღმოჩნდა, ფისკალურ პოლიტიკას გამოშვების სტაბილიზაციაში უფრო მეტი წვლილი შეაქვს განვითარებულ ეკონომიკებში ვიდრე გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში. ფისკალური პოლიტიკა სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს განვითარებული ქვეყნების დაახლეობით ორ–მესამედ შემთხვევაში (გრაფიკი 1), განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ფისკალური პოლიტიკა მნიშვნელოვან სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ დაახლოებით ერთ–მეოთხედ შემთხვევაში.

საქართველოსთვის ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი 0,42–ია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეა. იგივე მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნებისთვის საშუალოდ 0,41–ს, ხოლო გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნების ჯგუფისთვის 0,24–ია.

განსხვავება კიდევ უფრო მეტადაა გამოხატული თუკი მხოლოდ იმ ქვეყნებს დავაკვირდებით, რომელთათვისაც ფისკალური პოლიტიკა სტატისტიკურად მნიშვნელოვან, მასტაბილურებელ როლს თამაშობს (გრაფიკი 2–3). აღსანიშნავია ქვეყნები, სადაც ფისკალური სტაბილურობის ინდიკატორი უარყოფითია. ფისკალური სტაბილიზაციის უარყოფითი ნიშანი სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები (ბანგლადეში, იტალია, ჰაიტი) მოჭარბებული შემოსავლების დროს გადაჭარბებით ხარჯავენ იმის ნაცვლად, რომ დაზოგონ სტაბილიზაციის მიზნებისთვის.


ანალიზის შემდეგი ეტაპია იმის განხილვა ნიშნავს თუ არა სტაბილური ფისკალური გარემო სტაბილურ გამოშვებას. უფრო დაზუსტებით კი საინტერესოა პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: ამცირებს თუ არა ფისკალური სტაბილიზაცია გამოშვების მერყეობას? ფისკალური სტაბილიზაციის საბოლოო წარმატება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად აისახება ეს სტაბილიზაცია მთლიანი სამამულო პროდუქტის (Papava, Silagadze, 2019) სტაბილიზაციაზე (Blanchard, Dell'Ariccia, Mauro, 2010). ავტომატურ სტაბილიზატორებსა და გამოშვებას შორის არსებული ცირკუ-

გრაფიკი 1. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტის (FISCO) განაწილება




წყარო: ევროპული კომისია (ec.europa.eu), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები (imf.org), საქსტატი (geostat.ge), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge), ავტორის გაანგარიშება.

გრაფიკი 2. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) განვითარებული ეკონომიკებისთვის



წყარო: ევროპული კომისია (ec.europa.eu), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები (imf.org), საქსტატი (geostat.ge), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge), ავტორის გაანგარიშება

გრაფიკი 3. ფისკალური სტაბილიზატორის კოეფიციენტი (FISCO) გარდამავალი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკებისთვის



წყარო: ევროპული კომისია (ec.europa.eu), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები (imf.org), საქსტატი (geostat.ge), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge), ავტორის გაანგარიშება


ლარული ეფექტის გამო ამ კითხვაზე პასუხი არც ისე ცალსახაა. ჩვეულებრივ გაზომილი ფისკალური მულტიპლიკატორი (მთლიანი სამამულო პროდუქტის ცვლილების ფარდობა ამ ცვლილებით გამოწვეული ბიუჯეტის სალდოს ცვლილებასთან) არ გამოდგება, რადგან მისი გაზომვა აპრიორი საჭიროებს საბიუჯეტო სალდოს ცვლილებაში იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ აქტივობასთან (Pescatori, Leigh, Guajardo, Devries, 2011), (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2012).

თუკი გალის (Gali, 1994), ფატასის (**Fatás, Mihov, 2003**) და დებრუნი და კაპურის (Debrun, Kapoor, 2010) რჩევას მივყვებით, რომლებიც აქცენტს ავტომატურ სტაბილიზატორებზე აკეთებენ, უნდა ავირჩიოთ ემპირიული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ფისკალურ სტაბილიზატორებსა და გამოშვების მერყეობას შორის პირდაპირი დამოკიდებულების დადგენას. გამოშვების მერყეობის გაზომვა კი შესაძლებელია რეალური GDP-ის ზრდის სტანდარტული გადახრით ფიქსირებული დროის მონაკვეთში.

ქვეყნებსშორისი კორელაცია გვიჩვენებს, რომ უფრო მაღალი ფისკალური სტაბილურობა ასოცირებულია გამოშვების ნაკლებ მერყეობასთან. თუმცა, განსხვავება მნიშვნელოვანია განვითარებულ და გარდამავალ-განვითარებადი ქვეყნების ჯგუფებს შორის: განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულება ფისკალურ სტაბილიზაციასა და გამოშვების მერყეობას შორის უფრო ძლიერი და მკვეთრად უარყოფითია, ვიდრე გარდამავალ და განვითარებად ეკონომიკებში.

უამრავი კვლევა გვიჩვენებს, რომ გამოშვების მოკლე-

გრაფიკი 4. ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტი და გამოშვების მერყეობა, 1980-2013.



წყარო: ევროპული კომისია (ec.europa.eu), საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები (imf.org), საქსტატი (geostat.ge), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (mof.ge), ავტორის გაანგარიშება

ვადიანმა მერყეობამ შეიძლება გრძელვადიანი ზრდის ფაქტორები განსაზღვროს (Ramey, Ramey, 1995). ეს დებულება განსაკუთრებით სწორია ქვეყნებისთვის, სადაც ფინანსური ბაზრები ნაკლებადაა განვითარებული (Aghion, Marinescu, 2008).

იმის გამო, რომ მაკროეკონომიკური გარემოს პროგნოზირებადობას შეუძლია წაახალისოს ინვესტიციები და სოციალური კაპიტალი, უფრო მაღალი გამოშვების სტაბილურობა უკავშირდება ფისკალურ სტაბილიზაციას და საბოლოოდ დადებითი გავლენა აქვს ზრდაზე. არსებული ემპირიული კვლევების დასკვნები ფისკალურ სტაბილიზაციასა და ზრდას შორის კავშირის შესახებ სხვადასხვაგვარია. თუმცა ნაჩვენებია, რომ უფრო მეტად აქტიური ფისკალური პოლიტიკა (რომელიც უფრო მეტად პროციკლურია) დაკავშირებულია დაბალ ზრდასთან (**Fatás, Mihov, 2003**), დიდი ზომის სახელმწიფო (რომელიც ჩვენი განმარტებით ნიშნავს მაღალ ავტომატურ სტაბილიზატორს ქვეყანაში) ასევე საზიანოა ზრდისთვის (Afonso, Furceri., 2010), (Afonso, 2012).

გაკეთებული ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოშვების დაბალ მერყეობას, რომელიც გამოწვეულია ფისკალური სტაბილიზაციით, დადებითი გავლენა აქვს ზრდაზე. ემპირიული კავშირი ფისკალურ სტაბილიზაციას, გამოშვების მერყეობასა და ზრდას შორის მართლაც გვიჩვენებს, რომ ფისკალური სტაბილიზაცია კარგია ზრდისთვის. ფისკალური მონიტორის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, ფისკალური სტაბილიზაციის კოეფიციენტის 1 სტანდარტული გადახრით ზრდას (დაახლოებით 0,1-ით ზრდა) შეუძლია საშუალოვადიანი ზრდის წახალისება სწორედ იმის გამო, რომ ფისკალური სტაბილიზაცია გამოშვების მერყეობას დაახლოებით 0,3 პროცენტული პუნქტით ამცირებს განვითარებულ ეკონომიკებში, ხოლო 0,1 პროცენტული პუნქტით გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ეკონომიკებში (Fiscal Monitor, 2015).

სტატიაში გაკეთებული ანალიზი მხარს უჭერს უამრავ კვლევას, რომელიც მიუთითებს რომ ფისკალური სტაბილიზაცია ამცირებს გამოშვების მერყეობას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკა შეზღუდულია იმოქმედოს გამოშვების დასტაბილურების მიზნით, ფისკალური პოლიტიკა მომგებიანია, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოშვების დასტაბილურება არის პრიორიტეტული. შემდგომი კვლევის მიზანი შეიძლება იყოს მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა პოლიტიკის ცვლადებსა და ეკონომიკურ შედეგებს შორის. თუმცა, ცოდნასა და არსებულ ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფისკალურ პოლიტიკას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია გამოშვების სტაბილიზაციაში. განვითარებულ ქვეყნებში ფისკალური სტაბილიზაცია ნორმად არის ქცეული და დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ბევრ ქვეყანაში. ამის საპირისპიროდ, გარდამავალ ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებში პრიორიტეტად გამოშვების ზრდის დინამიკა რჩება, რომელიც ძირითადად მიწოდების მხრიდან უნდა მოხდეს და ერთობლივი მოთხოვნის მართვა მეორეხარისხოვანია. უფრო ხშირად ფისკალური პოლიტიკა, როგორც სტაბილიზაციის მექანიზმი, გამოიყენება, როდესაც ეკონომიკა ჩამორჩება განვითარების სასურველ ტემპს; და ნაკლებად მიმართავენ პოლიტიკის მექანიზმებს, როდესაც ეკონომიკას ზრდის მაღალი ტემპები ახასიათებს. ფისკალური სტაბილიზაციის, როგორც მექანიზმის გამოყენებამ მხოლოდ „შავ დღეებში" შეიძლება მნიშვნელოვნად შეარყიოს სახელმწიფო ვალის მდგრადობა, რადგან გამოდის რომ მთავრობები ვერ სარგებლობენ იმ უპირატესობით, რაც ზრდის პერიოდის შემთხვევაში ეძლევათ, რომ შეამცირონ დეფიციტი და შექმნან ფისკალური ბუფერი მომავალი უარყოფითი შოკების უკეთ გასამკლავებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Papava, V., Silagadze, A. (2019, April), On the Georgian name of one key economic term “Gross Domestic Product” [Ertiani sakvandzo terminis “Gross Domestic Product”-is qartuli sakheltsodebis shesaxkheb]. Economics and Business, pp. 180-182. (In Georgian).
2. International Monetary Fund (2012, April) Fiscal Monitor. Balancing Fiscal Policy Risks.
3. International Monetary Fund (2015, April) Fiscal Monitor. Now is the time:Fiscal Policy for Sustainable Growth.
4. International Monetary Fund (2018, April) Fiscal Monitor: Capitalizing on Good Times.
5. Afonso, A. J. (2012). Fiscal Volatility, Financial Crisis and Growth. Applied Economics Letters, 1821–26.
6. Afonso, A., and D. Furceri. (2010). Government Size, Composition, Volatility and Economic Growth. European Journal of, 517–32.
7. Aghion, P., Marinescu, I. (2008). Cyclical Budgetary Policy and Economic Growth: What Do We Learn from OECD Panel Data? NBER Macroeconomics Annual, Vol 22.
8. Baunsgaard, T., Symansky, A. (2009). Automatic Fiscal Stabilizers. International Monetary Fund, IMF Staff Position Note 09/23.
9. Bénétrix, A. S., Lane P. R. (2013). Fiscal Cyclicality and EMU. Journal of International Money and Finance, 164-76.
10. Blanchard, O. J. (1993). Suggestions for a New Set of Fiscal Indicators. In H. A. Verbon, The Political Economy of Government Debt. Elsevier Science.
11. Blanchard, O. J., Dell’Ariccia, G., Mauro, P. (2010). Rethinking Macro Policy. International Monetary Fund, IMF Staff Position Note 10/03.
12. Debrun, X., Kapoor, R. (2010). Fiscal Policy and Macroeconomic Stability: New Evidence and Policy Implications. Nordic Economic Policy Review, 35-70.
13. Fatás, A. Mihov, I. (2013). Policy Volatility, Institutions and Economic Growth. Review of Economics and Statistics, 362–76.
14. Fatás, A., Mihov, I. (2001). Government Size and Automatic Stabilizers: International and Intranational Evidence. Journal of International Economics, 3–28.
15. Fatás, A., Mihov, I. (2003). The Case for Restricting Fiscal Policy Discretion. Quarterly Journal of Economics, 1419–47.
16. Fund, I. M. (2015, April). Fiscal Monitor. Now Is the Time-Fiscal Policies for Sustainable Growth.
17. Gali, J. (1994). Government Size and Macroeconomic Stability. European Economic Review, 117–32.
18. Girouard, N., Andre, C. (2005). Measuring Cyclically-Adjusted Budget Balances for OECD Countries. OECD.
19. Pescatori, A., Leigh, D., Guajardo, J., Devries, P. (2011). A New Action-based Dataset of Fiscal Consolidation. International Monetary Fund, Working Paper 11/128.
20. Ramey, G., Ramey, M. (1995). Cross-Country Evidence on the Link between Volatility and Growth. American Economic, 1138-51.
21. www.geostat.ge
22. www.mof.ge
23. www.imf.org
24. www.ec.europa.eu
25. www.OECD.org

JEL Classification: E20, E23 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.013

OUTPUT VOLATILITY IMPACTS ON FISCAL POLICY SUSTAINABILITY, CASE OF GEORGIA

MAIA GRIGOLIA
PhD Student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
m.grigolia@iset.ge

KEYWORDS: FISCAL POLICY SUSTAINABILITY, OUTPUT SUSTAINABILITY, FISCAL STABILITY INDICATOR, ECONOMIC GROWTH.

For citation: Grigolia, M. (2019). Output Volatility Impacts on Fiscal Policy Sustainability, Case of Georgia, *Globalization And Business, №8*, pp. 110-115. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.013

SUMMARY

The article discusses how fiscal stability affects macroeconomic sustainability and whether stability means strong economic growth in Georgia.The results of the analysis conducted in the article is supported by those numerous studies which indicate that fiscal stabilization reduces output volatility. Based on the existing analysis, we can say that fiscal policy can make a significant contribution to stabilizing output.

Fiscal Stability Indicator (FISCO) for Georgia has been calculated and cross-country analysis has been performed. It has been found that fiscal policy contributes more to stabilization of output in developed economies than in transitional markets and developing countries. The fiscal stabilization indicator for Georgia is 0.42 and is statistically significant, which indicates that one percentage point change in output causes 0.42 percentage point change in the total budget balance (as a share of GDP). The FISCO indicator is 0.41 for developed countries and 0.24 for transitional markets and emerging economies.

Based on the correlation analysis, it has been revealed that higher fiscal stability is associated with lower output volatility. However, here also, the difference between the groups of developed and transition and developing countries is significant: in developed countries- the relationship between fiscal stabilization and output fluctuation is stronger and sharply negative than in transition and developing economies.

More often, fiscal policy is used as a stabilization mechanism when the economy lags behind the desired pace of growth; And are less likely to resort to policy mechanisms when booming. Due to the proven importance of the fiscal stabilization in economic sustainability it can be concluded that the use of fiscal stabilization as a mechanism only in the «black days» can greatly worsen the sustainability of government debt, as governments appear to lack the advantage that they can reduce deficits and create fiscal buffers to better address future negative shocks in times of growth.

JEL Classification: L26, L53 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.014

საშუალო ფენის ფორმირების გამოწვევები საქართველოში მეწარმეობის განვითარების კონტექსტით

ამირანი მაღლაკელიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maglakelidze.amirani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: საშუალო ფენა, მეწარმეობის განვითარება, შემოსავლების უთანაბრობა, სიღარიბე.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე, ა. (2019). საშუალო ფენის ფორმირების გამოწვევები საქართველოში მეწარმეობის განვითარების კონტექსტით, *გლობალიზაცია და ბიზნესი, №8*, გვ. 116-120. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.014

ქვეყნის ეკონომიკის შეუქცვადი განვითარებისა და სტაბილური სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სახელმწიფოში არსებობდეს მძლავრი საშუალო ფენა, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ორიენტირები. აქედან გამომდინარე, განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების ჩატარებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში საშუალო ფენის მოძლიერებას და მისი კონცეპტუალური მისიის განხორციელებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საქართველოში საშუალო ფენის ფორმირების პრობლემების გამოკვეთა და მათი რაციონალური გადაჭრისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების შეთავაზება სახელმწიფოსათვის.

ჯერ კიდევ, არისტოტელე მიიჩნევდა, რომ „რაც უფრო დიდია საშუალო კლასი, ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული სოციალური ფენა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოება“. აღნიშნული დებულება სავსებით მოდერნისტულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მაშინ, როდესაც თანამედროვე საზოგადოებაში, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის მიღწევისათვის ძირითადი როლი სწორედ საშუალო ფენას აქვს მინიჭებული. ყოველივე ზემოხსენებული გამოიხატება იმაში, რომ „**ჯერ ერთი**, საშუალო კლასი მიისწრაფვის ადამიანური კაპიტალისა და დანაზოგების დაგროვებისკენ; **მეორე**, იგი წარმოშობს კრეატიულ ადამიანებს, რომლებიც აჩქარებენ ინოვაციებს და აღვივებენ ეკონომიკურ აქტივობას; **მესამე**, საშუალო კლასის სამომხმარებლო შესაძლებლობები ხელს უწყობს ბაზრების დივერსიფიკაციას და გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, მასშტაბის ეკონომიის გამოყენების საშუალებას იძლევა; **და მეოთხე**, საშუალო კლასს შეუძლია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს მმართველობის გაუმჯობესებაში: ღარიბებთან შედარებით, მას შესწევს ძალა და უნარი მოითხოვოს უკეთესი სახელმწიფო მომსახურება, საჯარო მოხელეთა უფრო მეტი ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას“. (კაკულია... 2018: 5)

ამასთანავე, „საშუალო ფენა ის „ფილტრია“, რომელიც არეგულირებს მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და ორივე ფენისთვის ორიენტირსაც წარმოადგენს. საშუალო ფენის ასეთი როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში, როცა საქართველოში სოციალური პოლარიზაციის ფონზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა „ახალი მდიდრებისა“ და „ახალი ღარიბების“ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადადის“. (ჭითანავა, 2018: 106)

საშუალო ფენის განსაზღვრის კრიტერიუმები

საშუალო ფენის განსაზღვრისა და რაოდენობრივი შეფასებისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ გარკვეულ კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელიც დიდი სიზუსტით ასახავს სოციუმის კონკრეტული ჯგუფის ამ ფენისადმი მიკუთვნებისთვის საჭირო ოპტიმალურ პირობებს.


საშუალო ფენის იდენტიფიკაციისთვის მიზანშეწონილია სოციალური და ეკონომიკური სფეროს მაქსიმალურად მოცვადი კრიტერიუმების განსაზღვრა და მათ შორის

სტატისტიკური თანაკვეთის დადგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საფუძვლიანად შევაფასოთ საზოგადოების აღნიშნული ფენის რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრები. ზემოაღნიშნული მიზნისათვის საჭიროა გამოიყოს შემდეგი **კრიტერიუმები** (კაკულია... 2018: 13-14):

- **შემოსავლების და სამომხმარებლო ხარჯების კრიტერიუმი.** განსაზღვრავს შინამეურნეობების შემოსავლის და მათ მიერ გაწეული ხარჯების მოცულობას;
- **დასაქმების პროფილი,** რომელიც შეგვიძლია მივიჩნიოთ შემოსავლების და ხარჯების სტაბილურობის განმსაზღვრელ ფაქტორად. აქ იგულისხმება: შინამეურნეობის წევრების დასაქმების სტატუსი, თანამდებობა სამსახურში, დასაქმების სფეროსთან ინდივიდის პროფესიის შესაბამისობა, ოჯახში დასაქმებულ წევრთა რაოდენობა;
- **განათლების დონე,** რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს ინდივიდის მდგრადი დასაქმება პროფესიის შესაბამისად და ადეკვატური შემოსავლის მიღება. ამის გარეშე, მხოლოდ განათლების სტატუსის გათვალისწინებით, საშუალო ფენის იდენტიფიცირება არ არის გამართლებული (მაგალითად, დღეს საქართველოში ბევრი ადამიანია უმაღლესი განათლების მქონე, თუმცა უმუშევარია და ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნება);
- **შინამეურნეობათა ქონება.** იგულისხმება: უძრავი ქონება (საცხოვრებელი სახლი, ბინა, აგარაკი), არასაპენსიო (მაგ.: საბანკო დეპოზიტები) და საპენსიო დანაზოგები, წილები და ფასიანი ქაღალდები (აქციები და ობლიგაციები), სხვადასხვა ტიპის აქტივები (ძვირფასი ლითონები, საიუველირო ნაკეთობები, ანტიკვარიატი და ა.შ.) და სხვა;
- **ხანგრძლივი მოხმარების საგნების ფლობა,** რომელთა შორისაა: ავტომობილი, კომპიუტერი, მობილური ტელეფონი, მაცივარი, გაზქურა, სარეცხი მანქანა, კონდიციონერი და ა.შ.;
- **კომუნალური მომსახურების საბაზისო სახეობებზე წვდომა.** იგულისხმება: ელექტრო ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი და ინტერნეტი;
- **ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა.** საუბარია კერძო სამედიცინო დაზღვევის პაკეტზე, რომელიც დაფარავს კომპლექსური მკურნალობის ძვირადღირებულ ხარჯებსაც და არა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, რომლის ბენეფიციარი ძირითადად დაბალშემოსავლიანი სეგმენტია;
- დასვენების შესაძლებლობა. მიიჩნევა, რომ საშუალო ფენას მიკუთვნებულ შინამეურნეობას წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეეძლოს დასვენება ორგანიზებული ტურიზმის ფორმით (მათ შორის საზღვარგარეთ);
- **შინასამეურნეო თვითაღქმა.** გულისხმობს იმას, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს საკუთარ მატერიალურ მდგომარეობას შინამეურნეობა და რომელ სოციალურ ფენას მიაკუთვნებს საკუთარ თავს. აქვე მოიაზრება, მოქალაქეთა მიერ, საშუალო ფენის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების აღქმა.

საქართველოში საშუალო ფენის ფორმირების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა. როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ საშუალო ფენის მოცულობა ძალზე მცირეა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ, 2016 წელს გამოქვეყნებულ, მათივე მეთოდოლოგიით განხორციელებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ 2014 წელს საქართველოში საშუალო ფენას მოსახლეობის მხოლოდ 7% განეკუთვნებოდა (იხ. სურათი)[1]. მაშინ, როდესაც დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საშუალო ფენას მოსახლეობის 50%-ზე მეტი შეადგენს (Kochhar, 2017).

სურათი: სიღარიბე და მოწყვლადი ჯგუფები, 2010-2014 (პროცენტებში).



2018 წელს საქართველოში ჩატარებული ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევის მიხედვით, ზემოთ აწ უკვე ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, 2016 წელს საშუალო ფენას მიკუთვნებული მოსახლეობის წილი 16%-ს შეადგენდა. 2017 წლისთვის კი, იგივე კვლევის მიხედვით, ოღონდ დასაქმების ფაქტორის გამორიცხვით, 24,6%-მდე გაიზარდა (კაკულია, 2018: 56, 58). ბოლო მონაცემი რეალობას დაშორებულად მიმაჩნია, რასაც ბუნებრივს ხდის საშუალო ფენის მეტად მნიშვნელოვანი დეტერმინანტის – დასაქმების უგულებელყოფა.

საშუალო ფენის ფორმირების მთავარი ფაქტორები და გამოწვევები

საქართველოში საშუალო ფენის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მეწარმეობა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება. საჭიროებას წარმოადგენს განვითარების თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მეწარმეობის მიზანმიმართული განვითარება, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდისათვის, რომელი მიმართულებითაც, გონივრული ეკონომიკური პოლიტი-

[1] მსოფლიო ბანკი http://pubdocs.worldbank.org/en/980951472223098077/Georgia-PPA-FY16-presentation-AUG2016-final.pdf წვდომის თარიღი: 05/06/2019

კის განხორციელების, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზაციის შედეგად, მიიღწევა: ინოვაციური მეწარმეობის და მოდერნისტული სამეწარმეო აზროვნების გაფართოება; ადგილობრივი სამეწარმეო შესაძლებლობების მკვეთრი გაუმჯობესება; წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; დასაქმებულთა რიცხვისა და მოსახლეობის კეთილდღეობის საერთო დონის ზრდა.


ამ თვალსაზრისით, დღესდღეობით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება და მისი ეფექტიანობა. განვითარების მთავარ ფაქტორია ადამიანისეული კაპიტალი. (ბედიანაშვილი, 2017: 10) თანამედროვე ეკონომიკის მთავარ რესურსს ინფორმაცია და ცოდნა წარმოადგენს. წარმოების პროცესი კი დაკავშირებულია მეცნიერებატევად ტექნოლოგიებთან. ამასთანავე, აუცილებელია ცოდნის ეკონომიკის გააზრება ცოდნის საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში, რათა გათვალისწინებულ იქნას ცოდნის ეკონომიკის ჩამოყალიბების კულტურისეული ფაქტორიც. (ბედიანაშვილი, 2018: 58)

ქვეყანაში ჯანსაღი საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და „სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველსაყოფად, მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა". (ერქომაიშვილი, 2019: 33)


დღეისათვის, საქართველოში მეწარმეობის განვითარების ტემპი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ და ინკლუზიურ განვითარებას, რაც შესაბამისად გამოიხატება საშუალო ფენის მოცულობის შეუმჩნეველ ზრდაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის კლებაა დაფიქსირებული. მეწარმეობის განვითარების ბოლო წლების სტატისტიკა მოცემულია დიაგრამა 1 და დიაგრამა 2-ში.

საშუალო ფენის ფორმირებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს დღესდღეობით ქვეყანაში არსებული, შემოსავლების უთანაბრობის და სიღარიბის მაღალი დონე. **შემოსავლების უთანაბრობის** გაანგარიშება ხდება ჯინის კოეფიციენტის მეშვეობით. აღნიშნული კოეფიციენტი 0-სა და 1-ს შორის მერყეობს და რაც უფრო ახლოს არის იგი ნულთან, მით უფრო მცირეა უთანაბრობა სოციალურ ფენებს შორის, ხოლო ერთისკენ მიმართული ტენდენცია უთანასწორობის გაღრმავებაზე მიუთითებს. 2018 წელს, საქართველოში ჯინის კოეფიციენტმა მთლიანი შემოსავლების მიხედვით – 0,39 შეადგინა, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით – 0,37,

დიაგრამა 1. ბიზნეს სექტორის ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება 2014-2018 წლებში.



დიაგრამა 2. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2014-2018 წლებში.



*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *2018 წლისთვის მოცემულია წინასწარი მონაცემები. www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva წვდომის თარიღი: 05/06/2019*

ხოლო ყველაზე უთანასწორო განაწილება მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით დაფიქსირდა – 0,44. კოეფიციენტის აღნიშნული სიდიდეები მიუთითებს სოციუმის ფენებს შორის ერთობ შესამჩნევ უთანაბრობაზე. რაც შეეხება **სიღარიბის დონეს**, 2018 წელს ქვეყანაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის მეხუთედზე მეტი – 20,1%[2] იმყოფებოდა.

დასკვნა

ქვეყანაში ჯანსაღი და მძლავრი საშუალო ფენის ფორმირებისათვის განსაკუთრებულ აუცილებლობას წარმოადგენს მეწარმეობის განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რათა სიღარიბეში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობაში და შესაბამისად, საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. დღეს,

[2] წყარო: www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done წვდომის თარიღი: 05/06/2019

საქართველო, აღნიშნული მიმართულებით, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, მაშინ, როდესაც საშუალო ფენის მოცულობა ჯერ კიდევ, საგანგაშოდ დაბალია, ხოლო შემოსავლების უთანაბრობის და სიღარიბის დონე კრიტიკულად მაღალი.

საქართველოს მთავრობამ, განვითარების რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მიზანმიმართული განხორციელებით, უნდა აღმოფხვრას ქვეყნის სამეწარმეო სექტორის და სოციუმის წინაშე მდგარი პრობლემები. აღნიშნული მიზნისათვის საჭიროა:

- სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, როგორც მდგრადი განვითარების და შეუქცევადი პროგრესის გარანტი;
- ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებული, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება. დღეს არსებული პროგრამების მასშტაბის ზრდა;
- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების სპეციალური პროგრამების შემუშავება;
- მეწარმეობის დაწყების, სტარტაპების განვითარების, ინოვაციებსა და მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკური აქტიურობების ხელშეწყობა.

ყოველივე აღნიშნულის წარმატებით განხორციელების კვალდაკვალ, სულ უფრო მეტი ადამიანი გადაინაცვლებს სიღარიბიდან საშუალო ფენის რიგებში და მათთვის ხელმისაწვდომი გახდება უფრო მაღალმატერიალური ფასეულობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bedianashvili, G. (2018) Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context [Kultura rogorts tsodnis ekonomikis formirebis faqtori paradigmuli tsvlilebebis sistemurinstituciuri konteqstit]. Journal "Globalization and Business", N6, P.58-66. (In Georgian).
2. Bedianashvili, G. (2017) Formation of Knowledge Economy and Innovative Entrepreneurial Policy: Institutional Aspects [Tsodnis ekonomikis formireba da inovaciurisamewarmeo politika: institutsiuri aspeqti]. Journal "Globalization and Business", N3, P.10-16 (In Georgian).
3. Erkomaishvili, G. (2019) Rational Economic Policy — Driving force from business to social entrepreneurship [Ratsionaluri ekonomikuri politika — biznesmetsarmeobidan socialuri metsarmeobisaken mamodzravebeli dzala]. Publishing House "UNIVERSALI", Tbilisi (In Georgian).
4. Kakulia, M., Kapanadze N. (2018) Middle Class in Georgia: Quantitative Evaluation, Dynamics and Profile [Sashualo klasi saqartveloshi: raodenobrivi shefaseba, dinamika da profile]. Friedrich Ebert Foundation, Tbilisi (In Georgian).
5. National Statistics Office of Georgia. (2018) Entrepreneurship in Georgia — Statistical Publication [Saqartvelos. Mewarmeoba Saqartveloshi — Statistikuri publikatsia]. Statistikis erovnuli samsakhuri . Tbilisi (In Georgian).
6. Chitanava, N. (2018) Challenges and Strategy of the Economy of Georgia [Saqartvelos ekonomikis gamotsvevebi da strategia]. Publishing House "IVERIONI", Tbilisi (In Georgian).
7. Kochhar, Rakesh (2017) Middle Class Fortunes in Western Europe. Luxembourg Income Study (LIS), asbl. https://www.econstor.eu/bitstream/10419/169262/1/702.pdf
8. World Bank Group, GEORGIA: RECENT TRENDS AND DRIVERS OF POVERTY REDUCTION. August 17 2016. http://pubdocs.worldbank.org/en/980951472223098077/Georgia-PPA-FY16-presentation-AUG2016-final.pdf
9. www.geostat.ge

JEL Classification: L26, L53 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.014

CHALLENGES OF MIDDLE CLASS FORMATION IN THE CONTEXT OF ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT IN GEORGIA

AMIRANI MAGLAKELIDZE
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
maglakelidze.amirani@gmail.com

KEYWORDS: MIDDLE CLASS; DEVELOPMENT OF ENTREPRENEURSHIP; INCOME INEQUALITY; POVERTY.

For citation: Maglakelidze, A. (2019). Challenges of Middle Class Formation in the Context of Entrepreneurship Development in Georgia, *Globalization And Business, №8*, pp. 116-120. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.014

SUMMARY

In order to ensure irreversible development and stable social-economic conditions of a State, it should have a strong middle class, defining the country's social and economic development targets. Considering the said, economic policy of development should be directed to the implementation of the measures supporting the formation of the healthy middle class in Georgia.

Share of the population belonging to the middle class is still low in Georgia. According to the studies conducted by the World Bank, in 2014 only 7% of the population of Georgia belonged to the middle class. According to the economic-statistical study conducted in Georgia in 2018, share of the population belonging to the middle class in 2016 was 16%. The same study, with exclusion of the employment factor, shows the growth of the said share to 24,6%. Ignoring the employment – very important determinant of the middle class – naturally puts the last figure far from reality. Current income inequality and high level of poverty negatively impact formation of the middle class in the country.

In order to form a middle class, Government of Georgia must overcome the problems faced by country's entrepreneurship and society by means of the purposeful implementation of the rational policy of economic development. Achieving the said target requires: a stable political-economic environment; elaboration of the small, medium business development programs oriented on the inclusive growth, increase the scales of the currently existing program; development of the special professional training and employment programs for the population below the poverty line; promotion of economic activities based on the start of entrepreneurship, development of the start-ups, innovations and advanced technologies.

JEL Classification: K33; J51 https://doi.org/10.35945/gb.2019.08.015

CHALLENGES FACED BY THE WTO'S ECONOMIC SYSTEM IN TRADE IN SERVICES NEGOTIATIONS*

NINO PARSADANISHVILI
Doctor of Law
Ivane Javakhisvhili Tbilisi State University, Georgia
nino.parsadanishvili@tsu.ge

KEYWORDS: WTO, TRADE, SERVICES, DEVELOPING AND LEAST DEVELOPED COUNTRIES.

For citation: Parsadanishvili, N. (2019). Challenges Faced by the WTO'S Economic System in Trade in Services Negotiations, *Globalization And Business, №8*, pp. 121-125. https://doi.org/10.35945/gb.2019.08.015

INTRODUCTION

The nexus between globalization and international development is one of the most debatable issues (Ozekin, 2019:49). Promoting economic growth through trade in services facilitation is included in all key guiding documents of the World Trade Organization (WTO) as its major operational goal (Parsadanishvili, 2018:357; WTO doc. WT/MIN(15)/DEC).

Based on the Preamble to the Marrakesh agreement establishing the WTO, the organization is committed to ensuring expansion of trade in services in line with the needs of developing and least developed countries. While the General Agreement on Trade in Services (GATS) annexed to the Marrakesh agreement stipulates the desire of the WTO to facilitate increased participation of developing and least developed countries in trade in services negotiations for strengthening their competitiveness in the services sector (GATS Preamble).

Daily growing role of trade in services accounting for almost half of today's world trade (WTO doc. WT/MIN(15)/DEC) makes the importance of participation of developing and least developed countries in the trade negotiation process vitaly important.

Strong commitment of the WTO towards making trade in services negotiations more oriented on the inclusion of interests of developing and least developed countries brings questions to our attention, namely how capable is the WTO to exercise its complete competence and strong motivation to bring the interests of developing and least developed countries at the table of negotiations, next to the fact that the practice of the organization goes to absolutely different direction. Does the current state in trade in services negotiations mean that the WTO fails to implement its own goals in practice? What are the solutions that can be found to be put forward for the negotiations at 2020 MC in Kazakhstan?

In order to answer these questions and next to giving overview of the existing international legal framework in terms of linking trade in services with the promotion of global economic growth the following issues are addressed by the paper:

- The WTO as a key international organization dealing with trade rules on global level;
- Growing importance of trade in services to meet the needs of developing and least developed countries;
- Crises within multilateral negotiations in the services sector;
- Analysis of the approaches that can be used to move the blocked process of trade in services negotiations forward.

From **methodological** perspective it has to be emphasized that, the paper focuses on the current developments within the WTO as economic policy provider and takes deep look on the overall dynamics of the trade in services negotiations. Next to relevant international agreements and scholarly articles, special attention is paid to the instruments of economic policy such as the official concluding documents of respective Ministerial Conferences (MCs) published by the WTO itself. This gives the opportunity to get insight to the situation that exists within the WTO, from the perspective of trade in services negotiations, as well as facilitates the generation of new ideas and impartial conclusions around WTO's new policy approaches in the services sector.

For the analysis of the issues raised above this paper consists of 4 parts. Part 1 provides introduction. Part 2 provides an analysis of the international legal framework for trade in services related aspects of promoting economic growth with special focus on Developing and Least Developed Countries. Part 3 touches upon solutions for the crises in trade in services negotiations in line with the Trade Facilitation for Services Agreement. Part 4 provides conclusions.

* Present paper is prepared within the framework of the project – YS-2016-98 funded by the Shota Rustavely National Science Foundation of Georgia.

ARE TRADE IN SERVICES NEGOTIATIONS IN CRISES?

The WTO is the key international organization framing trade rules on global level (Azevedo, 2017), with inescapable commitment to strengthen global economy for ensuring more employment and income growth in the world (Marrakesh Declaration 1994). But this great power of the organization is also linked to great responsibility of ensuring global economic development which puts WTO in a very complicated situation leading us to the question as of how the WTO is achieving its founding goals and what are the challenges in way, that prevent it from reaching success in this regards. To answer this question, it is important to look at the correlation between readiness and possibilities within the WTO to meet the goals of promoting global economic growth by the way of considering interests of developing and least developed countries next to the negotiation based decision making procedures that frame the basis of contemporary global trading system.

The two major international treaties that deal with participation of developing and least developed countries in services negotiations existent within the WTO system are Marrakesh Agreement and GATS.

Both the Marrakesh agreement establishing the WTO and its Annex on trade in services GATS underline the importance of the economic growth of least developed countries to meet the needs of their economic development (Marrakesh Agreement, Preamble), by strengthening their service exports and their domestic services capacity and its efficiency and competitiveness (WTO doc. WT/MIN(15)/DEC).

The importance of GATS in trade in services negotiations especially from the perspective of considering the interests of developing and least developed countries derives from the fact that it applies to all service sectors with only two exceptions for the services that are supplied in the exercise of governmental authority (GATS, Art. 1.3 (b,c)), as well as services related to the exercise of air traffic rights (Lester, 2008:602; GATS Art. 1:3 b.).

In order to see, as of how the goals of the WTO in terms of ensuring participation of developing and least developed countries in the trade in services negotiations is ensured, for the promotion of their economic growth, present paper gives an overview of relevant ministerial conferences delivered within the WTO.

Doha Ministerial Conference (Doha MC) is amongst the first MCs which underlined the major role of international trade in services in promoting economic development with a special focus on developing and least developed countries (WTO doc. WT/MIN(01)/DEC/1), giving the right to members within the framework of GATS to regulate the supply of services based on their national legislations (WTO doc. WT/MIN(01)/DEC/1, para.7). The right of members of the WTO to impose domestic regulation on services is the major reason that causes the lack of progress in the negotiations within the WTO, as vividly shown in the results of 2003 Cancún Ministerial Conference (Ministerial Conference, 2003) and 2005 Hong Kong MC about the right of member states to regulate trade in services with emphasis on the importance of considering the interests of developing and least developed countries, having reached no major success (WTO doc. WT/MIN(05)/DEC para. 25.). The Hong Kong MC was followed by the Geneva MC of 2011 focusing on the importance of the preferential treatment to services and service suppliers of least developed countries underlining the need for the liberalization of market access in sectors and modes of supply of the export interest of developing and least developed countries (WTO doc. WT/L/847.).

Non-utilization of waiver decision on preferential treatment in favor of developing and least developed countries offered by the Geneva Ministerial Conference, by any WTO member state the decision was made on Bali MC in 2013 about the operationalization of the waiver in services (WTO doc. WT/MIN(13)/DEC), for the encouragement of members to extend preferences for services coming from least developed countries (WTO doc. WT/MIN(13)/43 WT/L/918).

As the decision made during Bali MC has not resulted in major success to prioritize the interests of least developed countries and because of the lack of progress in providing preferences to least developed countries since Geneva MC of 2011 in the process of services negotiations (WTO doc. WT/MIN(15)/DEC para. 24), Nairobi MC of 2015 made the decision to extend the date for the waiver until 2030 (WTO doc. WT/MIN(15)/48 WT/L/982).

In line with all these developments already in 2017 During the Buenos Aires MC African Member States of the WTO have expressed their position regarding the trade in services negotiations underlining that - the needs of developing countries should be paid more attention (WTO doc. WT/MIN(17)/8, JOB/GC/166 JOB/TNC/68, JOB/SERV/274). Based on the position of African Countries this would help to “establish and utilize operational and effective provisions for special and differential treatment” (WTO doc. WT/MIN(17)/8, JOB/GC/166 JOB/TNC/68, JOB/SERV/274), seeing trade in services as a major tool for economic development. But as showed by Buenos Aires MC the daily growing number of stakeholders being interested in trade in services negotiations makes the overall process even more complicated resulting in almost no progress in trade in services negotiations. As it was rightly noted by Roberto Azevedo “Multilateralism does not mean that we get what we want. Multilateralism means we get what is possible” (WTO doc. WT/MIN(17)/74). Finding balance between what is wanted and what is possible is something that the WTO member states have still to think about and most probably they will come up with the new approaches during ringing up 2020 Ministerial Conference that is to be delivered in Kazakhstan. Otherwise it will become apparent that the WTO cannot implement its own guiding principles which are based on the idea of promoting global economic growth and fostering economic development for those who are in most need of it meaning developing and least developed countries.

The next part of the paper touches upon the approaches that can be used within the WTO to move trade in services negotiations forward.

SOLUTIONS TO THE CRISES

2017 Buenos Aires MC underlines the importance of opportunities generated within multilateral trading system for the benefit of all members of the WTO with special emphasis on developing and least developed countries (WTO doc. WT/MIN(17)/55/Rev.1, para 10).

The fact that the WTO members pay more attention to a services waiver for making international trade in services more flexible for least developed countries as evidenced by extending the operationalization of the waiver on preferential treatment until 2030 (Matsushita, 2008:228-229; Mattoo, 2003:21; Lester, 2008:604; Guzman, 2009:567), clearly shows the increased need for trade liberalization in the services sector, which is challenging to succeed in practical terms within the WTO so far.

Buenos Aires MC of 2017 is also interesting from the perspective of the new solutions offered by the WTO member states themselves. India for example came up with the initiative to start negotiations for a – Trade Facilitation for Services Agreement – for the betterment of consideration of the interests of developing and least developed countries in the WTO (WTO doc. WT/MIN(17)/19, JOB/GC/168 JOB/TNC/70, JOB/SERV/276, WT/MIN(17)/7; WT/GC/190.).

The question that arises from the new initiative offered by India is mainly taking skeptical direction, asking how can new agreement help in solving problem, when there is evident lack of progress in negotiations within the framework of the old and well-known agreement, that is GATS.

We think that, using different approaches for the interpretation of GATS by the WTO members could better facilitate the solution of the crises in the trade in services negotiations, then it will happen in the case of offering absolutely new agreement at the table of negotiations. Otherwise bringing new agreement with new line of bargaining can doubtfully make the overall situation better. 2020 Kazakhstan MC will show what is the overall attitude of WTO member states towards trade in services negotiations, but if they still decide to go for a new international agreement as offered by India, then it has not to be Multilateral, it has to be Plurilateral. "The Plurilateral approach offers Members the possibility to revamp the WTO to their own benefit" (Natens, 2013:253). A new Plurilateral agreement will make the possibility for members (considering their economic preferences) to freely join at any stage avoiding frightening mandatory format being that much associated with Multilateralism (Parsadanishvili, 2018:350). Even though it will not be easy to engage in new trade negotiations around new Plurilateral Agreement, it will still have more flexibility to better consider the economic interests of developing and least developed members of the WTO, hopefully offering the mechanisms that will make the goals and principles of the organization in terms of promoting economic growth and prosperity of all trading partners operational in practice.

CONCLUSION

The WTO's commitment in ensuring global economic growth for meeting the needs of developing and least developed countries represents only one side of the coin. "Whatever the growth promoting effects might be envisioned within the WTO the fact remains unchanged – a growing importance of trade in services makes it more complicated to make progress in negotiations putting the WTO in a very challenging situation" (Parsadanishvili, 2018:351).

Economic growth that is produced by freer international trade is becoming imperative for developing and least developed countries in pursuing their interests within global trading system.

Analysis of the results of the relevant MCs of the WTO shows that in spite of the willingness of member states to consider the export interests of developing and least developed countries in the services sector, the overall complicated landscape unifying daily growing number of stakeholders participating in trade in services negotiations, prevent the fulfillment of this goal. The results of relevant MCs as major decision-making body of the organization delivered throughout the years starting from 2001 to 2017 show no major progress in the trade in services negotiations to benefit developing and least developed countries. There is an expectation that the upcoming 2020 Kazakhstan Ministerial Conference will hopefully offer solutions from the current crises in the trade in services negotiations, which in our opinion has to be either modified interpretation of GATS or acceptance of the launch of negotiations around the new international agreement offered by India. If this last option will be selected, then it is more than clear that the format of the new Trade for Services Facilitation Agreement has to be plurilateral rather than multilateral as the latter means even more complication of the already very complicated trade in services negotiation process preventing the WTO from meeting its operational goals in practice.

REFERENCES:

1. Ozekin M. (2019), Globalization And Its Impacts On International Development: A Long-Term Historical Perspective, Globalization And Business, N7, p. 49.
2. Parsadanishvili, N. (2018). Poverty Eradication – Controversies Between UN and WTO, vol. 9, "Check Yearbook of Public and Private International Law", at p. 337.
3. Natens, B., Wouters, J. (2013). The State of Play and Future of Services Negotiations in the WTO, vol. 4 "Check Yearbook of Public and Private International Law", at p. 253.
4. Lester, S., Mercurio, B., Davies A., Leitner K., (2008) World Trade Law Text Materials and Commentary, p. 602.
5. Matsushita, M., Schoenbaum, T. J., Marvoidis, P.C., (2008) The World Trade Organization Law, Practice, and Policy, p. 228-229.
6. Mattoo, A., Carzaniga, A., (2003) Moving People to Deliver Services, p.21.
7. Lester, S., Mercurio, B., (2008) World Trade Law, p. 604.
8. Guzman, T., Pauwelyn, J. H. B., (2009) International Trade Law, p. 567.
9. Marrakesh Agreement Establishing the World Trade Organization (15 April 1994), (entered into force 1 January 1995).
10. General Agreement of Trade in Services (15 April 1994), (entered into force 1 January 1995).

